რიყო... ამ თამაშში მე და მურმანმა
ისეთი "მუღამი დავამსცენი", რომ
თითქმის სულ ვიგებდით (ვთამაშობ-
დით წველად). დაგროვილი ხურდა
ფული მშობლებს, ან მასწავლებელს
რომ დანახა, დაიწყებოდა გამოძიე-
ბა და დიდ უსიამოვნებებში გავებმე-
ბოდით, რადგან ფულზე თამაში, თუ
გინდაც კაპიულებზე, ბავშვის მანიკერ-
და საშუა მიდრეკილება ითვლებო-
და. ...მე და მურმანი მოგებული ხურ-
დის გროვებით მივდიოდით "საქე-
ფოდ" ლადიძის წლებში და ესვამ-
დით მიყვლიდით ყველანაირ წყალს:
ნალები, გარდის, ყოფოს, შოკოლა-
დის, ლიმონის და ა.შ. ვიჭყპებოდით
უთონყალოდ...

ბინები ძირითადად ნავთქურე-
ბით ("კერასინკებით") თებოდა (შე-
შის ლუმელები მდარებით ფუფუნე-
ბად ითვლებოდა), ზედგე მზადდებო-
და სადღიო და დულდებოდა ჩაიდან.
ნავთის წერტი ყაზბეგისა და მელი-
ქიშვილის ქუჩების აშეამად აღარარ-
შეკრული კუთხის სახლის სარდაფში
იყო და აქ მუდმივად რიგები იდგა.
რიგები ძირითადად ბავშვები და მო-
უხედი იდგნენ... რიგის დიდ ნაწილს
ცარცით ნომერდანეროლი თუნუქის
ბიღონები (პლასტმასისა მაშინ ჯერ
რამი მოჭიატე მუქს, უკაცუნებდნენ
და მკაცრად აფრთხილებდნენ... ამას
ერქვა "მუქმენილება" და ПВО-ს
(противовоздушная оборона) ნე-
სებს ემორჩილებოდა. ეს სამხედრო
ლონისძიება იყო... ჰოდა, როცა პირ-
იყო და სისხლის სამართლის დანაშა-
ულად ითვლებოდა. ამიტომ თამაში
ფარულად, საიდუმლო ადგილებში
ტარდებოდა. გუშაგებად აყენებდნენ
პატარა ბიჭებს ("ატანდაზე" დგომა),
რომლებიც მილიციის ან საცქვე-
ხალხის გამოჩენაზე სტყენით, ან

1945-ში, ომის დამთავრების შემე-
დეგ მელიქიშვილზე ტრამვაის ხაზის
რეკონსტრუქცია დაიწყო და სამუ-
შაოდ გერმანელი ტყვეების ბრიგა-
დები მორეკეს... ქვაფენილი რომ
მძიმე მშალეზე ყოფილა დაგებული
(რეკონსტრუქცია წნორედ ამ შპა-
ლების შეცვლაში მდგომარეობდა)...
ეს ფაქტი აქამდე ჩვენი თვალისაგან
ქვაფენილით იყო დაფარული და მის
არსებობაზე არაფერი ვიცოდით...
გერმანელი ტყვეები უკვე ნანახი
გვეყვდა რამდენიმე ადგილეს და ის
პირველი გაოცება-შეცხადება:
"ვაჰ!.. ესენი არიან ის პირისხილიანი
მტერ-ფაშისტებზე" (მანამდე მათ ხომ
მხოლოდ აგიტანახტებით ვიცნობ-
დით, სადაც გამხეცებული, დაჯლა-
ნული სახეები ჰქონდათ, თავზე რქი-
ანი "კასკები" ეხურათ და ხელებში
სისხლიანი ნაჯახები და სხვა სა-
ზიზღარი იარაღები ეჭირათ) - აღარ
ვხედიდგე... რიგის დიდ ნაწილს
ცარცით ნომერდანეროლი თუნუქის
ბიღონები (პლასტმასისა მაშინ ჯერ
რამი მოჭიატე მუქს, უკაცუნებდნენ
და მკაცრად აფრთხილებდნენ... ამას
ერქვა "მუქმენილება" და ПВО-ს
(противовоздушная оборона) ნე-
სებს ემორჩილებოდა. ეს სამხედრო
ლონისძიება იყო... ჰოდა, როცა პირ-
იყო და სისხლის სამართლის დანაშა-
ულად ითვლებოდა. ამიტომ თამაში
ფარულად, საიდუმლო ადგილებში
ტარდებოდა. გუშაგებად აყენებდნენ
პატარა ბიჭებს ("ატანდაზე" დგომა),
რომლებიც მილიციის ან საცქვე-
ხალხის გამოჩენაზე სტყენით, ან

მანაც იღრიჭებოდნენ, ვითომ ილი-
მოდნენ...

იმ გაჭირვების წლებში ხალხი
რას არ ჩალონობდა... გაჩნდა, ასე
ვთქვათ, "შინა რენვის" სახეობები:
აკეთებდნენ ხის ქოშებს, ჭრატებს,
თავის ხაფანგებსაც კი... იყო "რენ-
ვის" სახეობა, რომელშიაც ჩვენი ბავ-
შვებიც ვიყავით ჩართული... ამისი
ავან-ჩაგანი იყო მეზობელ ეზოში
მცხოვრები ანიკო ბაბო, კოხტა, კა-
ფანდარა, ლურჯთვალეზი და თეთრ-
თმიანი მოხუცი ქალი... მთელ ქუჩა-
ზე განთქმული იყო თავისი ექიმბა-
შობით, რითი და როგორ მურნა-
რავებოდა ხოლმე, არ ვიცი, მაგრამ ყვე-
ლა მისი მადლიერი იყო (პირდად მე
ერთხელ მონაშლისაგან გადამარ-
ჩინა ნიორწყალით)... გაშოსვლებს დასკვნით
"ნომრით" ამთავრებდა, რომელიც
ჩვენი გასაკუთრებულად მოგვინდა
და რომელსაც მოთმინებით ვვლო-
დით: ნაშობხიდა ხოლმე კაპას უკა-
ნალზე, ნაიუზებოდა, ხელს ღუმაზე
ირტყამდა და ყვიროდა:
"კაცებო!.. კაიუტაში ერთი ადგი-
ლი დარჩა!.. აბა, დავაი, გამოქანდით,
ვინ მასანრებს!.. შამამიდვერით!..."

... დროის ეს თორმეტწლიანი მო-
ნაკვეთი კობის ქუჩაზე ცხოვრობდა,
ძალიან მცირეა ქუჩისა და მით უმე-
ტეს ქალაქის ისტორიისათვის... მაგ-
რამ ბავშვისათვის მთელი ეპოქაა...
ჩემთვისაც მთელი ეპოქა იყო, რომე-
ლიც მარჯანიშვილის ქუჩაზე გადა-
სახლებით დამთავრდა და მერე და-
იწყო სხვა ეპოქები, არა კობის ქუჩა-
სეული ცხოვრების ეპოქები...
ახლა მინდა, მკითხველებს ვთხო-
ვო, ერთი რამე გაითვალისწინონ...
რომ კობის ქუჩის ეს, ჩემეული სურა-
თა ძალიან შემოსაზღვრულია დრო-
ში, სიტუაციებსა და გავგება - ანუ
ძალიან სუბიექტურია... ამიტომ ნუ
ჩათვლით აქ მოთხრობილს სრულ და
ერთადერთ შემხარტებად კობის
ქუჩის ცხოვრების შესახებ... დროის
ამავე მონაკვეთი, ამავე ქუჩაზე
ცხოვრობდა ბევრი სხვადასხვაიარ-
ი, სხვადასხვა ასაკის ადამიანი და
ყოველ მათგანს ასეულივე დოკუმენ-
ტრობის შემცველი საკუთარი ჭეშ-
მარიტება გააჩნდა უტყვევლად... ჩვენი
ხომ არ ვიცით, რას მოჰყვებოდა, რო-
გორ დაახასიათებდა კობის ქუჩის
ცხოვრებას დროის ზუსტად ამავე
მონაკვეთში ანიკო ბაბო?... ანდა ვასო
ევნაშვილი?... ანდა მიხეილ ზან-
დუკელი?... ან გივი ღლონტერიძე?...
ან გერასიმე კვაჭაშვიძე?... თამარა
ლომთაძე?... ან ის ქურთის დედაკა-
ციები?... მე ისიც კი არ ვიცი, როგორ
ეხატებოდა ეს ყველაფერი ჩემს სა-
კუთარ მამას... ყველა გაიხსენებდა
და დაადასტურებდა ალბათ წყნეთე-
ლი მემანქნეებისა და მათი ვირების
არსებობას, მაგრამ ამ უტყუარ ფაქ-
ტსაც ალბათ ყველასათვის თავისი,
განსხვავებული ინტერპრეტაცია ექ-
ნებოდა... რა ვქნათ?... როგორ და-
ვადგინოთ სრულიად უტყვევლი და
ასპროცენტიანი ჭეშმარიტება?... არ
ვიცი?... მე მხოლოდ ჩემგან აღქმული
და ჩემს ცნობიერებაში ჩაბეჭდილი
გაგზიარეთ...

მოსრილებდა დაღმართში... სიხა-
რულით გაბადრული სახით, მეგობ-
რული ხელის ქნევით, ისე მოხდენი-
ლად და ისეთი სისწრაფით ჩაგვიქ-
როლებდა ხოლმე, რომ ალტაცებისა-
გან პირდაღებულები თვალს ვერა
ვნყვევდით, სანამ მელიქიშვილზე,
ტრამვაის გაჩერებასთან არ დამეზ-
რუტებოდა...

...ამ ზამთრის "ოლიმპიადების"
ნამდვილი გმირი გახდა ჩემი კლასე-
ლი და ძმობილი კოსტა ქავთარია...
გმირი გახდა იმით, რომ ხისგან გა-
მოჭრა ციგურები!.. ნამდვილი ციგუ-
რები რეალობაში ნანახიც არა
გვექონდა მაშინ... ამ ციგურებით დაქ-
როდა დაღმართებში და ლადო მეს-
ხიშვილზე არანაკლებ ალტაცებას
იწვევდა...

...დადიოდნენ სხვადასხვა ჯურის
მათხოვრები... მაგრამ ყველასათვის
ცნობილი, "ჩვენი" იყო ბიჭო გოგია -
დაგლეჯილ ფარაჯაში გახვეული,
წვერებგაბარჯული მოხუცი... ეზო-
ში შემოდიოდა ხმამაღალი სიმღე-
რით:

"ოტანტური, მანჯურია,
გიტრელის საქმე ჩაჯ...ია!..."
"გიტრელის" - პიტლერის მაგი-
ერ...

რეპერტუარის შემდეგი ნომერი:
"გიტრელი და შოშია ისხდნენ
ფულურშია.

გამოფრინდა შოშია, ჩაჰკრა კინე-
რიოშია:

ახალგაზრდა ჯეივლებსა, რატომ
ჰხოცამ ოშშია?!"

ამტკიცებდა, რომ ორივე სიმღე-
რა მისივე შეთხზული იყო... მუდამ
ზედ ეკიდა პურის ხმელი ნატეხებით
სავსე დიდი ფუთები... დადიოდა,
მლეროდა, თხოულობდა და ისეც და
ისეც პურის ნატეხებს აძლევდნენ...
როდის უნდა შეეჭამა ამდენი პური?...
სულ ორი კბილი ჰქონდა - ერთი ზე-
მო, მეორე ქვემო ყაზზე, თან სხვა-
დასხვა მზარეს. ნატეხებს წყალში
ალბობდა და ისე ჭამდა... როდის უნ-
და მოესწრო ამდენი პურის შეჭმა?...
პურის ნატეხები კი სულ ემატებოდა
და ემატებოდა ფუთებში... არც არ-
სად ტოვებდა შესანახად... ალბათ არ
გააჩნდა "საიმედო" შესანახი...

...იყო კიდევ გივი მარგო. ეს არ
მათხოვრობდა. რითი ცხოვრობდა,
არ ვიცი... ქუჩაში გამოდიოდა, როცა
საკუთარი პოზიციის დაფიქსირების,
მასებისათვის შეტყობინების დაყო-
კებელი სურვილი იპყრობდა (დაახ-
ლოებით კვირაში ერთხელ)... დაბა-
ლი, ჩასკენილი, დიდ, ოთხუთხედ-
თავიანი ქალი იყო... მისი საჯარო გა-
მოსვლების ძირითადი თემა იყო მა-
მაკაცების მოდემის გაბახება-გა-
თახსირება, მოთხრა და მინასთან
გასწორება, დასაბუთება ამ მოდემის
უმაქნისობის, სიმაბლის, სიბინძუ-
რისა და უსაზღვრო ბოროტგამზ-
რახველობისა (შეიძლება ჩაითვა-
ლოს ფენინისტური მოძრაობის წი-
ნამორბედ-ფუქიშამყრულად საქარ-
თოვლობისა (შეიძლება დასკვნითი
"ნომრით" ამთავრებდა, რომელიც
ჩვენი გასაკუთრებულად მოგვინდა
და რომელსაც მოთმინებით ვვლო-
დით: ნაშობხიდა ხოლმე კაპას უკა-
ნალზე, ნაიუზებოდა, ხელს ღუმაზე
ირტყამდა და ყვიროდა:
"კაცებო!.. კაიუტაში ერთი ადგი-
ლი დარჩა!.. აბა, დავაი, გამოქანდით,
ვინ მასანრებს!.. შამამიდვერით!..."

... დროის ეს თორმეტწლიანი მო-
ნაკვეთი კობის ქუჩაზე ცხოვრობდა,
ძალიან მცირეა ქუჩისა და მით უმე-
ტეს ქალაქის ისტორიისათვის... მაგ-
რამ ბავშვისათვის მთელი ეპოქაა...
ჩემთვისაც მთელი ეპოქა იყო, რომე-
ლიც მარჯანიშვილის ქუჩაზე გადა-
სახლებით დამთავრდა და მერე და-
იწყო სხვა ეპოქები, არა კობის ქუჩა-
სეული ცხოვრების ეპოქები...
ახლა მინდა, მკითხველებს ვთხო-
ვო, ერთი რამე გაითვალისწინონ...
რომ კობის ქუჩის ეს, ჩემეული სურა-
თა ძალიან შემოსაზღვრულია დრო-
ში, სიტუაციებსა და გავგება - ანუ
ძალიან სუბიექტურია... ამიტომ ნუ
ჩათვლით აქ მოთხრობილს სრულ და
ერთადერთ შემხარტებად კობის
ქუჩის ცხოვრების შესახებ... დროის
ამავე მონაკვეთი, ამავე ქუჩაზე
ცხოვრობდა ბევრი სხვადასხვაიარ-
ი, სხვადასხვა ასაკის ადამიანი და
ყოველ მათგანს ასეულივე დოკუმენ-
ტრობის შემცველი საკუთარი ჭეშ-
მარიტება გააჩნდა უტყვევლად... ჩვენი
ხომ არ ვიცით, რას მოჰყვებოდა, რო-
გორ დაახასიათებდა კობის ქუჩის
ცხოვრებას დროის ზუსტად ამავე
მონაკვეთში ანიკო ბაბო?... ანდა ვასო
ევნაშვილი?... ანდა მიხეილ ზან-
დუკელი?... ან გივი ღლონტერიძე?...
ან გერასიმე კვაჭაშვიძე?... თამარა
ლომთაძე?... ან ის ქურთის დედაკა-
ციები?... მე ისიც კი არ ვიცი, როგორ
ეხატებოდა ეს ყველაფერი ჩემს სა-
კუთარ მამას... ყველა გაიხსენებდა
და დაადასტურებდა ალბათ წყნეთე-
ლი მემანქნეებისა და მათი ვირების
არსებობას, მაგრამ ამ უტყუარ ფაქ-
ტსაც ალბათ ყველასათვის თავისი,
განსხვავებული ინტერპრეტაცია ექ-
ნებოდა... რა ვქნათ?... როგორ და-
ვადგინოთ სრულიად უტყვევლი და
ასპროცენტიანი ჭეშმარიტება?... არ
ვიცი?... მე მხოლოდ ჩემგან აღქმული
და ჩემს ცნობიერებაში ჩაბეჭდილი
გაგზიარეთ...

გახანებული აზრია

ალექსანდრე ჭავჭავაძის სალონი

მარიკა ნულაძე

ყოველი ადამიანი თავის ცხოვრების წესიდან გამომდინარე, ასრულებს თავის ფუნქციას ან საზოგადოების, ან მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი ოჯახის მიმართ. ალექსანდრე ჭავჭავაძეს არასოდეს უცხოვრია მხოლოდ და მხოლოდ ოჯახისათვის. იგი ქართველთა შორის იყო ის საუკეთესოთაგანი, რომელიც თავის მოვალეობას უფრო მეტად ზედავდა, ვიდრე ოჯახის კეთილდღეობის მოპოვებაა. სწორედ ამით აიხსნება მისი ცხოვრების ის რთული პერიპეტეიები, რომელიც მან გაიარა. გარსევან ჭავჭავაძის ვაჟს, იმპერატრიცა ეკატერინე II-ის ნათლულს, საესებით შეეძლო წარმატებულად ეცხოვრა და კეთილდღეობით დამტკბარიყო, მაგრამ მისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა მარტო საკუთარი კეთილდღეობა...

"ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლის კარები ყოველთვის ღია იყო ნათესავების, მეგობრების, ნაცნობების და სტუმართა უთვალავი რიცხვისათვის". - წერდა ანდრეი ფადეევი, ე.ი. მისი სახლი ყოველდღიურად იყო უამრავი ხალხის თავშესაფარი ადგილი: "ჭავჭავაძის სადარბაზო ოთახი არასოდეს არ იცვლებოდა სტუმრებისგან. ყოველდღე გათენებდნენ მათთან გროვდებოდნენ ქართველი ნათესავები ორივე სექსისა, მერე კი სამსახურის გათავებისთანავე მოდიოდნენ რუსები.

ძალიან ხშირად მაგიდას ოჯახის წევრების გარდა მიუხსნებოდნენ ოცამდე მოულოდნელი სტუმარი. თავადი ალექსანდრე გარსევანის ძე ძველი სტუმართმოყვარეობის წესს არ ღალატობდა, არავითარ შემთხვევაში არ გაუშვებდა ხოლმე სადილობამდე შემოსულ სტუმარს". ხალხს უხაროდა მასთან ხშირი სტუმრობა და მასპინძელიც სათანადოდ ზედბოდა მათ. აქ ალბათ მიმდინარეობდა აზრთა ურთიერთგაზიარება, ამა თუ იმ საკითხზე საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება, ან მომწიფება... საინტერესო ატმოსფერო იყო ყველასთვის, უცხოისა თუ ახლობლისთვის. ალბათ სწორედ ამიტომ ყველა, ვინც ჩამოვიდოდა პეტერბურგიდან, ან სხვა მხარედან, იგი მაშინვე ხდებოდა სტუმარი თავადის სადარბაზო ოთახისა". ეს სადარბაზო ოთახი განსაკუთრებულად, სხვებისაგან გამოირჩეულად იყო განყოფილი. უჩვეულო იყო იგი ერთი შეხედვითაც. იგივე ფადეევი აღწერს: "ეს სადარბაზო აჭედილი იყო ანტიური შპალერიდან, რომელზედაც ეხატა მითოლოგიიდან აღებული სცენები. ამბობდნენ, რომ ეს შპალერი ეკატერინე II-ემ აჩუქა ალექსანდრე გარსევანის ძე ჭავჭავაძის მამას.


სადარბაზოს და მის გვერდზე მდგარ ოთახს ამშვენებდნენ უძვირ-

ფასესი იმხანად თბილისში ერთად ერთი, ფანჯრებში ჩასმული სარკიანი შუშები". როგორც ჩანს, ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახი უცხოთათვის იყო საჩვენებელი და პირველი შემხვედრი ქართველთაგან; ის ოჯახი, რომლითაც იწყებოდა საქართველოს გაცნობა. რატომ?! რა ხიბლი ჰქონდა ასეთი?! რითი იყო იგი გამოირჩეული სხვებისაგან?! ნუთუ მხოლოდ სადარბაზო ოთახის შპალერით და სარკეებიანი მინებით?! საქართველოში ყოველ პერიოდში არსებობდა ოჯახები, რომელთაგანაც იწყებოდა საქართველოსთან დაახლოება. მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში კი ასეთი ოჯახი სწორედ ალექსანდრე ჭავჭავაძის იყო. რას ნახულობდნენ სტუმრები აქ?! რას ეზიარებოდნენ?!

გრიგოლ დადიანი გადმოგვცემს: "ალექსანდრე მშვენიერად უკრავდა ჩანგურზე, თვითონ ჩანგურს უკრავდა და ქალებს გარშემო შემოისხამდა და თავის ლექსებს ამღერებდა". ლექსები კი იყო იმ ტკივილებზე, სიზარულზე, მწუხარებაზე, რომელსაც პოეტი ყოველთვის თან ატარებდა. უკრავდა და აძლიერებდა ჩანგურზე - ქართულ ნაციონალურ ინსტრუმენტზე და გადმოსცემდა მოაზროვნე ქართველის გულისტკივილს... ყველაფერი კი უჩვეულო შპალერებიან და უჩვეულო მინებიან სახლში ხდებოდა... აქ ერთად იყო ევროპული ცივილიზაცია და ქართული ნაციონალური სული, და მონიხავე ადამიანის აზრი...

ალექსანდრე ჭავჭავაძისთან არა მარტო "ჩანგურზე" უკრავდნენ, არამედ ფორტეპიანოზეც. სხვათა შორის, ეს ერთ-ერთი პირველი ფორტეპიანოთაგანი თბილისში სწორედ მის სახლში დაიდგა, რომელიც ალექსანდრეს ბიძამ, სახელოვანმა მწერალმა გიორგი ავალიშვილმა უძღვნა. მისი ქალიშვილები: ნინო და ეკატერინე, საუცხოოდ უკრავდნენ და მღეროდნენ ფორტეპიანოზე. ე.ი. ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახში არა მარტო ქართულ ხელოვნებას და მასთან ერთად ქართველთა მოაზროვნე ნაწილის სატკივარს ეცნობოდნენ, არამედ ევროპულ კულტურასაც ეზიარებოდნენ ხოლმე. განსაკუთრებით გამოირჩეოდა ნინო ჭავჭავაძე-გრიბოედოვისა, რომელმაც ბევრი სიმღერა თავისი ქმრისგან ალექსანდრე გრიბოედოვისგან ისწავლა. კ. ბოროზდინი წერდა: "ნინა ალექსანდრეს ასულმა ბევრი სიმღერა იცოდა თავისი ქმრის საკუთარი კომპოზიციით.

იგი სიამოვნებით უკრავდა ხოლმე მუსიკის მოყვარულთა შორის, განსაკუთრებით კარგი იყო ერთი სონატა შესრულებული გულწრფელი მშვენიერებით.



წინანდალი

მან იცოდა, რომ ეს სონატა იყო ჩემი საყვარელი და ფორტეპიანოსთან დაჯდომისას არასოდეს მეუბნებოდა უარს, დავმტკბარიყავი მისი მოსმენით. სამწუხაროა, რომ ეს სიმღერები დარჩნენ ჩაუწერავი". ასევე ჩინებულად უკრავდა და მღეროდა ეკატერინე ჭავჭავაძეც, რომლის მესრულებამ არაჩვეულებრივ პოეტს ნიკოლოზ ბარათაშვილს არაერთი საუკეთესო ლექსი დაანერიწა...

ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლში ასევე ჩინებულად უკრავდა 40-წლიანი ალექსანდრე ჭავჭავაძე. ის იხეით გატაცებით მიმდინარეობდა, რომ ფადეევის ჩანაწერის მიხედვით, არაქართველებიც კი ცეკვავდნენ ქართულ ცეკვებს: "ალექსანდრე ივანეს ძე ჩერნიშევი ჭავჭავაძეებთან საღამოებზე ახალგაზრდული გატაცებით ცეკვავდა ლეკურს სიღამაზითა და გრძელი თმებით ცნობილ მართა სოლოღაშვილთან".

აღსანიშნავია, რომ პირველი ქართული სახლი თბილისში, სადაც რუსულმა და ევროპულმა ცეკვებმა იწყეს გავრცელება, ალექსანდრე ჭავჭავაძის ბინა იყო. მისი ასულები - ნინო და ეკატერინე აქაც ლიდერობდნენ - ჩინებულად ცეკვავდნენ ქართულ ცეკვებთან ერთად რუსულ და ევროპულ საცეკვაოებსაც: მაზურკას, ვალსს, პოლონებს, კადრილს და სხვა.

ასე რომ, ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახს განმანათლებლური ფუნქციაც

ჰქონდა. თუ ყველაფერ ზევით ნათქვამს და მოყვანილ დოკუმენტს დავუმატებთ იმ ფაქტსაც, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილმა თავისი საუკეთესო პოემა "ბედი ქართლისა" პირველად სწორედ ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლში წაიკითხა, მაშინ უფრო გასაგები გახდება, თუ რა როლი იკისრა ამ მშვენიერმა ქართველმა საზოგადოების წინაშე... თუმცა სურათი სრული არ იქნება, თუ არ აღვნიშნავთ კიდევ ერთ მომენტს - უკვე გადასახლებიდან დაბრუნებული ალექსანდრე ჭავჭავაძე 40-წლიან წლებში თავის სახლში მართავს შინაურ წარმოდგენებსაც: "შემდგარა პატარა სცენისმოყვარულთა წრე, სადაც სულ წარჩინებულთა ქალ-ვაჟები ყოფილან მსახიობებად. ხელმძღვანელობდა თვით ალექსანდრე ჭავჭავაძე. მას სწორედ ამ ხანებში უთარგმნია კორნელის ტრაგედია "სინა". განუზავდა ლეკურს სიღამაზითა და გრძელი თმებით ცნობილ მართა სოლოღაშვილთან".

წინანდალი: ავგუსტო - ალ. ჭავჭავაძე, სინა - გრიგოლ დადიანი, მაქსიმე - დიმიტრი ყიფიანი. ერთ-ერთ როლში დაკავებული ყოფილა ნიკოლოზ ბარათაშვილიც".

როგორც ჩანს, გადასახლებიდან დაბრუნებულმა ალექსანდრე ჭავჭავაძემ თეატრალური წარმოდგენის მნიშვნელობა და საჭიროება დაინახა და სწორედ ამისთვის შეკრობა სცენისმოყვარეთა წრე.

ამგვარად, ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლში გამართულ საღამოებს და

წარმოდგენებს თავისი განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდათ. ეს იყო ქართული სულის მატარებელი და ამავე დროს ევროპულ კულტურასაც ნაზიარები მოაზროვნე ქართველის მიერ ქართული საზოგადოებისთვის გაკეთებული შეხვედრები. უცხოელებისთვის კი ქართული ნაციონალური, ეროვნული ღირსების წარმომჩენი; ადამიანი, რომელშიც გაერთიანებული იყო ეროვნული სატკივარი და ევროპული კულტურა; ადამიანი, რომელიც ღირსეულად წარმოადგენდა საქართველოს სახეს; ადამიანი, რომელიც თავისი ნააზრევით და ნამოქმედარით ქართული საზოგადოებრივი აზრის შემქმნელიც იყო. "დაგუბებულ წყალში" არსებულ ქართველთა შორის ღირსეული ერის შვილი...

მაგრამ დადა 1846 წლის 6 ნოემბერი და მოხდა კატასტროფა... კატასტროფა არამარტო ჭავჭავაძეების ოჯახისათვის, არამედ სრულიად ქართულთათვის:

"ალექსანდრე ჭავჭავაძე იმ დილას, საათის ათზე, გაემზადა ვორონცოვთან წასასვლელად. რაღაც დღეობა იყო და მისალოცავად წასვლა ურჩია მისმა მეუღლემ.

მშვენიერი ყარაბაღული ცხენი შეება მის "ადინაქქანს" ქუჩერმა და ალექსანდრე დამევა პარადის ფორმით მორთული ჭავჭავაძის ქუჩით.

როცა ის დაუახლოვდა გოლოვინის პროსპექტს, უეცრეე ერთმა დედაკაცმა სახლიდან საშინაი წყალი გამოიტა-

ნა და ქუჩაზე გადაღვარა. სწორედ იმ დროს როდესაც იმას გაუწნორდა ალექსანდრეს ეტლი.

ცხენი დაფრთხა, წაართვა თავი ქუჩერს. შემინებულმა ქუჩერმა მოსძახა ალექსანდრეს: "კნიაზო, მე ამის დაჭერა არ შემძლია, თავს უშველო". - ალექსანდრემ იფიქრა ქუჩრის მიშველება, წამოინია და რომ უნდა სწვლომოდა ალერს, მისი გრძელი შინელის მარჯვენა კალთა მოჰყვა ბორბალს და ზედ დაეხვია. ფეხზე წამომდგარი ალექსანდრე ძირს გადმოავდო".

ალექსანდრე ჭავჭავაძემ რამდენიმე საათი იცოცხლა.

იგი დაკრძალეს შუამთის მონასტერში.

ასე დამთავრდა სიცოცხლე ადამიანისა, რომელიც არ ეუბუებოდა სირთულეებს და ბოლომდე შეუპოვრად იბრძოდა მდგომარეობის გამოსასწორებლად. თუმცა კი ლიტერატურის ისტორიაში შესულია, როგორც პესიმისტი რომანტიკოსი. მიუხედავად ამისა, ცხოვრებაში იგი და მისი ოჯახი წარმოადგენდა საუკეთესო ქართველთა ნიმუშს, რომელთათვისაც მთავარი საკუთარი კეთილდღეობა არ ყოფილა. ამის დასტურია ალექსანდრე ჭავჭავაძის ცხოვრების წესი, მისი სიცოცხლის უკანასკნელი სურათიც და ისიც, რომ უფროსების გარდაცვალების შემდეგ, ოჯახის და სალონის წინამძღოლობა ნინო ჭავჭავაძემ ითავა. ამაზე მიუთითებს საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში დაცული ალექსანდრე ჰაველს ძე ნიკოლძის დღიურში არსებული ჩანაწერი:

"1850 წელი. 9 იანვარი. სადილი ჭავჭავაძეებთან 6 სთ-ზე. სადილის შემდეგ ქართული ენის გაკვეთილი. საღამოს სადღესასწაულო წარმოდგენა "Утро белого человека", "Тяжба" გოგოლისა და ქართული პიესა. წარმოდგენა ღამის 11 სთ-ზე დასრულდა".

როგორც ვხედავთ, სალონი ალ. ჭავჭავაძის გარდაცვალების შემდეგაც არსებობს, მაგრამ აღარ ჩანს დამწერეთა ის აღფრთოვანება, რომელიც მის სიცოცხლეში იყო. ერთი კი არის, რომ სწორედ მათ სახლში ხდება თეატრალური წარმოდგენის, როგორც ხალხზე ზემოქმედების უძლიერესი იარაღის შესახებ აზრის მომწიფება. ნელ-ნელა ყველაფერი ქართული თეატრის შემქნისაკენ მიდის. მაგრამ ეს გადაწყვეტილება უკვე არა ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლში - სალონში იქნება მიღებული, არამედ გამოუწნორებული "მოქართულე" მანდილოსნის მანანა ორბელიანის სალონში. ამაზე კი სხვა დროს.

რამიკატიონი

დათო მადრაძე

მტვრიან კედლებში მზუფთავი გამა დამცხვარი ვნების არის ნიშანი, სველი რიყაჟით სტრიქონებს ვნამავ, რომ ჩახლენილი ხმით აფიშანი

უსეც უხმობდეს მგზავრებს წვიმაში, ირგვლივ ქოლგებზე წვიმის ქოთქოთი... ცოცხლდება წამი წვიმის წინაშე მიტოვებული სახელოსნოთი.

ჭერს გაყოლილი ნაპრალის შოვით სუსტი სინათლე ჟონავს მეტწილად, წასვლია თვალთ ეპოქის ქსოვილს და აბლაბუდად ჩამოქნინილა.

წვეთავდა მტრედის გალუმპულ ფრთიდან მტკვრის ნაპირების ნოტიო ნისლი და მადათოვის კუნძულზე მწიფდა ლამაზმანების ლოყები სისხლით.

ახლა ნიავი ბრუნდება უკან ზღვადაკარგული გემის აფრიდან, ლაქად ვანვეთუ შენდობა რუკას რაც ნუფორიშმა უკვე დაბრიდა.

მას მერე ქარი გაქნძილ აფრას ვინ იცის საით მიაქანავებს... გაკრულმა ხელმა გაკანრა აბრა: მორჩა სპექტაკლი, - **Дайте знаменце!**

დარჩა მძიმე და დამდარი ჰავა, დაკეტილ სივრცეს რეკავს შტატივი... მხედრის გარეშე ვერსაით წავა მიტოვებული როსინანტივით

ღირსება ჰყვება, როგორ მიაგო ჩაფილ დროებას მცირე პატივი, ძენკვეზ კირჩხიბის ჩანს ზოდიქო, რაც იფარავდა ოსტატს ხატივით.

მიახლოვდება როგორც მირაჟი ვარსკვლავიანი ღამე ნათევი, და მეც მოცხვრიზე სველი რიყრაჟი – ჩამავალი მზის აპერატივი

გაუღებია ფოტო სეპიას, მავსტრო ფერავს ხერხით მარტივით, მამლის ნისკარტით აუკრეფია რაც გაბნეულა ანდამატივით.

შემორჩა სადგურს ძველი ვაგონი, გარდასულ მგზავრთა ელჩის პატივით, ანუ მტვრიანი ფოტოალბომი, - კარგი დროების რეჩიტატივით.



ბიძინა ავალიშვილი და გალაკტიონ ტაბიძე



ტიფლისი, ბრანტის საბრაფო

საშობაო საკითხავი



ლევან ხორაშვილის ფოტო

აკა მორჩილაძე

აკა მორჩილაძე	2	თამარი ფხაკაძე	7	იმრა კერტაძი	10	ჰაროლდ ბლუმი	15
ჯაალ დგებუაძე	4	ირაკლი ალექსანდრია	8	არნო ბრანტბერგი	12	უზბეკთა ეკო	16
ანდრო ბუაჩიძე	5	ელა გოგიაშვილი	9	სინთია ოჯიკი	13		

ტიფლისი, ბრანტის საბრაფო საშობაო საკითხავი

აკა მორჩილაძე

ქალბატონი ენ ოლსონი დაიარება ამერიკის პატარა ქალაქებში და ძველ სასაფლაოებს აღწერს.

შეიძლება მთელი ამერიკის პატარა ქალაქებს ვერ გასწვდეს, რადგან ამერიკა ძალიან დიდია და ძნელი წარმოსადგენია, რომ ერთი, თუნდაც თავგადაკლული ქალი ამხელა ქვეყნის პატარა ქალაქების მოზრდილ ოდენობას გასწვდეს, მაგრამ ერთ შტატში რომ შინაურულად გრძნობს თავს, ნამდვილია.

მისის ოლსონი მარტო არ არის. მას ქმარი, მისტერ ოლსონი ეხმარება. მისტერ ოლსონს ტერი ჰქვია. ენისა და ტერის საქმიანობა მცირე ნაწილია იმ უზარმაზარი საინტერესო საიტისა, რომელიც მოიცავს ნებისმიერი ამერიკული ქალაქის ძველ სასაფლაოთა, სააღაპე წიგნთა, საქორწინო დავთარსა და სხვა ასეთ საქმეთა შეძლებისდაგვარად სრულ აღწერილობას. საიტი ნებისმიერ ამერიკელს დაუდგენს წარმომავლობას, წინაპართა ცხოვრების დროებასა და ადგილმდებარეობას და ათას სხვა ამნაირ წარსულში დატოტვილ რამეებს.

არ ვიცი, სხვას რას საქმიანობენ ცხოვრებაში ბატონი და ქალბატონი ოლსონები, რომლებიც ერთი არცთუ ყველაზე განთქმული შტატის პატარა ქალაქების კიდე-კიდე დადიან და საფლავის ქვებიდან გვარ-სახელებსა და თარიღებს ინერენ, მაგრამ ეს ინტერნეტში მოხვედრილი ხელობა ერთგვარ სევდას რომ შეიცავს, ნაღვია.

სევდისას კიდევ მოგახსენებთ.

ჩემი ძმაბიჭი ამ თვის ბოლოს ამერიკაში მიემგზავრება, როგორც მგონია, სამუდამოდ, თვითონ კი ამბობს, რომ მხოლოდ რამდენიმე თვით. საერთოდ, როცა მიემგზავრებიან ხოლმე, მგონია, რომ სამუდამოდ. ძველ ზღაპრებში რომაა, წასული ბევრი მინახავს, დაბრუნებული არავინო. თუმცა, ეს სხვა საკითხია და თუ ჩაუღრმავდი, სევდა განზე დაგრჩება და ბრაზი და ერთი-მეორე დაგრევს ხელს. ძმაბიჭი კი მიემგზავრება, ქურთუკი იყიდა იქაური სიციფების გასაძლუბად და სიგარეტსაც იმარაგებს, იქ რომ მთელი გროშები ნუგბარი პაპიროსების ნევამი არ წაუვიდეს. მივათვალ-მოვათვალიერებო, ავხედ-დავხედავო, ამდენს ლანძღავენ და აქებენ და ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა გაიგო რაღაცაო. თანაც იქ ცარიელ-ტარიელზე კი არ მიდის, რომელ კაროლინაში აღარ მახსოვს და მეგობარი ჰყავს, იქაური მოქალაქე, ძველი წასული ბიჭია. თუმცა, რაღა ბიჭი, ბიჭი, რომ მიდიოდა, მაშინ იყო.

ამას ნულარ გამოვედევნებით და სულ სხვა თხრობას მივყვით სევდისათვის.

ორი წლის წინათ, ამ ჩემს ძმაბიჭთან რომ მივედი, სინკლერ ლუისის წიგნით ხელში დამიხვდა. იმ ზამთარს ბევრს კითხულობდა ძველ დიდოსტატთა რომანებს. საერთოდ, სახლში ბევრი ჰქონდა ტომეულები, ყველაფერი, რაც ძველი მწერლებისა გამოუციათ კომუნიტების დროში. დიდებული გამოცემებია, მე თუ მკითხავთ. ხრუშჩოვის დროში უკეთესი არაფერი გაუკეთებიათ. დავიფიცებ, რომ იმ ზამთარს ჩემი ძმაბიჭის გარდა, მთელს თბილისში არავინ კითხულობდა სინკლერ ლუისის რომანებს. სინკლერ ლუისი ხომ ძალიან მაგარია, ოღონდ ისეთი მაგარი, რომ მიივიწყებენ ხოლმე: მოსაწყენიაო და კიდევ რას არ იტყვიან. აღარ კითხულობენ, მოკლედ. თუმცა, თავს ვერ დავდებ, რომ სტალინის სიკვდილიდან დღემდე სინკლერ ლუისის თუნდაც ორი რომანი თბილისში ათ კაცზე მეტს წაეკითხო. ეს კი არა და, სამწუხარო უფრო სხვაა: თვით სინკლერ ლუისის მიერ აღწერილი ამერიკაც აღარ არსებობს. დაახლოებით ისე,

როგორც აღარ არსებობს დიდი ამერიკული კინო თავის ბოლი ვაილდერებით და ჰოვარდ ჰოუქსებით. აი, ისევეა გამჭრალი. ჰოდა, თბილისში რომ კაცი ზის ზამთარში და სინკლერ ლუისის რომანს კითხულობს, უნდა იფიქრო, რომ თუ ამერიკაში წავა, უკან აღარაფრით დაბრუნდება.

ახლა კი აღარ მახსოვს, რომელი რომანი იყო. ყოველ შემთხვევაში, არც ერთი იმათგანი, მე რომ წამეკითხა. თუ არა ვცდები, “დოდსფორტი” უნდა ყოფილიყო. ახლა გამახსენდა სრულიად შემთხვევით. ჰოდა, ამ ჩემმა ძმაბიჭმა ხალისით მომახსენა, ამ რომანში მავანი გმირი გაზეთს კითხულობს და უცებ იტყვის: აი, ტიფლისში, ვაშინგტონის შტატი, ძალიან დიდი თოვლი მოსულა. მოსულა და მოსულა. ვინაც ოდნავ მაინც იცის ამერიკა, იმან იცის, რომ თუ ქალაქს ალბუერკი, სასკაჩევანი ან ლოს ანჯელესი, ან სან-ანტონიო არ ჰქვია, იმას ჰქვია ან ნიუ-იორკი, ან ვაშინგტონი, ან ნიუ ორლეანი, ანაც პირდაპირ ჟენევა, მოსკოვი, ლონდონი, ოდე-სა, პარიზი და ასეთი რამეები. ამას შეიტყობს ნებისმიერი ჩვენებური ბავშვი, თუკი გარისკავს და “ტომ სოიერის თავგადასავლის” პირველ გვერდებს გადაფურცლავს. წიგნის ერთადერთი სქოლიო გვამცნობს, რომ სანკტ-პეტერბურგი, რომელშიც ტომი იზრდებოდა, არ უნდა აგერიოს ნამდვილ სანკტ-პეტერბურგში, რომელიც რუსეთში დააარსა პეტრე პირველმა; უბრალოდ, ამერიკელებს წესად ჰქონდათ ახლად დაარსებული ქალაქებისთვის განთქმულ ქალაქთა სახელები დაენათლებინათ.

ეს ამბავი ორი წლის წინათ იყო და არც გამახსენდებოდა, ჩემს ძმაბიჭს ამერიკაში წასვლა რომ არ გადაეწყვიტა. ისე კი, დიხაც გამეხარდა, რომ იქ ქალაქი ტიფლისი აღმოჩნდა. ხო იცო ქართველის ამბავი, ავეთუ არაო.

ძალიან სევდიანი ამბავია, თითქმის ისეთივე, როგორი იერიც დასდებია თავად სინკლერ ლუისს იმ ძველ ფოტოებზე. შუადღით ამ ჩემს ძმაბიჭს შევუარე და შინ არ დამიხვდა, ერთხანს ვიყურყურე მის ოთახში და სულ იოლად გამახსენდა, რომ ამერიკაში ტიფლისიც არსებობს. ასეა, ამერიკაში ყველაფერი არსებობს და ტიფლისიც გამოერია. ძმაბიჭი დაბრუნებას არ აპირებდა და მოვბრუნდი სამსახურში, სადაც საქმე აღარაფერი მქონდა

და დიდხანს ვერც დავჯდებოდი, რადგან წინა დღით ელექტროლუმელი ამიფეთქდა და ოთახშიაც გვარიანად ციოდა. თანაც, ამ ოხერ დღეს დილიდანვე თოვლი არ წამოვიდა? მე პირადად, დეკემბერში თოვლი ამ ქალაქში არ მახსოვს, თუმცა ბიჭებმა შემარცხვინეს, ორი წლის წინათაც ასე წამოთოვავო.

თოვლი თქვენ იმ ტიფლისში გენახათ, მე რომ ვიცი. ამის შემდეგ ბევრი აღარ მიფიქრია და მიუფუჯე “გუგლს”, “ალტა-ვისტასა” და “იაჰუს”, ჩარჩოში “ტიფლისი” ავკრიფე და უნდა ვაღიარო, რომ შევცდი. ჩვენი მშობლიური ქალაქი “ტიფლისად” ასე ზის უფრო საინტერესოდაა ცნობილი, ვიდრე “თბილისად”. “თბილისი” მერეღა მოვიძიე, როცა გავგიჟდი და გადავირიე, თუ რამდენი რამ სცოდნიათ “ტიფლისზე”, “თბილისისა” კი აი, რაც არი ამ დეკემბრის დღეს გარეთ, ზუსტად ის გამოვიდა. ეს “ტიფლისი” იწყება და არა თავდება. ვინ აღარ ყოფილა დაბადებული აქა, ჰა თუ ებრაელი, ქართველი, სომეხი, თათარი და სხვაც. რუსთა ნამდვილად განთქმული უბედური გენერალი ბრუსილოვიც კი აქ დაბადებულა. საქმიანობისას ხომ ნულარ იკითხავთ - იმნაირი სიჭრელე და სინამდვილე ხალხისა, რომ ყველაზე გაცვეთილ ამბად გურჯიევის ხსენება ჩანს. აი, ასეთი ამბავი დამიხვდა, როცა მივქარე და “ტიფლისი” ვთხოვე www-სა. ამის გზადაგზა გაცნობამ და აღტაცებამ კი წაიღო ორი საათი მაინც და მერეღა გამოვარკვიე, რომ ეს ჩემი ტიფლისი სულაც არ მინდოდა და მსოფლიო ქსელის საწყობებში ამერიკის ტიფლისს დავეძებდი.

ქსელმა ცხადია არ გამწირა: სადღაც მეათე თუ მეთერთმეტე გვერდზე გაკრთა ამგვარი სიტყვათწყობა: “ტიფლისი, გრანტის საგრაფო, ვაშინგტონი”. დავკარისარი საჭირო ადგილს და ჩემს წინაშე გადაიშალა მთელი ამერიკის რაგინდარა ტოპონიმებით გამოვსებული საიტი. ყოველ ტოპონიმს ქვეშ ხაზი აქვს და ასოები ლურჯი ფერისაა, ანუ დაჰკარ და გამოსწიე უფრა, შეიტყვე საჭირო ამბავი. აქავ უნდა გამოვტყდე, რომ იმ სინკლერ ლუისიდან შტატის სახელი არ მახსოვდა, ტენესის ვანეობოდი და მხოლოდ მერეღა ვუთხარ ტიფლისი, რამაც შედეგიც გამოიღო.

მე ასე წარმომედგინა, რომ ტიფლისი იქნებოდა ერთი ფართე გზის პირად მდებარე პანანია ქალაქი, როგორებიც ათა-


სებია ამერიკაში, მაგრამ მალევე დავაწყვე, რომ ამ საიტში ტოპონიმთა დასახელებები არა მხოლოდ ლურჯადაა შეღებილი, არამედ შავადაც. ამ შავებს კი, რაც არ უნდა უწკაპუნო, ველარაფერს შეიტყობ. ბევრი რომ არ მენვალა, ვუთხარ F8 და “ტიფლისი”.

რა გასაკვირია, რომ ტიფლისი შავით ნაწერი აღმოჩნდა. ჩვენი ბედის ამბავი ხომ მოგეხსენებათ. ანუ, მხოლოდ სახელი გეყოფა, რომ ამერიკაშიაც გახმინდო.

რალა უნდა მექნა, ტიფლისის არსებობა შევიტყვე და ხომ არ გავჩერდებოდი?

ავდექ და დავიწყე ძიება ვაშინგტონის შტატისა, რომლიდანაც არა ერთი საქართველო გამოიჭრება. სულაც არ ვიტარახებ: მე ჩავითვლები ამ შტატის მთავარ სპეციალისტად მთელს ტრანსკავკასიაში, ვინაიდან, უკვე ვიცი ამ შტატში სად რომელი ინდიელთა რეზერვაციაა, ზუსტად ვიცი და სად რა სასოფლო-სამეურნეო სავარგულებია გადაშლილი, იმასაც იოლად მოგახსენებთ. ვაშინგტონი გახლავთ ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთში და მთავარ ქალაქად უდგას სიეტლი. საკუთრივ სიეტლი მე არაფერში მჭირდებოდა და იმაზე, რაც ვიცოდი, ახლაც ის ვიცი: ნავსადგური გახლავთ და ჰყავს კალათბურთის გუნდი “სუპერსონიკსი”, სადაც ორიოდ წლის წინათ თამაშობდა ვლადიმერ სტიფანია. ვაშინგტონის შტატი გახლავთ უფრო გლეხური ამერიკის ალაგი, არცთუ სასიამოვნო ამინდებით. აქვე გამოვტყდები, რომ მის ქალაქთა სრულ სიაში არ მოიხსენიება ტიფლისი. ყოველი ძველი და ახალი რუკა ამ შტატისა ნანახი მაქვს. მაგრამ მე, ვითარცა გულანთებული გულშემატიკვარი ტიფლისისა, ვასკენი, რომ ტიფლისი იმდენად პატარა და მივარდნილი ადგილია, რომ იმას არც ერთ უფასო რუკაზე არ გახარჯავენ. ამიტომ, მეტი სინვრილისათვის ვინვე გრანტის საგრაფოსაკენ, რომელიც სულაც არ არის მონიავე საგრაფო ვაშინგტონის შტატში. პირდაპირ მოგახსენებთ, რომ გრანტის საგრაფოს მოსახლეობა 1995 წლის აღწერით სულ 64,500 მცხოვრებია. არ ვიცი, რამდენი ადამიანი ცხოვრობს მთაწმინდაზე.

მაგრამ, სანამ ამას შევითყობდი, აღმოვაჩინე, რომ “გრანტის საგრაფოს” ძიებისას აუცილებლად უნდა მოიხსენიო ვაშინგტონის შტატი. ასეთია გულუბრყვილო და ჰაიპარა კაცის ბედი. გრანტის საგრაფო ამერიკის ლამის ყველა შტატში



მოიპოვება. თითო გრანტის საგრაფო ყველგანაა თავისი ისტორიით და მთელი აზრით, ვაშინგტონის მეზობელ ორეგონშიც კი. დიახაც, აგრე უყვარდათ ამერიკელებს თავიანთი გენერალი და პრეზიდენტი ულის გრანტი, რომ ყველგან მისი სახელობა დაამკვიდრეს. ვაშინგტონის შტატის გრანტის საგრაფო კი ასევე ვერ დაიკვეხნის მთელი ამერიკის გრანტის საგრაფოთა შორის პირველობით. თუ კარგად გამოვიკვლევთ, აღმოვაჩენთ, რომ ის არის ყველაზე ახალგაზრდა გრანტის საგრაფო მთელს ამერიკაში. შტატის ლეგისლატურას მხოლოდ 1904 წლის 24 თებერვალს მოუზომავეს ეს მიწა საგრაფოდ და დიდი ამერიკელის სახელიც მიუნიჭებია.

გრანტის საგრაფო გლეხთა მიწაა, იქ ყოველი ხილი და ბოსტნეული მოჰყავთ; აქ დათვლილია 19,400 ხარი და 10,400 ძროხა, ცხენი და პონი კი 3, 772 ერთეული. გრანტ ქაუნთი ერთიციდა ქალაქების და ტბების მიწაცაა. ტბების და ქალაქების სახელები ხშირად ერთმანეთს ემთხვევა: ფოთლის ტბა, მოსეს ტბა (ეს უკანასკნელი ალბათ ყველაზე დიდი ტბაა და ქალაქიც დიდია), საპნის ტბა. სხვაფრივ კი ქალაქებს ჰქვიათ ტრინიდადი, ვარდენი და სმირნა. ამიტომ, გასაკვირიც არ არის, რომ ტიფლისიც იყოს. და არის ტიფლისი. არის! მოიხსენიება! ოლონდ კი ამის მეტი არაფერი. არის და არც არის, მეტი სევდა რაღა გინდა?

ეგებ არც არის?
თუმცა, როგორ არ არის? არის. წერია არისო და სინკლერ ლუისიც გვეუბნება. ახლა ცოტა რომ ამოვისუნთქოთ, ერთი შემონახული ამბისაც გითხრათ: ინდონეზიაში, კუნძულ ბალის ტერაქტი რომ მოხდა, ინტერნეტში ამ ბალის ამბებს დავეძებდი.

ბევრს საინტერესო რამეს გადავანყდი და ამათ შორის საიტ iudo.com-ს, რომელსაც ერთი ასეთი სამსახურიცა აქვს: ჩაწერ სამყაროს ორ ქალაქს ორ სხვადასხვა ჩარჩოში და მანქანა კი ამათ შორის მანძილს გამოგიტვლის. მეც მივედი და ვუთხარ: “თბილისი, ჯორჯია, ტიფლისი, აშშ” და მომახსენა: ამ ტიფლისიდან იმ ტიფლისამდე 6 239 მილია, ანუ 5 422 საზღვაო მილი, ანუ 10 041 კილომეტრი. არსებობს, როგორ არ არსებობს, გრძედები და განედებიც წერია, ოლონდ კი ხელსაწყო ვერ მოვიგდე ისეთი, რომ რუკას დავადო და გავზომო. არაფერი ვიცი ამ ზომების. ტიფლისი, გრანტის საგრაფო, ვაშინგტონის შტატი, აშშ მდებარეობს ჩრ.გრ. 47 0: 04 1:10 11-სა და დას.გან. 119 0:03 1:27 11-ის გადაკვეთაზე. კვეთე და იყავი. დანამდვილებით არსადა ჩანს.

იგივესამსახურით დავადგინე: მოუზეს ლეიქიდან (მოსეს ტბიდან) ტიფლისამდე 18 კილომეტრია, მოუზეს ლეიქიდან 15 კილომეტრზე არის ქალაქი ვარდენი, თუ უარდენი, სადაც 1600 კაცი თუ ცხოვრობს. აქედან ტიფლისამდე მხოლოდ 11 კილომეტრია, ანუ თხუთმეტ წუთში იქა ხარ. მაგრამ არ არის. ტიფლისი არის და არ არის, ჩვენი ქართული ბედისა რა ვთქვი.

ჩემს წინაშე გადაშლილია გრანტის საგრაფოს რამდენიმე რუკა. ამათ შორის დაწერილებითიც და საუკეთესოც, ყველაზე ძველიც: იმ 1904 წლისა, როცა საგრაფო დააარსდა. აგერ, სამხრეთ-დასავლეთი მოუზეს ლეიქი და სულ ახლოს ვარდენი. ტიფლისი არ არის. ქალაქი არ არის. არც ხევია, არც სხვა რამ. არც ძველი რკინიგზა, არც რაიმე. ყველგან ნახსენებია და არსად არ არის. გამქრალა. ყოფილა და წასულა, ქუდიც არ დაუხურავს. ჩვენი სანყალი, პატარა და კოხტა ტიფლისი, ამერიკული პროვინციის ქალაქი, რუკიდან ამოშალეს. მოდი და დამითვალე, რამდენი დეკალიტრი სევდა დამიგროვდება. იმაზე მეტი, რამდენსაც გრანტის საგრაფოს მენველი ძროხები გამოიმუშავენ წლიურად.

სახელი იყო და გაჰქრა. მხოლოდ სიტყვა დარჩა ნაირგვარ ელექტროგვერ-

დებზე. ამ სიტყვას ჩვენებურად აქვს ძალიან დიდი აზრი და იმის ქვეშ მთელი ცხოვრება იგულისხმება. ახლა არ მოვეცევი, რას ნიშნავს ჩვენთვის “ტიფლისი”. ამერიკისთვის კი ეს ცარიელა, დარჩენილი სიტყვაა, არაფერია, ცარიელა ადგილია. იქაურულად ეს სახელი ნიშნავს იმას, რაც არ არის. მთელს იმოდენა ამერიკაში ორად-ორი ადამიანია, რომელსაც ახსოვს ეს სიტყვა-სახელი. ერთი სწუხს ამ “ტიფლისის” გამო, მეორე კი სევდიანობს.

ერთ-ერთ გრანტულ საიტში, საგრაფოს ქალაქთა ჩამონათვალის გასწვრივ სწერია სიტყვები “მოსახლეობა” და “უმოსახლო”. ტიფლისის გასწვრივ ეს შემზარავი “უმოსახლო” ჩაუბეჭდავთ. ალბათ, რუკიდანაც ამიტომ გამქრალა, თორემ სახელად ჯერ კიდევ დარჩენილია.

ყოფილა, იქ რაღაც ყოფილა. იქ ხალხს უცხოვრია. და ვინ იცის, ახლა ნანგრევებია. ისე დანგრეულა, რომ ასი წლისაც არ მოყრილა. პატარა ქალაქი. ტიფლისი. ის პანანუნა, ერთი ბენო. ამერიკელები ეძიებენ თავიანთ წარსულს. ეძიებენ წინაპრებს. ეძიებენ თავიანთ დიდპაპა-ბებიათა სხვა შთამომავლებს, გარე-ბიძაშვილ-მამიდაშვილებს, ეძიებენ სამი, ოთხი, ხუთი თაობის შემდეგ. განიცდიან, რომ არაფერი იციან სისხლისა და ხორცისა. და ისინი წერენ ყველგან, სადამდეც კი მისწვდებიან კალმით, თუ ნაბეჭდით. და არის ასეთი ნაღვლიანი საიტი, ისევე და ისევე გრანტის საგრაფოში, სადაც ადამიანები ეძიებენ ნათესავებს, იკვლევენ გენეალოგიური ხის უცნობ შტოებს.

ამ სიტყვი ჩაუწერია სამი წლის წინათ (კვლავაც თებერვალში, რომელიც სასიკვდილო თვეა ჩვენი “ტიფლისისა”) ქალბატონს ლინდა **მ. რიკეტსს** მოკლე, მაგრამ ტევადი შეტყობინება: “ჩემს დიდ ბაბუას და ბებიას ერქვათ პიტერ და ელიზაბეთ (ლიზი) დირკსები. მათ ფერმა ჰქონდათ ვ(უ)არდენის ახლოს. იქაურობა უნდა ყოფილიყო ტიფლისი. ბევრი შვილები ჰყავდათ, იმათ შორის კი ბებიაჩემი მერი, რომელიც ცოლად გაჰყვა ლესლი პარკერს...”

1977 წელს, კოსმოსიდან გადაღებულ სურათზე ჩანს უკიდევანო მინდვრები, ნახნავეები და ერთიციდა ქალაქი ვ(უ)არდენი. თბილისი კი არ არის და საერთოდ, საიდან ვიცით, რომ თბილისი ქალაქი იყო? არსად წერია, რომ ასეთი ქალაქი არსებობდა. ადგილი, კი ბატონო. ალბათ იყო ასეთი ადგილი. ქალბატონი **რიკეტსიც** ამას ამბობს, იქაურობა უნდა ყოფილიყო ტიფლისი. ფერმა, თუ რაღაც ამგვარიო. რა ფერმა, კაცო, ქალაქი მქონდა და ფერმაც აღარ შემრჩა. “იქაურობა” შემრჩა.

აბა, სინკლერ ლუისი რომ ამბობს, ტიფლისში თოვლიაო? იმ დღეს, იმ მისმა გმირმა რომ გაზეთი გაშალა, რამდენ ამერიკულ ალაგას იქნებოდა თოვლი? ბევრგან, სერ. და რაღა ეს ტიფლისი მოუვიდა თავში ცხონებულ დიდ მწერალს? ქალაქად ჰყავს ნაგულისხმევი, აშკარაა, იმიტომ, რომ იქ ბევრ ქალაქს ერთნაირი სახელი აქვს და ამიტომ დაურთავენ ხოლმე შტატის სახელსაც. ტიფლისი კი სხვაგან არსად არის ამერიკაში, მაგრამ მაინც, წყალნაღებულის და ხავსის ამბავია.

მოკლედ, ეს ტიფლისი არ არსებობს. მაგრამ ყველაზე საინტერესო ისაა, რომ ერთხანს არსებობდა და ტიფლისი დაარქვეს. ქალაქს თუ არა, რაღაც ადგილს ხომ მაინც დაარქვეს და საქმეც ესაა, ვინ გადაწყვიტა, რომ ტიფლისი დაარქმეოდა. მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ამერიკაში პარტყაპურტყით არსდებოდა ქალაქები და თბილისის კი ტიფლისი რუსებმა თუ დაარქვეს, რომლებსაც თავის მხრივ გერმანელთაგან გაეგონებოდათ ეს სახელი. ამ აზრის გამო თავს ვერ დავდებ, მაგრამ უცხოელები უფრო ხშირად ტიფლისის ეძახიან ჩვენს ქალაქს და გერმანიაში კი საერთოდაც ტიფლისი ჰქვია.

ამ ბუნდოვან შეხედულებას თუ წავაბამთ იმას, რომ ვ(უ)არდენში, გრანტის საგრაფოში გერმანელებს დიახაც უცხოვრიათ, მე მგონია, რომ ეს სახელი მათგან წამოტივტივდებოდა. “ტიფლისი” სხვას ვის უნდა გახსენებოდა?

აი, ახლა კი მოვიდა მისის ენ ოლსონის დრო. მის ნაღვან-მოძიებულ საფლავთა შორის ეპ, რამდენი გერმანული საფლავია ჩანიშნული.

“მე არასოდეს მინახავს ასეთი სევდიანი სასაფლაო. ეს არის ყველაზე სევდიანი სასაფლაო, რომელიც კი ოდესმე მინახავს. ძალიან პატარა საფლავის ქვებია, მხოლოდ სახელებით და გვარებით და დაბადების და გარდაცვალების თარიღებით. ზოგს ესეც არა აქვს. ბევრგან სახელები გადაშლილია. ეს არის, რაც დარჩა!” - წერს მისის ოლსონი და იცით სად არის ეს სევდიანი სასაფლაო?

ტიფლისი, გრანტის საგრაფო, ვაშინგტონის შტატი.

სასაფლაოლა დარჩენილა. ისიც, ისეთი სევდიანი, რომ შტატის სასაფლაოთა მთავარი სპეციალისტიც კი დაუთრგუნავს.

ოცდაერთი საფლავია. ამ ოცდაერთიდან ცამეტი კაცია, რვა ქალი. ამ ოცდაერთიდან მხოლოდ ხუთი ჩანს ისეთი ამერიკელი, გერმანული წარმომავლობისა რომ არ იყოს. პრინციპში, ტიფლისში სამი

გერმანული ოჯახი მარხია და ერთიც შოტლანდიური. მეტად მძიმეა ჩვილთა საფლავების გამო ცქერა. გერპარ და ელენ ფოგტ ენცებს ბევრი შვილი გარდაცვლიათ. უკანასკნელად ტიფლისის სასაფლაოზე დაუმარხავთ პეტერ ენცი. ეს ყოფილა 1940 წელს და ცხონებული 45 წლისა ყოფილა. ის ალბათ ერთადერთი ზრდასრული შვილი იყო ენცების ოჯახისა. 1940 - ბოლო თარიღია ტიფლისისათვის. იმის მერე იქ აღარაფერი ჩანს. ფერმერები იყვნენ, უდავოა.

ქალაქს ვეძებდით, ხოლო სასაფლაო კი დაგვიხვდა. არ არი ბაჩვენო რამე. მიტოვებული სასაფლაო ვიპოვეთ, ქალბატონ და ბატონ ოლსონების გარჯით.

სევდის ამბავია. სხვის არაფრის.

აქავე მაქვს ქალბატონ რიკეტსის ელექტრომისამართიც: Ricketts@uswest.net. ოლონდ კი წერილის მიწერა გადავიფიქრე. ერთი, რომ სამი წლის წინანდელი მისამართია და მეორეც, მხოლოდ ის თუ იცის, რომ ბებიაიმის დაბადებულა ადგილას, რომელიც მგონი იყო ტიფლისი.

დასასრულ, ერთიც რომ ამოვიოხროთ ტიფლისის გამო, იქ დაკრძალულთა სიასაც ჩამოვწერ. ვის გაახსენდება ჩვენს მეტს?:

არლტი, პენრი - დ. 1905 წ. - გ. 1905 წ. ჩვილი.
არლტი, პერმან - დ. 1908 წ. - გ. 1908 წ. ჩვილი.
არლტი, უილიამ - უთარილო.
ბარგენი, იაკობ - უთარილო.
ბერგმანი, დანიელ - დ. 1902 წ. - გ. 1905 წ.
ემერ, მისის - უთარილო.
ენცი, ენდრიუ - დ. 1892 წ. - გ. 1905 წ.
ენცი, კრისტინა - დ. 1912 წ. - გ. 1912 წ. ჩვილი.
ენცი, გერპარდ - დ. 1867 წ. - გ. 1917 წ.
ენცი, ელენ ფოგტ - დ. 1868 წ. - გ. 1904 წ.
ენცი, იაკობ - დ. 1902 წ. - გ. 1902 წ. ჩვილი.
ენცი, პეტერ - დ. 1895 წ. - გ. 1940 წ.
ფრანცი, ალისა ლინდა - დ. 1914 წ. - გ. 1915 წ.
მაკკორმიკი, ბილი - უთარილო.
მაკკორმიკი, ჩარლზი - უთარილო.
მაკკორმიკი, სარა - უთარილო.
მუსელმანი, კრის - უთარილო.
რენიკი, მერი - დ. 1846 წ. - გ. 1914 წ.
შმილატი, კატერინე - უთარილო.
შმიდტი, ჯორჯ - უთარილო, ჩვილი.
შტოლცი, სარა - უთარილო.

P.S. ისიც მინდა ვთქვა, რომ სინკლერ ლუისი დიდი მწერალია. დიდი მწერლის ერთ-ერთი ჯადო ის არის, რომ მისი ჩაწერილი უბრალო სიტყვაც კი უცებ ერთ ამბავს გამოიწვევს. ჩემი ძმაბიჭი ალბათ მაინც არ დაბრუნდება ამერიკიდან. ისეთი ქვეყანაა, რომ მიდიან და რჩებიან. ტიფლისი კი არის და არც არის. ისევე, როგორც თბილისი. ოლონდ იქ უფრო გამოკვეთილია ყველაფერი.



უღმერთო ფსალმუნები

უიღმანი, ნიჰა, ელიადა


ზაალ მგებნაძე

“არილის” ბოლო, მე-5 ნომერმა მირჩა ელიადე მოულოდნელი წახნაგით გაგვაცნო: ეს მსოფლიო სახელის რელიგიათა ისტორიკოსი, თურმე, უნიჭიერესი პოეტიც ყოფილა; ოღონდ, ეს როდია მოულოდნელი, - ძლიერი პოეტური ნიჭი მის სამეცნიერო შრომებშიც იოლად შეგვეძლო ამოგვეცნო. 21 წლის მირჩას მასშტაბური “მამაცობის აპოლოგიაში” სხვა რამ გვაოცებს: ავტორის ხმის ბიბლიური ჟღერადობა უეჭველად გვიმჟღავნებს, რომ პოეტის ნილაბქვეშ შემალულია... წინასწარმეტყველი ან, თუ გნებავთ, მოციქული.

ამ პუბლიკაციამ გამახსენა “არილის” ორი სხვა შესანიშნავი ნომერი, მიძღვნილი ფრიდრიხ ნიცშესა და უოლტ უიტმენისადმი (2000 წ. №18 და 2001 წ. №6): მხოლოდ აქ გამოქვეყნებულ მასალებზე დაკვირვებაც კი ცხადყოფს, რომ ამ სამი მოაზროვნის უეიდურესი პიროვნული და მსოფლმხედველობრივი განსხვავებულობის მიუხედავად, ჩვენს წინაშეა სამი მოციქული ერთი და იმავე “რელიგიისა”.

რა შინაარსისაა ეს “რელიგია”, ესოდენ განსხვავებულ მსოფლმხედველობებს, ადამიანურ არსებათა მომავლის ესოდენ განსხვავებულ ხედვას თანაბრად რომ ჰგუობს, ამ საკითხს ოდნავ ქვემოთ შევხები, მანამდე კი რამდენიმე სიტყვა უნდა ითქვას იმაზე, თუ რა გვაძლევს საფუძველს უიტმენის, ნიცშესა და ელიადეს შემთხვევაში სწორედ რაღაც ახალი “რელიგია” ვივარაუდოთ? - ამას განაპირობებს, უწინარეს ყოვლისა, მათი გამიზნულად “წინასწარმეტყველური” ინტონაცია - ორიენტირება იმ ტექსტებზე, რომლებსაც კაცობრიობა მთელი ისტორიის განმავლობაში ღვთივშთაგონებულად მიიჩნევდა (ქრისტიანული მსოფლიოსათვის ეს არის, ცხადია, ბიბლია).

ბიბლიის ყოვლისმომცველი გავლენა უიტმენზე აღუნიშნავს თითქმის ყველას, თავყანისმცემელსაც და მოწინააღმდეგესაც, ვისაც კი მის პოეზიაზე რაიმე დაუწერია (ერთი ნიმუში: უიტმენის “ლექსებში გამუდმებით იპარება ბიბლიური გამოთქმები და აზრთა ბიბლიური მიმოქცევა. მისი თხზულებების ზოგიერთი ადგილი იმდენად ჰგავს ბიბლიურ ტექსტს, რომ პირდაპირ გიკვირს, რა ზომი სიღრმითა აქვს შეთვისებული ეს გარდასული პოეტური ფორმა” (კ. ჰამსუნი). ამის მიზეზს რ. როლანი პოეტის კვაკერ წინაპრებში ხედავს, ხ.ლ. ბორხესი კი - ინგლისური ენის ბიბლიით გაჯერებულობაში. უჩვეულოა, ორსავე ამ ფაქტორს თავისი როლი უნდა შეესრულებინა, მაგრამ ჩვენთვის აქ სხვა რამ არის



უფრო საყურადღებო: უიტმენთან ბიბლიის ინტონაციები (და, საერთოდ, პოეტური არსენალი) ისე დიამეტრულად საპირისპირო მსოფლალქმის გადმოსაცემად არის გამოყენებული, რომ, ძნელია, წმიდა ტექსტებზე ორიენტაციაში ვერ ამოიკითხო სურვილი თავისი არსით რელიგიური ზემოქმედება მოახდინოს მკითხველებზე, ძველი ნაცადი ფორმების მეშვეობით შექმნას... ახალი წმიდა წერილი.

რაც შეეხება ნიცშეს, მისი “სამოციქულო” პუბრისი კიდევ უფრო ამკარაა და შეუფარავი. ქრისტიანობის მიქინვარე მტრად გაზრდილი “პატარა პასტორის” ახალ უღმერთო “რელიგიაზე”, ბიბლიისადმი მის წინააღმდეგობრივ დამოკიდებულებაზე, - სიძულვილის წილ დაფარულ მგზნებარე სიყვარულზე, - იმდენია ნათქვამი, რომ აქ მხოლოდ კითხვის ფორმით გამოთქმული ფრთხილი ვარაუდით შემოვიფარგლები: ხომ არ აირჩია ამ გენიალურმა შეშლილმა ნილაბ ზარატუსტრას დავიწყებული და ევროპელთათვის არაფრისმთქმელი (აზრობრივად და ემოციურად ცარიელი) სახელი უწინარეს ყოვლისა იმ მიზნით, რომ დაემაღლა თავისი ნამდვილი alter ego (რომელიც სურდა მის ღმერთთან ერთად მოეკლა) - წინასწარმეტყველი იერემია?

მირჩა ელიადე შთაგონების წყაროებიდან პირდაპირ მხოლოდ “ქებათა ქებაზე” მიგვანიშნებს (“მთრთოლვარე ყელი ვნებააშლილ სულამითისა”), თუმცა მის რეჩიტატივში “ხუთნიგნეულის” ღმერთთან მოსაუბრე ავტორის ინტონაცია ცაიჟღერებს ხოლმე და დიდ მეუღაბნოეთა ხმაც (ოღონდ, ზომავადასული და ცოტა არ იყოს გულუბრყვილო ჩივილი ქალის ბუნების “იწროებაზე” იმასაც გვიმჟღავნებს, რომ 21 წლის ჭაბუკისთვის მთლად ორგანული არ უნდა იყოს მისი ამკარად ლიტერა-

ტურული წარმოშობის ასკეტიზმი, რომელიც ჯერ კიდევ მყარ მსოფლმხედველობრივ პოზიციად არ გადაქცეულა). სხვა, უფრო ახლო გავლენებიც აშკარაა - უიტმენი, ნიცშე, იბსენი. ახალგაზრდა ავტორი არაფერს გვიმალავს, არ შიშობს, ვაითუ, ამის გამო ეპიგონად შევირაცხო. ვფიქრობ, უწინარეს ყოვლისა იმის გამო, რომ თავისი არსით ეს სწორედ რელიგიური ტექსტია და არა “ხელოვნების ნაწარმოები”: ახალი (მართალი?) რელიგიის მოციქულისა თუ მისიონერის თვალში ხომ არანაირი ფასი არა აქვს ორიგინალურობას. მისი მიზანია ხალხს მოუტანოს ჭეშმარიტება და თავის “კონფესიას” შემატოს “ნეოფიტები”.

ახლა კი, ალბათ, დროა, მოკლედ დავახასიათოთ იმ ახალი “აღმსარებლობის” არსი. თუ პოზიტიური განსაზღვრიდან ამოვალთ, მას შეიძლება ეწოდოს “განდმრთობილი ადამიანის რელიგია”. თუმცა, ნეგატიური განსაზღვრა მეტს გვეტყვის მის ბუნებაზე: ჩვენს წინაშეა “მკვდარი ღმერთის რელიგია”.

ნიცშეს შესახებ დაწვრილებით საუბარი არც აქ ღირს: მისი შეშლილი ღალადისი - “ღმერთი მოკვდა!” - XX საუკუნის სეკულარიზებულმა ცივილიზაციამ თავის საყდარში “მრწამსის” ადგილას გამოკიდა. აღვნიშნავ მხოლოდ, რომ ნიცშესადმი მიძღვნილ სტატიებში (“უკანასკნელი ადამიანი”, “არილი”, 2000 №18) მე თვითონ დავასახელე ამ ძახილის ერთ-ერთ შესაძლო წყაროდ კლასიკური ფილოლოგიის ერუდიტი, კერძოდ კი ცნობილი - “დიდი პანი მოკვდა!” ეს აზრი დაზუსტებას მოითხოვს. მთავარი ამ შემთხვევაში ცოდნა კი არ არის, არამედ მისი ინტერპრეტაცია. ანტიკური “დიდი პანი მოკვდა!”-ს ექო ხმინებს ფრანსუა რაბლესთანაც (“პანტაგრუელის” IV წიგნის XXVIII თავში), რომლის მეტყველი ან-

ტიკლერიკალიზმი სახიფათოდ უახლოვდებოდა ანტირელიგიურობის ზღვარს. ოღონდ, იქ ეს გამონათქვამი, რაბლეს მსოფლმხედველობის ადამიანისთვის მოულოდნელი სერიოზულობით და სენტიმენტალიზმითაც კი, მაცხოვრის ჯვარცმასთან არის დაკავშირებული. “დიდი პანის” სიკვდილის გააზრება აბსოლუტის სიკვდილად ტოტალური უღმერთობის ეპოქის დადგომის მაუწყებელია.

ავადმყოფობით ტანჯული ნიცშესგან განსხვავებით, უიტმენი, რომელიც სულიერი სიჯანსაღის განსახიერებად რჩებოდა მაშინაც, როცა დაავადებამ სხეული სრულიად დაუძაბუნა, ღმერთის სიკვდილზე არაფერს ამბობს (ასეთი კომმარი, ალბათ, არც დაესიზმრებოდა). მის “ჰომეროსულ კატალოგებში” - ყველასა და ყველაფრის უსასრულო ჩამონათვალში - დროდადრო სხვადასხვა ეპოქისა და ხალხის ღვთაებათა სახელებიც ჩნდება, და მაშინ ისინი გვაოცებენ წარმოდგენილი ბუტაფორულობით, რომელიც განსაკუთრებით კონტრასტულად სწორედ უიტმენის ვიტალური ძალის ფონზე ჟღერს, რომელიც უბრალო დასახელებითაც კი ყოველივეს სიცოცხლის სულით ავსებს. უიტმენი მეტაფიზიკასაც ახსენებს და ღმერთებსაც (ლექსებიც აქვს ამ სახელწოდებით - “მთელი მეტაფიზიკის არსი” და “ღმერთები”) და ყველაზე მკაფიოდ სწორედ აქ ჩანს, რომ მისთვის არც მეტაფიზიკა არსებობს (ეს მხოლოდ კაცთაშორის სიყვარული ყოფილა, სხვა არაფერი) და არც ღმერთი... იქნებ, უიტმენისთვის აბსოლუტი არც მომკვდარა, მაგრამ ის როგორღაც... თავისით გაქრა. ფიზიკურ-ეთიკური სამყაროს გარეთ აღარაფერია დარჩენილი. მეტაფიზიკურ სივრცეში სრულ სიცარიელეს დაუსადგურებია. და პოეტი ღალადისით მიმართავს ყოველივეს, - ადამიანს, სიკვდილს, დროსა

და სივრცეს, მზეს და ვარსკვლავებს, საკაცობრიო იდეალებს, - შეავსონ ეს ცარიელი ადგილი.

ნიცშეს სურდა აბსოლუტის გამოთავისუფლებულ ტახტზე (“საყდარზე”) “ზეკაცი” დაებრძანებინა; უიტმენს - ყველაფერი არსებული და, როგორც გვირგვინი ყოველივესი, “ადამიანი-იდეალი”. ელიადეს “მამაცობის აპოლოგიაში” ამ “ჰუმანიტარული ერესის” მთავარი პერსონაჟის კიდევ ერთ სახესხვაობას ვხვდებით - “ძლიერ პიროვნებას”. იგი ძველ მეუღაბნოეთა მსგავსად გაურბის ადამიანთა საზოგადოებას (იბსენის, კერძოდ “ბრანდის”, დაუფარავ გავლენას აქ არ შევეჩხები), ოღონდ ამოცანა აქვს დიამეტრულად საპირისპირო. თუ ძველი დროის მესვეტეებისა და მღვინელების განდევნობის მიზანი იყო, რაც შეიძლება სრულად დაემორჩილებინათ საკუთარი ნება უზენაესისთვის, ელიადეს განდევნის სურვილია თავის “შმაგ ნებას” დაუმორჩილოს სხვა ადამიანები, “თბილ ოთახებში გამომწყვდეულ ჯუჯებად” რომ მიაჩნია, იბატონოს ყოველივეზე და, მაშასადამე, თვითონ დაიკავოს უზენაესის ადგილი, იქცეს აბსოლუტად...

ადამიანის გონებისა და ნების ყოვლისშემძლეობის ილუზიიდან შობილი ეს დიდი ამბოხება აბსოლუტის წინააღმდეგ საზარელი მარცხით დამთავრდა: ადამიანური გონება არავინ დაჩინილი ადამიანი კი - უფრო დაბეჩავებული, ადვილმონყვლადი და უბედური. ამის შესანიშნავ ილუსტრაციას მკითხველი იპოვნის ჟან ბოდრიარის ლექციაში “ქალაქი და სიძულვილი”, რომლის ერთი წლის წინ დაბეჭდილი ქართული თარგმანი (“არილი”, 2001, №16) ჩვენში “ინტელექტუალური დუღილის” ერთგვარ კატალიზატორად იქცა.

ანდრო ბუაჩიძე

ფანჯარა

როგორ დაცარიელდა ჩვენი სანოლი ოთახი,
 სულ სხვანაირმა სიჩუმემ დაისადგურა აქ,
 და არა მარტო აქ,
 არამედ მთელ ბინაში, ამ უბადრუკ “ხრუშჩოვკაში”
 და განსაკუთრებით სანოლ ოთახში,
 ამ უვინროეს ოთხკედელში,
 სადაც მე თითქმის მთელი ცხოვრება გავატარე.
 ამ ოთახის მტვერითა ვარ გამოზრდილი,
 ამ ოთახის ნიჟარისებურ სიმყუდროვეში ვფიქრობდი, ვწერდი.
 და არ მეგონა ოდესმე ბუტაფორიად თუ იქცეოდა აქაურობა.
 აქ მეძინა სკოლის მოსწავლეს,
 აქ ვხდებოდი ავად და ველოდი გამოკეთებას,
 აქ ვისინჯავდი სიცხეს,
 აქ მეჯდნენ სასთუმალთან პირზე ღიმღლადაფენილი,
 იმედისმომცემი ექიმები,
 რომლებიც მოდიოდნენ ჩვენს ბინაში გამოძახებით.
 ფაქტობრივად ეს ოთახი კი არ იყო,
 ეს იყო სამყარო, სადაც ყოფნა შეიძლებოდა.
 სადაც სინდისის ქენჯნას ვიშუშებდი,
 სადაც ვაფიქსირებდი ჩემს არსებობას,
 სადაც სარკიდან ჩემი თავი მიყურებდა,
 სადაც მტვრის კორიანტები ბრუნავდა ჰაერში,
 სადაც ისმოდა მეზობლის ერთოთახიანიდან ნაღვლიანი გამები
 და სადაც დამთავრდა ყველაფერი.

რა უმოწყალოდ ვივინყებთ ხოლმე ჩვენსავე თავს
 სხვადასხვა დროში და სხვადასხვა ჭერქვეშ ნაცხოვრებნი,
 მეც დამავინწყდა ჩემი თავი, ჩემი ცხოვრებაც
 ამ პატარა ოთახის შიგნით,
 არყოფნა ხომ საკუთარი თავის დავინწყებაა,
 მამ ნაწილობრივ აღარც მე ვარ უკვე ცოცხალი,
 რადგან არ მახსოვს ამ ოთახში რას ვაკეთებდი.
 რაღა დამრჩა? ძველი ნივთები და შპალერზე მქრქალი ლაქები.
 დანარჩენი დამვინწყებია.
 რაღა დამრჩა? მზის ათინათი გამთბარ კედელზე,
 სხვა აღარ მახსოვს.
 რაღა დამრჩა? ჩემოდნები და ერთი სანოლი,
 ხო, ტანსაცმლის კარადა კიდეც,
 ნიგნები სანერ მაგიდაზე.
 მეტი არ მახსოვს
 და მთავარი, რაღა თქმა უნდა,
 რომელსაც ძალისძალადაც კი ვერ დავივინწყებ -
 ფანჯარა.

ოხ, ეს ფანჯარა, რომლიდანაც ჩანდა მასივი,
 “დინამოს” ბაზა და ფეხბურთის მწვანე მიწიერი,
 გრძელი ალვების ხეივანი, სკვერის ნარჩენი,
 ზედ ფანჯარაზე მოზღვნილი გრძელი ნაძვები
 და ქვეშ გაშლილი ფარდაგები - ფოთლების გროვა.
 ოხ, ეს ფანჯარა, უსუსური ერთი ფურცელი,
 გახევებული პეიზაჟი, ნიშა ცხოვრების,
 ჩარჩო, რომელსაც მე ვერასდროს ვერ გავექცევი,
 ჩემი მზერა რომ სამუდამოდ გამომანწყვდია,
 თითქოს ცხოვრება მე ასეთი დამამახსოვრდა,
 როგორც ვნახე ამ ფანჯრიდან
 და შთავიბეჭდე.
 ღმერთო, რამდენი რამე ჩანდა ამ ფანჯარაში,
 სახურავები, და ფოთლების ნაწიბურებიც
 მთელი ცხოვრება რომ მეცქირა მე ამ ფანჯრიდან
 მზერას ყველაფერს ვერასოდეს ვერ შევავლებდი.
 აკი ვუცქერდი კიდეც დიდხანს,
 მაგრამ რა ვნახე?
 რა გამოვლდიტე ფანჯრის ჩარჩოს?
 რა ნამოვილე?
 შორს ძალიან შორს
 მტკვარგალმა და იმის იქითაც
 ნაძალადევის კორპუსების მაღალ სახლებზე
 ჩამავალი მზე ირეკლებოდა.
 მტკვარგალმა კი მატარებლები მიქროდნენ სწრაფად.
 ნაშუალამევს, სისხამ დილით მათი დგანდგარი
 გამოვლიძებულს ჩამესმოდა გაუთავებლად...

როგორ დაცარიელდა ჩვენი სანოლი ოთახი,
 სულ სხვანაირმა სიჩუმემ დაისადგურა აქ,
 თითქოს დამთავრდა აქ ყოფნა და სხვა რამ დაიწყო,
 რა დაიწყო?
 ან რა დამთავრდა?
 პეიზაჟი ხომ არ მთავრდება?
 სახლისუკანა ფანჯრების ძირში
 უდაბურება ისადგურებს ხომ იცით მუდამ.
 ვიწრო ეზოში ყრია ფოთლები

და სხვა უბრალო ნამუსრევი,
 გადავლილი ცხოვრების მსგავსი.
 რას აღარ ნახავ,
 ფეხსაცმელებს, ფანჯრიდან რომ გადმოუძახეს
 და სიგარეტის ნანვავების ახორხლილ გორებს.
 კიდეც რა? ბავშვის სათამაშო, შარვლის ნაფლეთი,
 თმის ნაგლეჯები და კატების ნაჩუმათევი,
 დამთავრდა.
 მაგრამ იქნებ, იქნებ აქვე
 რაღაც იწყება,
 და თუ არა და,
 ყველაფერი რად მახსენდება?
 რად მახსენდება დიღმის მასივის ელექტროკვანძი -
 სამოციანი წლების ლანდშაფტი;
 მინდვრებში ბალახს ძოვდნენ ცხენები
 და მინდორი უკიდევანო
 მაგონებდა ცარიელ და თვალუნვდენ სტეპებს.
 როგორი დარდი მოწვეთავდა ლაჟვარდებიდან!
 როგორი სევდა ეფინებოდა ალვებს და მინდვრებს.
 როგორ ქრებოდა ეს ლანდშაფტი ნათურასავით.
 ლამდებოდა და ჭილყვავებით იხუნძლებოდა ალვისხეები.
 ჭილყვავები მოფრინდნენ-მეთქი, ვიმეორებდი
 და ვეძებდი რუსულ პეიზაჟს,
 რომელსაც ზუსტად ასევე ერქვა...
 დამთავრდა.

როგორ დაცარიელდა ჩვენი სანოლი ოთახი
 სულ სხვანაირმა სიჩუმემ დაისადგურა აქ,
 მე ახლაც ვდგავარ ფანჯარასთან და ვიყურები
 ზურგშექცეული “ხრუშჩოვკისაკენ”,
 შემოდგომა მაინც მოვიდა.
 და მიდის უკვე.
 შეიცვალა პეიზაჟი.
 მატარებლის ხმა აღარ ისმის სანაპიროდან.
 თითქოს სხვა ხმებმა გადაფარეს.
 ნაძალადევის კორპუსებსაც ჩრდილი მიადგა.
 ვერც ფეხბურთელებს ველარ ვხედავ მწვანე მიწიორზე
 აჭრელეული მათსურებით.
 და, რა თქმა უნდა, მსაჯის სასტვენის
 ხმაც აღარ ისმის.
 დამთავრდა მატჩი.
 ჩვენი ფანჯრიდან მოჩანს ახლა უწინდებურად
 გაყვითლებული ხეივანი ალვისხეების
 და კიდეც ერთიც:
 გზისპირას მდგარი რკინის დიდი
 ნაგვის ყუთები.
 ყუთებში ჯოხით იქექება ტომრებიანი
 უპოვარი, სანყალი კაცი.
 ზამთრისათვის სარჩოს აგროვებს.
 ცოტა ხანს კიდეც დავაყოვნებ.
 ჩამოვჯდები.
 მერე ოთახს თვალს მიმოვაგლებ.
 რაღა დამრჩა? ჩემოდნები და ერთი სანოლი.
 ხო, ტანსაცმლის კარადა კიდეც.
 ნიგნები სანერ მაგიდაზე.
 მეტი არ მახსოვს.
 და მთავარი, რაღა თქმა უნდა,
 რომელსაც ძალისძალადაც კი ვერ დავივინწყებ -
 თვითონ ფანჯარა.

გაბრძნაშვილი გი-6 გვერდზე



* * *

როგორ შეძელი ყოფილიყავი
ჩამქრალი, როგორც კვარი,
როცა უბრალო ყოფიერება
სავსეა რგოლით მთვარის.

სავსეა წვიმით, ხშირი წვეთებით,
მოხეტიალე ნისლით,
სავსეა შუბლზე გადაგლესილი
უცნობი კაცის სისხლით.

ან ისე წასვლა როგორ შეძელი,
“ნახვამდის” რომ არ გეთქვა,
ჩვენ ხომ სულ ერთხელ და უკითხავად
ასე მოვედით - ერთგან.

ისევ ირხევა იმ საკიდარზე
ჩამოკიდული პალტო -
იმისი, ვინც სულ მართო იყო და,
დარჩა ასევე მართო.

როგორ შეძელი ასე უბრალოდ,
ასე უჩუმრად... ასე...
ქცეულიყავი ღამეებივით
სიცარიელით სავსე.

ახლა რას მერჩი, რა გავაკეთო
საით მეჭიროს თვალი,
უცნობი კაცი მოდის ქუჩაში
ხელისცეცებით, მთვრალი.

* * *

სადღაც აგდია ჩემი ლექსები -
ტრიალ მასივში, ქარში, წვიმაში,
ტრასასთან, სადაც დგანან მწყემსები
და ცხვრის ფარაა და მე ვწვრილებ

ნერვებაშლილი... ჩემი ლექსები,
სამხედრო გზასთან ცხვრების ბაზარი...
ცხოვრება თვალის ერთი შესწრებით
მთავრდება... კვიპაროსი - საზარი...

მინდოდა ყრია ძველი ფურცლები,
სადაც კორპუსებს დასთრევს ჩრდილები,
როგორ ტოკავენ ჩამონთხეულნი
და ერთმანეთში ხელგაჩრილები.

ჩემი ლექსები... ყველგან... კიბეზე
ლექსები, როგორც სისხლის წვეთები
საფეხურებზე... ნეტავ ვინ ეძებს,
ვის დაკარგვია, წვიმა გრძელდება...


და ქარს ედება მკრთალი ფურცლები,
აღმა ფრიალებს სველი ლექსები,
და არ მეგონა თუ გავუძლებდი,
რადგან ყოველთვის თავს მამბებდნენ

გაგიჟებამდე. და მეც ვგიჟდები,
და მეც ვანთივარ ანდა ვეგზნები,
როგორც ცხოვრების მკრთალი ნიშნები,
სუყველგან ყრია ჩემი ლექსები.

ქარი. მასივი. ცხვრების ბაზარი,
სალამო წვება ჩამქრალ ტრასაზე,
კვიპაროსია იქვე საზარი
და შეღამება ხელს ასავსავებს...

* * *

როცა სამყარო სავსეა ქარით,
ჩვენს მეთორმეტე გადახრილ სართულს
უამინდობის ატყვია ბზარი
და გულსაკლავად აწვიმს და ათოვს.
ჩვენ მეთორმეტე სართულზე ვცხოვრობთ
და როცა წვიმის ტყლაშუნობს შოლტი
ფანჯრის მინებზე. პატარა სოროს
თავზე ატყდება უაზრო შფოთი.
სახლი ირხევა, ქანაობს ჭალი
სააქაოში. და გაშლილ აფრას
დიდი სახლისას წვიმისკენ წახრილს
მიეზიდება სიმძიმე დაბლა...
ჩვენ მეთორმეტე სართულზე ვცხოვრობთ
ჩვენ აქ ვთამაშობთ, გვძინავს, ჩვენ ვიცით,
ეს არცთუ ისე პატარა სორო
სივრცეში ტოვებს ტირილს და სიცილს.
ჩვენ მეთორმეტე სართულზე ვცხოვრობთ
და ჩვენს თოჯინებს, სურათებს, ალმებს.
წვიმა და ქარი მხოლოდ და მხოლოდ
ნაგრძელებულ ხელს წვალეებით ავლებს.
ჩვენ აქ ვთამაშობს, გვძინავს, ჩვენ ვიცით,
რომ ნუცუბიძის საცოდავ პლატოს
ზუსტად ამ მჭიდრო ფანჯრების გასწვრივ
ანვიმს და ათოვს, აწვიმს და ათოვს...



ვინ უდარაჯებს დარაჯებს?

თამარი ფხაკაძე

მოკლეთა, აეს დროა რაა, სა-
დამოსკენაა ცოტათი უკვე და,
აგე იქა, დაღმართის თავში, წყა-
როსთანა ვზივართ სუყველა:
მეე, თაზოო, უჟმურაი, დოლა-
რაა, რავი, ნაზოს ბიჭები ორი-
ვეი, შამფურა და ისა, ელიკოს
გერი როა, ჰოო და, აეგრე, სალა-
მოსპირია, მაგრამ ცხელა, ცხე-
ლა რო, არ გაისადღისება...

ვზივართ, ხვატი აგვდის. ეხ-
ლა, ემოდენა ორი წყალი შენცა
ხედავ, გვერდზე ჩამოგვდის.
ქსანი გინდაა, მტკვარი გინდა,
შედი და გაიგრილე, დალოცვი-
ლო, მაგრამა, გვეზარება ეგეცა.
ეგრე ვყრივართ, დასიცხულ კა-
მეჩებევითა. აზრი არ გვიტოკამს
თავში და რაღაცეებს მივედ-მო-
ვედებით ისე, უნდილათ. დოლა-
რასა ანეგდოტების მოყოლის
თავი რო აღარ ექნება, რაღაცა
ამბავია იქა... ეგრე, უჯიგროთა
თქვაა ერთი-ორი და გაცილების
თავი არა გვაქ. აქითა, უჟმურა-
სა, გაუშტერებია თვალი და მი-
ჩერებია გზაას...

გაეხედოთ, ბადო მოდის ქვე-
იდანა. ჯინსის შარვალი აცვია
ახალი, კაი თეთრი საროჩკაი,
თმა გაუკეთებია ქალაქში, მოკ-
ლეთა, მოდი აქა და მნახეო, ეგე-
თია.

ამოვიდა ჩვენამდის. სახეზე
ანერია, კარგ გუნებაზე ვაარო.

- რასა ყრიხართ რიყის ქვები-
ვითა! ცოტათი შეტოკდით მაინ-
ცა, დახოცილები არ ეგონოთ
შორიდან კაცსა!

თითქო, იმი სიტყვაზეო, შე-
ვინძერ-შემოვინძერით, ხმა ამო-
ვიღეთ, სიცოცხლე დაგვემჩნია.
ბადო კიდე, ამბობს:

- ფულში მაქ ჯიბეში, არაფერი
ექნათო?

- რამდენი გაქ? - წამოყო მი-
ქინდრული თავი დოლარამა.

- რამდენი და ბევრი! აჰა და
გავიხაროთო!..

დააძრო ჯიბიდანა ფული,
ამოაფრიალა და ვააჰ, ბიჭოო,
იმწუთასვე არ მოვედით ცხოვ-
რების მულამზე?!

ააბა და, დაიწყო აზრებმა
ტოკვა ემ დაშტერებულ თავებ-
ში. ჰაი, ესა ვქნათ, ჰაი, ისა
ვექნათ... ვის ფაცხაში მოუნდა
დროსტარებაი, ვის - ბოიებში,
ვის - ციკნის ყიდვადი, მდინარის
პირზე მწვადების წვია...

ბადო გაბადრული დგას, უხა-
რია ეს ჩვენი გამოხალისება. მე-
რე ეგრე თქვა, თქვენ აქ რამე მო-
იფიქრეთ, ერთ აზრზე დადებით,
მე კიდე, მაგასობაში აბაზანას
მივიღებო. დააეშვა მტკვრისკე-
ნა. ჩაიბრახინა. მიაყარა რიყზე
ის ჯინსი და საროჩკა და შეცურ-
და წყალში.

ვუყურებთ ზეიდანა. ეხლა,
ბანაობის მულამზეც მოვდი-
ვართ...

დავეშვით ჯოგვითა. მიყვა-
რეთ ჩვენც ტანისამოსი რიყზე
და ავადგაფუნეთ წყალი... ერთი
უჟმურა დარჩა ზეითა.

- ჩამო, ჩამო ბიჭო! - ვუძახით
აქიდან.


უჟმურა რათა ჰქვია, - ზიის,
მარაქაში არ ერევა.

- გაანებეთ, ბიჭო თავი, - იძა-
ხის შამფურაი, - ისა ააქ მაგასა
დღეს... აი... ის როა...

- ვეჰეჰეჰე... - ვიცინით ვე-
ლურებივითა.

ბადო შუა მტკვარში გასულა.
იმას ვინ მიენევა ცურვამი...

ამოვედით გაგრილებულები,



გალალებულები, მადაზეაც მო-
სულები. გაგვიდის ფრუტუნ-
ფრუტუნი. ვინ ცალ ფეხზე ხტის
და იბრაგუნებს ხელისგულს
ყურზე, ვინ ცხელ რიყეზე გდია
ტარანივითა...

ბადოც გამოვიდა წელიდან.
დაჯდა რიყეზე. შემოიცვა სველ
ტანზე ის თეთრი საროჩკაი...

- ვაჰ, მე რო არა გყავდეთ, რა
გეშველებოდათ, ჰა? ბიჭო, ეხლა
დინახეთ ეს წყალი? მე რო არ
ამომეწლო, სულელები უნდა დაგე-
ლაფათ სიცხითა? - იცინის, მოუ-
ჩანს ქათქათა კბილები.

- ბიჭო, მამუკ, მოიფიქრეთ
რამე? - მეუბნება მე.

- რას მოვიფიქრებდით, თან
მოგყეთ, ცხვრის ფარასავითა...

აგრილდა. ჩაეცვით ტანზე
და ავედით ისევე ზეითკენა, ბირ-
ჟაზე. უჟმურა იქავე ზიის. გვე-
ლოდება.

- ბიჭო, რო დამჯდარხარ აქა
სოლომონ ბრძენივითა, მოიფიქ-
რე რამე? - გაჰკრა მუჯლუგუნი
ბადომა.

- ციკანი დავკლათ. მწვადები
შევენათ. ხინკალიც გავაკეთებ-
ნოთ ვინმესა...

- ვისა?

- რა ვი... გინდა ნაზოსაა, გინ-
და შამფურას ცოლსაა...

- ცოლები არა, ისა! - გაანყ-
ვეტინა ბადომა, - უქალებო ქეი-
ფია, ძმაო, კაცური! თაზო სა-
დაა... თაზოზე კარგ ხინკალსა
რომელი ქალი გაგიკეთებს,
თქვი...

მოკლედ, დაფაცურდით ყო-
ჩაღათა. წამისუმაღ გავაჩინეთ
ყველაფერი. ციკანი, ფქვილი,
სახინკლე არაყი... საზამთრო...
ყველაფერი, თავის მუსიკებითა.
აბა, ნავიდა წალამი და ცეცხლის
ტკაცანი, კარდალა და ხინკლის
ტყაპა-ტყუპი...

ვაჰ, ბიჭოო... აბა, იმას ერქვა
დროსტარება!.. შუქი გვააქ გა-
დატანილი მავთულებითა, გაგ-
ვიდის გნიასი და ვარხალალო...

უამისოდ სადა ყოფილა და
ბადო ამბობს, ჭიქა უჭირავს
ხელში სავსე:

- ბიჭებო, ვისაც ცხელი ხინ-
კალი და კაი ჭაჭა უყვარდა, იმის
წინ იყვესო...

წამოვედქით ყველანი ფეხზე.

- მიაგებოს.
- იმათ წინ იყვეს...
- ხსოვნა იყვეს უდროოდ წა-
სულელებისა.

გავისხენეთ სუყველა. ერთი
მაინცა, ჯერ წელიც არ შესრუ-
ლებოდა, ჩვენუბნელი იყო, კაი
ბიჭი, კაი ვაჟკაცი, მტკვარზე და-
იხრო საწყალი, გული გაუსკ-
და... ვეფხო ერქვა.

- ხსოვნა იყოს ჩვენი ვეფხო-
სი, - თქვა ბადომ და გადაჰკრა.
დავლიეთ ჩვენცა. დავსხედით.
ჯიგარი აგვენვა ყველას რაღაც-
ნაირათა. გულელები დაგვიმძიმდა.

- ეეჰ... ვეფხომა, ბიჭებო, თა-
ვის მტკვარში მაინც დალია სუ-
ლი... ეგა, იცით როგორაა? აი,

საყვარელი ცოლის კალთაზე რო
დაღვეს კაცი სულსა...

- ეგრეა, ეგრეა...

- ბრალი იმისი, ცხრამთას
იქით რო ებარება მინასა...
უცხოებაში.

- მაა... მაა...

- აბა, ჯემალა რო ნავიდა სა-
ცოდავი, სადღაცას, ამერიკაში.

- მაა, კაცო... საწყალი...

- რო რეკავდნენ იქიდანა,
კვდებო და... ეჰ... იმის ძმამა მე-
რე მანქანა გაყიდა და ნავიდა...
მინა წაუყო აქისა და ქსნის წყა-
ლი ბოთლითა...

- ეხ...

დავლონდით ყველანი.

ამასობაში, კაი გვიანი ღამე
ჩამომდგარიყო. ვზივართ ასე,
მდინარის პირას, ყაჩაღებივითა.
გვინთია ცეცხლი. ვამიშხინებთ
მწვადებსა. მოდის და მოდის
ცხელ-ცხელი ხინკალი, მოპილ-
პილბული... ხოშიანი.

- ჰაა, ეხლა! აქა ვაართ ჯერა!

- დავცაბა ბადომ, - ცოცხლები
ვართ და სიცოცხლე გვიხარია.
დაასხი, ბიჭო, რას გაშტერე-
ბულხარ!

გავაგრძელეთ ქეიფი. ერთი
არ აჯაგრულა არავინა... ერთი
წვეტიანი სიტყვა არა თქმულა
რამე...

ამისა ვთქვით, იმისა, იმისა,
ამისა... ბუჩქი აღარ დაგვიტოვე-
ბია უღლეგრძელებელი.

შუალამე დაგვადგა თავზე.
სავსე მთვარე ანათებს, რაღაც
გინდა ნათურა და რამე! აქეთ
მტკვარი ლაპლაპებს, იქით -

ქსანი. ცეცხლი მინაკვერჩხლე-
ბულა. ჩვენც, ცოტა მოვუკელით
გნიასა. ეს დოლარა ყვება და
ყვება ანეგდოტებსა. გაეხსნა
გულის პირი. ეს ნაზოს ბიჭები ხო
მღერია, ხმები ააქეთ ორთავე-
სა. ჩვენცა, დავაბლავლებთ იქა-
აქ... შამფურა და თაზო დატრია-
ლებენ მწვადებსა. ჩიტის რძე არ
გვაკლია. ელიკოს გერსა, დაუჭე-
რია ჭიქაი და როგორც იცის, ამ-
ბობს და ამბობს და ამბობს...

- მაღალ ღმერთსა ვფიცავარ,
უქრთამოსა... რო აი, ... კაცი რო
თეთრ კბილს მიჩვენებს და... აი,
თეთრ კბილს რო მიჩვენებს და
გული შავი ააქ... აი, ეგეთსა...
ეგეთ კაცსა...

- უკბილო ნახე შენცა, უკბი-
ლო! რა გულს იხეთქავ! - ელა-
მათ უცინის თაზოი.

- ჰოოდა, შეუღია კარი ქმარ-
სა და რასა ხედავს! ეს მაგისი
ცოლი, ძმაოო... - ყვება და ყვება
დოლარა ანეგდოტებსა.

ძაღლები ყეფენ ზეით, სო-
ფელში. ღავლავენ. ღამის
ოთხი საათია, ასე. წამოდგა ბა-
დო და ამბობს:

- თაზო, დაყარე ერთი მაგ
ღრმა საინზე ბლომათ ხინკალი,
ჯიგარო...

დააყარა თაზომაც, მოაპილ-
პილა. დადგა.

- ესა ეხლა, ვეფხოს უნდა წა-
ვულო მე, ჩემი ხელითა, - თქვა
ბადომ, - ეგრევე, ცხელ-ცხელი.

დაგვეყინა ძარღვებში სისხ-
ლი. ოხრიშვილი ვიყო, ერთბაშთ
გამოვფხიზლდი.

- რას ამბობ, ბიჭო! სასაფლა-
ოზე... ამ შუალამითა...

- ჰოო. სასაფლაოზე, ამ შუა-
ლამითა, - გამომეორა ბადომ, -
რა არი რო? ი ბიჭი სულ იქაა და
არ ემინიან!

დოლარამა კიდეც:

- რას ამბობ, ეე მაგასა, ჩემო
ძმაო, სტოტისიწ დოლარიან ნიძ-
ლავზე ვერ ვიზამ.

უჟმურამა კიდეც:

- ბადო, გული ცუდს მეუბნე-
ბა, ჯიგარო, აქვე დარჩი, ცუდად
ნუ ატყდები...

- გაჩე ძმაო, ნიძლავი ხო
არაა, მართლა.. - ვეუბნები.

- გინდაც და, ნიძლავი იყოს!
სადაა ისა... გოჩა სადაა...

ნაზოს ბიჭს ეუბნება, უმც-
როსს:

- აირბინე შენა, ერთი-ორი
დიდი ლურსმანი, ერთი პატარა
ფიცარი, ასე, ამხელა და ერთი-
ცა, სარები რო გაქვთ მიწყობილი
კაკალთანა... ჩამომირბენიე...
იქავე გიყრიათ ყველაფერი, იცი
სადაცა...

ნავიდა გოჩა უნდილათ. ვერც
უარი უთხრა.

- ფიცრები და ლურსმნები
რალათ გინდა, ბიჭო, - ეკითხება
უჟმურა.

- პირუტყვივით, მიწაზე ხო
არ დავუდგა ალმასივით ბიჭსა
სასმელ-საჭმელი!

ჰაა და, გაჩნდა ლურსმანიცა,
ფიცარიცა, ფეხიცა... მარტყა
რიყის ქვა ერთი-ორჯერ და ხელ-
დახელ გაამზადა ჩასარჭობი მა-
გიდა, ერთფეხა.

ვფიქრობთ მაინცა რო, გადა-
იფიქრებს, ვერ გაართმევს თავ-
სა, ვერ დაიჭერს ამდენ რამეს
ერთად... გეგონოს შენა! საათი-
ვით აანყო საქმე. ამოიჩარა ეს
მაგიდა ილლიაში, არყიანი ბოთ-
ლი შარვალში გაირჭო, დაიჭირა
ხელში ხინკლიანი თეფში და მი-
დის!

- გონზე მოდი, ბადო, ძმაო -
ვეუბნები, - ეგეთ რამეებთანა
თამაში ხიფათია, გაიგე შენა?

- არცა ვთამაშობ, ნაღდს ვა-
კეთებო, - მიპასუხა.

ვდგევართ დაზაფრულები.
მოგვიტრიალდა და გვეუბნება:

- თქვენა აქა, ქეიფი არ გააჩე-
როთ, მე იმ ბიჭსა ამეებს ავუტან
და დავბრუნდები. ცეცხლი არ
ჩააქროთ, მწვადი და ხინკალი არ
გამოილიოთ, დილა თავზე უნდა
დავითენოთო.

ნავიდა და ნავიდა. ეგ იყო.

ჩვენა აქეთ, ვითომ ქეიფის
გაგრძელებას ვჩაღიწობთ. არა-
ფერი გამოგვდის. ზაფრა გვააქ
დაცემული, ოჯახკეტიანი.

საათი გავიდა. ორი საათიცა.
არა ჩანს ბიჭი. დავტოვეთ უჟმუ-
რა ცეცხლთანა და ნავიზლახნე-
ნით. ფეხები უკანა გვრჩება. მი-
ვუყვებით სასაფლაოსკენა დი-
ლა-ბნელში. თან წინ მივშტერე-
ბივართ, აბა თუ მოდის ბადო, აბა
თუ წინ შემოგვეყრება.

- ბიჭო, მამუკ, იქნებ იქიდანა
სახლში ნავიდა, ჰა? - მეუბნება
ხმადაბლა შამფურა, - იქნება,
წევებს ლოგინში, ძინავს თავისთ-
ვინა, ბიჭო... ჩვენა კიდეც...

- რა ვი, აბა... ეგრე არა თქვა,
დავბრუნდებო? დილა თავზე
უნდა დავითენოთო?

მივდივართ. ნამიან ბალახში
შარვლის ბოლოები დაგველუმ-
პა. ჟრჟოლამ აგვიტანა.

- იქნება, იქავე ჩაეძინა? - ამ-
ბობს დოლარა.

- სადა, ბიჭო...

- ვეფხოს საფლაზე...

მივდივართ.

შორიდანვე დავინახეთ
ვეფხოს საფლავი და ბადოს
თეთრი საროჩკა... ავუჩქარეთ
ფეხსა.

ეეეე... რასა ხედავთ!

შუბლითაა ჩამხოზილი ბადო
საფლაზე. წინაა წაქცეული. ეგ-
რე გდია, წაჩოქილი.

გადმოვებრუნეთ... მკედარია
ბიჭი!

შუბლი მინითა აქვს ანეპილი.
თვალეში კიდევა, ღია თვალე-
ში, იმოდენა შიში უდგას, იმოდე-
ნა შიში უდგას, ჯიგარი დაგენვე-
ბა ცოდვითა...

- ვაიმე, ვაიმე... ვაიმე დედაა,

ვინ უდარაჯებს დარაჯებს?

მამუკიძე გვარამია

- ჩურჩულთ იტყვის და იტყვის ხელს შუბლში დოლარა. რაღაა საჩურჩულო...


ვართ გამშრალ-უგრძნობელები... მერე, წაიშინა შამფურამაც თავში მუშტები. ვხვდებით, უკვე ნელა და ნელა რო, აღარაფერი ეშველება ამ საქმესა... აღარაფერი. აღარაა ბიჭი. ბადოოო. ბადოო... ვაიმე, ბიჭო... რა გვიყავი ესაა... რა ვუთხრათ თქვენებსა, ბიჭო... რა ვუთხრათ, ამის ღმერთი აღარ იქნა, ამისი... - ვგევართ დასაბმელ გიჟებსა. ვტირით, ზოგი ხმითა და ზოგი უხმოთა, ზოგი ცრემლითა და ზოგი უცრემლოთა...

ასი წლისა რო მოვიყარო, სახელი რო აღარ მახსოვდეს ჩემი, ის არ დამავიწყდება... ის შავი დილა. რიჟრაჟია ოდნავი და საფლავის ქვები პრიალებენ

აქეთ-იქითა... ძალი ცმუის სადღაცა... ქვედაუბნისკენა... ვეფხო გვიცინის საფლავის ქვის სურათიდან. თითქოს რო, რა იყო, ბიჭო, რამ გადაგრიათ, ყველანი აქ არ უნდა მოხვიდეთ, ვინ როდისო? ეს... ეს ბადოს თეთრი საროჩკა კიდევა... ქათქათებს შავ მინაზე... სულეთის ბაირალი-ვითა... და იქაა ბიჭი... იქავე, ჩვენ წინა, ჩვენთანა და ჰა! არაა თან, გესმის შენა? შორსაა უკვე... არც ვიცით, სადა...

ეჰ... გათენდა ის ვერანა და ატყდა სოფელში ცოდვისტირილი... მთელი კვირა... მთელი კვირა... მოსაგონრათაც ძნელია. ავნიეთ მერე და ავიტანეთ სასაფლაოზე... ისევ იქავე... ახლო-შივე ვეფხოსთანა...

მარა, რა მომხდარიყო იმ ღამით, რო იცოდე... იმ გაგიჟებულზე რას მივხვდებოდით რამესა და მერე... მერე კი დავალაგეთ



საქმე... რა მოსვლია, რო იცოდე იმ უბედურსა.

ის თეთრი საროჩკაი, გახსნილი არა ჰქონდა? ჰოდა, რო ჩაუმუხლია ვეფხოს საფლავზე, ჩაუცია მაგიდაი მინაში და ბნელში საროჩკაც ზედ მიუტანებია. მაშ! სარით იყო გაგლეჯილი საროჩკის კიდეი. ჩაურჭია, ჩაურჭია მაგიდაი მაგრათა, დაუდევს ზედა ხინკლიანი თევში და ბოთლი. რა იცის, რო საროჩკაც ჩაეჭედა მინაში... რო წამოინევდა ასადგომათა და, დაქაჩავდა ბნელში რაღაცაი. ეგონა კაცსა, უბედურებაა ჩემს თავს, მკვდარი მექაჩება საფლავიდანაო და... გაუსკდა კიდეცა, გული! შიში რო არ იცოდა რა არი...

ესე იყო...

გუშინაც ვუხსენეთ სული. ოცდაოთხი წლისა გახდა გუშინა და...

წიგნოსაცავი, ტრამვაი და ქარის წისქვილები

ირაკლი ალექსანდრია

სასუფეველზე უფრო ზღაპარი გვენატრება


დ. თუმანიშვილი

უზარმაზარ დრაკონზე ჯადოქარი მოფრინდა და წიგნოსაცავში შეაღწია. შემდეგ ოთახებში კვამლი გავრცელდა და წიგნები გაქრა. თავშესაქცევი ამბები ამადის გალელისა და რინალდ მონტალვანელის, მუჰამადის ოქროს კერპის გამტაცებლისა, სერვანტესის "გალათეა", პალმერინ ინგლისელის თავგადასავალი და სხვა არაერთი კრებული. ამ ისტორიას "დონ კიხოსის" VII თავში ამოიკითხავ.

ერთი სადარბაზო მეგულებოდა ოქროს უბანში, ერთ მოხუც კნეინას რომ ეკავა. ძველმანების დუქანსა და ტკბილეულობის სარდაფს შორის. მათ წინ, დახლზე გამოფენილი გოგრებითა და ძველი წიგნებით. იქ დავიდებოდა.

შიდა ეზოს თალზე გაბზარულ კარიატიდებს შენიშნავდი. სადარბაზოსთან, ცისფერთვალეა უსაქმურს, აკორდეონზე ჩამოქდარს. იქვე კიდეც რამდენიმე დაეხეტებოდა, გრძელი დანებით. ხვეული კიბით სარეცხის ხაფანგებს აუუქცევდი გვერდს და სხვენში ავდიოდი, სადაც ფანჯარაზე შემოდგომული ყვავილები, ხის გლობუსი და გაცვეთილი წიგნების სკივრი მხვდებოდა. ერთხელაც, ვცადე ესეი დამენერა ბორხესზე. იმას ვფიქრობდი, ეს სახელოვანი მთხრობელი, რუსული სათამაშოს ყაიდაზე, ერთმანეთში მოთავსებულ, ერთ ზარდახშაში მომექცია და ამავე დროს დონ კიხოსისთვის შემედარებია. ეს რამდენიმე კვირაა თამბაქოს ბოლქვებს დავალწიე თავი, ასე რომ, უქმად მყოფი ყალონი მელნით გავავსე, ფოსტიდან წამოღებული კალამი მოვიმარჯვე და წერას შევუდექი. ზემოთ მოყვანილი აბზაცით დავინწყე. მერე ასე ვაგრძელებ.

წიგნებს შორის, ჯადოქარს რომ გაუტაცებია, ფლორენციაში შეთხზული ერთი ამბავიც მოხვედრილა. იმ განწყობით დაწერილი, რასაც სან მარტინოს



მოედანზე ყვებოდნენ, ჩამომდგარი ქუჩის მთხრობელნი, კანტასტორიები. გამვლელებს რომ ართობენ, თქმულებებით გველუშებთა განმგმირავ მხედრებზე. ამ საოცარ მოედანზე ყველა იმ ისტორიას მოისმენ, რომელთაც გულუბრყვილო ლამანჩელი რაინდის გონება წარიტაცა. პოემები, უეცრად, ყველაზე საინტერესო სტროფზე წყდება და მსმენელს სთხოვენ მეორე დღეს მობრძანებას. შაჰრაზადასა და მოხეტიალე მუჰადისების ფანდს მიმართავენ, ვინც ალადინის ლამპარის სიზმრებითა და მუსლიმური ესქატოლოგიის ბოლქვებით ატყვევებდნენ მსმენელს. ბრძენ ვარსკვლავთმრიცხველებს, მაღინურ ბალიშზე წამოწოლილ სულთანსა და ცნობის მოყვარე ქუჩის უსაქმურებს. ჯოჯოხეთის მცველ, ანგელოზ მალიქზე ყვებოდნენ, და ხე ზაკუმზე, რომელიც ჯოჯოხეთის სულ ქვედა, მეშვიდე საფეხურზე იზრდება. ყვავილების ნაცვლად შეითნის თავები ასხია. იქვეა

მდულარე კუპრი და ულრმესი ჭა.

ამ ისტორიებით მონუსხული ერთ-ერთი მსმენელი ბორხესია. ცხოვრება წიგნოსაცავის სარდაფში რომ გაუტარებია. მასზე საუბრისას, პირველი, ალბათ, სარკეები და წიგნები წარმოგიდება, ებრაელი ბუკინისტები, თავბრუდამხვევი ესეები და სიზმრების ანთოლოგია. თაროებზე შემოწყობილი კაფკას "დაღვრემილი და ზრდადი ლაბირინთი", დე კუინისის ოპიუმის ხილვები და სვედენბორგის ჰალუცინაციები. კიდეც ლიტერატურული ანარეკლებით დასახლებული გარეუბნები: ჩემის რწმენით, საუკეთესო რაც ალუნერია, რამეთუ მათ ბავშვის ტრაბახი და სევდა შემოუნახავთ. უფრო დაფასებულად და მწერლის რაობის გამომხატველად კი, ზრდასრული ბორხესის მწიგნობრული გამოწავონი ითვლება, სიზმრების მითოლოგია. მისი სამყაროს მოხდენილად წარმოსადგენად, ბიბლიოთეკისკენ მიმავალ ტრამვაის გაგახსენებთ. მასში, ჯადოსნური ისტო-

რიებით და სიზმრებით თავგზაბნეული ბრმა მთხრობელია, ხელში დანტეს ფანტაზიების ტომით. გარშემო გადაშლილა კორალესი და ბახო, ზემო ბატერია, ბოკა, ჩაკარიტას სასაფლაო; წიგნების ნამსხვრევებისგან და არეული წარმოსახვისგან შექმნილი ფანტასტიკური სამყარო, მაგიური ფარნების ამღვრეული სინათლით. გასვრილი სარკმლიდან, იქნებ ვარდისფერ ალმასენთან ჩამომდგარი ორიოლიერობიკი შენიშნო, ფართოპირიანი დანებითა და ყურში გარჭობილი წითელი მიხაკით.

ეს რაც შეეხება ბორხესს. და რა ხდებოდა ამ დროს კასტილიის ფერდობებზე. კედლის ლუმელთან ვთბებოდი და ამას ვფიქრობდი. ფანჯარასთან ჩარჩო და ძველი სპილენძის სასწორია ჩამოკიდებული. რაკილა წიგნების კითხვით თავგზაბნეული, ორი ადამიანის შედარება გადამიწყევტია, სასწორის ერთ თასში ბორხესი და მისი ტრამვაი მოვათავსე, მეორეში დონ კიხო-

ტი და როსინანტი. მათთან ერთად მათი წიგნები. ბორხესის წიგნოსაცავს უმეტესად დაავადებულ ადამიანთა კომარები დაეცია, და იქნებ ამან იყო, თასი ლუმელისკენ რომ ჩამოსწია, დონ კიხოსის წიგნებში კი რაინდებს კეთილშობილებასა და ქვრივობოლთა დაცვას უქებდნენ. ამან მოხიბლა და გადააწყვეტინა გმირობებისა და საოცრებათა საძიებლად გამართულიყო.

დონ კიხოსმა მონტელისა და ტობოსის სივრცეები თავისი ფანტაზიების, გოლიათების, ჯადოქრების და ჯადოსნური გამოქვაბულების სამყაროდ აქცია. სამიკიტნოები სასახლეებად წარმოედგინა. ჭუჭყიანი გარენრები, მარკიზებად და ფერიათადარ დუენიებად. ისინი კი ტალახითა და უშვერი სიცილით უმასპინძლებოდნენ. ამ საოცარი ისტორიიდან, მეხსიერებამ ვირზე შემომჯდარი სანჩო პანსა, მზეთუნახავი დულისინა და ქარის წისქვილები შემოინახა. მაგრამ უყურადღებოდ დაუტოვებია წიგნის ყველაზე საოცარი, ბოლო თავი. არც ბორხესს მიუტყვევია მისთვის ყურადღება. მართებული იქნება ვიფიქროთ, რომ მან ვერ აღიქვა აგზნებულ წარმოსახვასთან განშორების შესაძლებლობა. კეთილშობილი რაინდი მას ბოლომდე წიგნებისა და ზმანებათა სამყაროში ხეტიალისას დაამახსოვრდა. საკუთარი თავიც სწორედ რომ ასეთ რაინდთან გაუიგივებია, რაკილა ღრმად მოხუცებულს და გატანჯულს უთქვამს, მთავარი რაც გარდამხდომია, მაჩემის წიგნოსაცავმა დაიტია, იქიდან არასდროს გამოვსულვარ, როგორც არასოდეს გამოსულა თავისი ბიბლიოთეკიდან ალონსო კიხანო.

ბოლო თავში კი ლამანჩელი რაინდის ფერისცვალებაა აღწერილი. ალონსო კეთილად ქცეული დონ კიხოტი თავისი ილუზიებისა და სიზმრების სამყაროს გამობს, შემდეგ მღვდელთან განმარტოვდება აღსარებისთვის და სინანულში მიიცვლება. ჩვენში აგზნებულმა წარმოსახვამ კი მხოლოდ გამხდარ ცხენზე ამხედრებული იდალგო და ქარის წისქვილებად ქცეული გოლიათები შემოინახა.

ელა გორიაშვილი

ქათქათა, გასაფრთხილებელი

გიზგიზა ცეცხლს შეექცეოდნენ.
 ნაპერწკალი დააფრინდა
 ქათქათა სუფრას - გასაფრთხილებელს.
 სხვა ვერაფერი მოახერხა ელდაცემულმა -
 ხელი გაჰკრა.
 ნაპერწკალმა ხომ მოასწრო და
 დანვა და დანვა,
 ხელმა კიდევ უარესი ქნა -
 მურის ლაქაც დაუსართა
 იმ ქათქათას - გასაფრთხილებელს.
 უცნაურია -
 ნამცეცა ნამწვი, ძლივსშესამჩნევია,
 რამხელა კუდს მოიქნევს ხოლმე,
 თუ დაეხები.
 მერე ამ ლაქამ დასცა ზარი -
 ამოეშლიო! -
 უფრო დაატყო,
 კიდევ-განი გაუფართოვა,
 დაამკვეთრა
 იმ ქათქათას - გასაფრთხილებელს.
 ... ნეტავ არაფრის გადარჩენას არა ცდილიყო;
 ბევრი-ბევრი - სული შეებერა,
 ერთხელ და ფრთხილად.
 ნეტავ არაფრის გადარჩენას არა ცდილიყო,
 თითები თუნდაც ერთმანეთზე გადაემტვრია!
 ... სუფთად მაინც ამომწვარიყო
 ის ქათქათა, გასაფრთხილებელი...

როგორ შემკრთალხარ...

მოგიტანია ის ძველი სიტყვა
 და სინანულით მძიმე ბეჭები;
 მოდი, ღიაა...
 და მეც შინა ვარ -
 არარსებულზე ლექსის მბეჭველი.
 რას ვიფიქრებდი, ბეჩავი ლექსი
 ერთ ხეს გრიგალად გადაუვლიდა...
 როგორ შემკრთალხარ, მარად ძვირფასო,
 სად წამსვლელი ვარ ჩემი გულიდან.
 მოდი, შინა ვარ -
 დარდის გორგლიდან
 არარსებულზე ლექსის მბეჭველი.
 სად წავიდოდი,
 ან სადღა წავალ -
 გაცემულია მწვანე ბეჭედი.


ბზარი

გაიხედავ -
 გარეშემო
 მწვანე ზნე და მწვანე ვნება;
 ყუნწში წვენი მიჩუმჩუმებს
 და სინედლის ნეტარება.
 რომ გგონია -
 ჯერ სად არი
 ფოთოლცვენის ჩუმი სნება,
 ... ტყეს საკუთარ სიმწვანეში
 უკვე ეჭვი ეპარება.
 თვალი როგორ უნდა მისწვდეს
 საიდუმლოს ესევეთარს:
 ფესვებიდან მოდის ეჭვი,
 ფოთოლცვენაც - ფესვებიდან.
 თვალი როგორ უნდა მისწვდეს...
 შეხედავ და - ზამთარია!
 ჯერ შორია,
 ჯერ სად არი,
 ჯერ თოვლები გვაფარია...
 რომ გგონია -
 რა დაამხოვს,
 ჯერ რა ძალა დააჩოქებს,
 ჯერ სად არი...
 გაზაფხული
 ჯერ ვერ ჩადგამს მწვანე ქოხებს,
 ... ყინვას უკვე შიგანს უჭამს
 ერთი ბზარი - მემამბოხე.
 მარადისის გვამში მჯდარი
 ერთადერთი უკვდავება -
 ყოველივეს ბზარავს ბზარი,
 უხილავი ეჭვის ნება...
 ჩამოჰყვება ბოლო ფოთოლს
 და პირველ კვირტს ამოჰყვება.

* * *

N-ს

გაცოცხლდი, გეხვეწები,
 გაცოცხლდი.
 ნუ გჯერა, რომ დაიყვავილეს
 შენმა თვალებმა,
 ნუ გჯერა,
 რომ მკვდარი ხარ.
 იტირე...
 ცრემლს ნუ გაიშრობ,
 ცრემლი სიცოცხლეა,
 იტირე.
 იტირე შენი უცნობი შვილი,
 სამზეოზე
 სისხლის წვეთად გაელევებული.
 კაცს აპატიე
 (კაცი იყო, ვინც განყენინა),
 პოეტი კი იტირე მხოლოდ...
 (იმას ძალა
 სტრიქონიდან სტრიქონამდეც
 საძებარი აქვს)
 დაყარე დარდის ნარჩენები
 შენი თვალების სუფთა ლანგარზე,
 ვით დასხეპილი იასამნები;
 ჩამოურიგე პატიება,
 ვისაც რამდენი ერგება შენგან,
 და,
 მღვდლისაგან გულნატკენი,
 პირფერისსანერად შემართულ ხელს
 ძირს ნუ დაუშვებ.



ევრიკა!

ნოზალის პრაიმიტ დაჯილდოების სერაიმონიაზე წარმოქმნილი სიტყვა



იმრა კარტაში

უნდა დავინყო უცნაური, მაგრამ გულწრფელი აღსარებით: თვითმფრინავში ასვლისა და სტოკჰოლმში გამოსამგზავრებლად გამზადებისთანავე გამიჩნდა შეგრძნება, თითქოს დაჟინებით ვუთვალთვალდები საკუთარ თავს. თვით ამ საგანგებო სიტუაციაშიც, როდესაც საერთო ყურადღების ცენტრში ვიმყოფები, უფრო გულგრილ დამკვირვებელს წარმოვადგენ, ვიდრე - ცნობილ მწერალს, რომლის წიგნმაც ახლა მოულოდნელი პოპულარობა მოიპოვა მთელ მსოფლიოში. ვიმედოვნებ, რომ თქვენ წინაშე სიტყვით გამოსვლისას მოვახერხებ ჩემი ორი "მეს" გაერთიანებას.

ამასთან, მაწუხებს შეუთანხმებლობა, ერთი მხრივ, ამ მაღალ ჯილდოსა და, მეორე მხრივ, ჩემს ცხოვრებასა და საქმიანობას შორის. შესაძლოა, ზედმეტად დიდხანს ვიცხოვრე დიქტატურის პირობებში, მტრულ, უცხო ინტელექტუალურ გარემოში, რომელიც აბრკოლებდა ინდივიდუალური მხატვრული ცნობიერების განვითარებას. თვით ამგვარი რამის ვარაუდმაც კი შეიძლება გამოიწვიოს შემოქმედებითი უძლურება. გარდა ამისა, ყოველი მხრიდან მესმოდა, რომ ჩემი "თემა" არც აქტუალური იყო და არც - საინტერესო. ამ მიზეზით და კიდევ იმიტომ, რომ მომიხდა ზემოაღნიშნული თვალსაზრისის გათვალისწინება, მწერლობას ყოველთვის ძალზე პირადულ, კერძო საქმედ მივიჩნევდი.

ეს საქმე აუცილებლად როდი გამორიცხავს სერიოზულობას - თუმცა სერიოზულობა შეუსაბამო რამაა იქ, სადაც მხოლოდ სიცრუე აღიქმება სერიოზულად. მაგალითად, თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ სამყარო ჩვენგან დამოუკიდებლად არსებული ობიექტური რეალობაა, აქსიომატურ ფილოსოფიურ ჭეშმარიტებად მიიჩნეოდა. მაგრამ 1955 წლის გაზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს ანაზღად გავიცნობიერე, რომ არსებობს მხოლოდ ერთი რეალობა - ჩემი "მე", ჩემი საკუთარი ცხოვრება, ეს სათუთი საუნჯე, რომელიც ხელჰყევს მტრულმა ძალებმა.

საჭირო იყო მისი გამოთავისუფლება "ისტორიის", ამ საზარელი მოლოხის ზეგავლენიდან. ჩემი ცხოვრება ხომ მხოლოდ ჩემია და ის საკუთარი ნება-სურვილის მიხედვით უნდა განვავო.

ყოველივე ამან მკვეთრად დამაპირისპირა იმ სამყაროსთან, რომელიც ობიექტური არ გახლდათ, მაგრამ, უეჭველად, რეალობას წარმოადგენდა. მხედველობაში მაქვს კომუნისტური უნგრეთი, "აყვავებული და გაფურჩქნული" სოციალიზმი. თუ სამყარო ჩვენგან დამოუკიდებლად არსებული ობიექტური რეალობაა, მაშინ ადამიანები მხოლოდ ობიექტებია და მათი ცხოვრება შედგება მარტოოდენ ურთიერთდაუკავშირებელი შემთხვევითი ეპიზოდებისგან, რომლებსაც ისინი ვერაფერს მოუხერხებენ. ალბათ, უაზროა ფრაგმენტების აღქმა მწყობრი მთლიანობის სახით; ზოგიერთი მათგანი იმდენად ობიექტურია, რომ სუბიექტურ "მეს" მათ გამო პასუხისმგებლობა ვერ დაეკისრება.

ერთი წლის შემდეგ, 1956 წელს, იფეთქა უნგრეთის რევოლუციამ. გარკვეულ მომენტში ქვეყანამ მიაღწია სუბიექტურობას, თუმცა, საბჭოთა ტანკებმა მაშინვე აღადგინეს ობიექტურობა.

ეს სიტყვათა თამაში როდია. გავიხსენოთ, რა მოუვიდა ენას მეოცე საუკუნეში. თანამედროვე მწერლების გამოგნებული აღმოჩენის თანახმად, ენას აღარ ძალუძს იმ კონცეპტებისა და პროცესების გამოხატვა, რომლებიც მასში ოდესღაც არაორაზროვნად და მკაფიოდ აისახებოდა. გავიხსენოთ კაფკა ან ორუელი, რომელთა ხელში ძველი ენა, უბრალოდ, დაიშალა. ის თითქოს ცეცხლში ჩააგდეს, რათა მის დაფერფლილ ნაშთში თავი ეჩინა ახალსა და უცნობ სტრუქტურებს.

მაგრამ სჯობს, მივუბრუნდე საკუთარ სფეროს - ლიტერატურას. არსებობს რამდენიმე საკითხი, რომელთა გადაწყვეტას ჩემს მდგომარეობაში ვერავინ მოახერხებდა. ჟან-პოლ სარტრმა წიგნიც კი მიუძღვნა საკითხს: ვისთვის ვწერთ? ეს საინტერესო კითხვაა, მაგრამ, ამასთან, სახიფათოც. ვნახოთ, რა საშიშროება

ახლავს მას. თუ მწერალს სურს, ზეგავლენა მოახდინოს ამა თუ იმ სოციალური კლასის ან ჯგუფის წარმომადგენლებზე, მან უნდა შეამოწმოს თავისი სტილის შეუსაბამისობა დასახულ მიზანთან. შემოქმედს მალე ეჭვები შეიპყრობს, რადგან ის ვერასოდეს დაადგენს, რა სურთ და რეალურად რა მოსწონთ მის მკითხველებს. მწერალი ვერ შეძლებს თითოეული მათგანის გამოკითხვას და კიდევ რომ შეძლოს, აქედან არაფერი გამოვა. ის უნდა დაეყრდნოს საკუთარ წარმოდგენას საგარეო მკითხველების შესახებ და ამ გზით განსაზღვროს თავისი ძალისხმევის შესაძლო შედეგები. მაშ, ვისთვის წერს მწერალი? პასუხი აშკარაა: ის წერს საკუთარი თავისთვის.

ამ დასკვნის გამოტანა არ გამჭირვებია, რადგან არ მყავდა არც ერთი მკითხველი და სურვილიც არ მქონია, ვინმეზე ზეგავლენა მომეხდინა. წერა რაიმე საგანგებო მიზეზით არ დამიწყია და რასაც ვწერდი, არავისთვის არ იყო განკუთვნილი. ჩემს ერთადერთ მიზანს წარმოადგენდა ენისა და ფორმის სიზუსტე, და სხვა არაფერი. ამის გაცნობიერებას მეტად არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა იმ უცნაურსა და მძიმე პერიოდში, როდესაც ლიტერატურა "ანგაჟირებული" იყო და მას სახელმწიფო აკონტროლებდა.

უფრო ძნელია პასუხის გაცემა მეორე, სრულიად კანონიერ, თუმცა შედარებით რთულ კითხვაზე: რატომ ვწერთ? აქაც ბედმა გამიღიმა - არასოდეს მიფიქრია, რომ არსებობდა რაიმე არჩევანის შესაძლებლობა. მსგავსი ინციდენტი აღწერე ჩემს რომანში "ბედის გარეშე". ერთხელ, რომელიც დაწესებულების ცარიელ დერეფანში მდგარს, მეორე, გადაშენებული დერეფნიდან მომესმა ფეხის ნაბიჯების ხმა. უცნაურმა მღელვარებამ მომიცვა. ხმაური თანდათან ძლიერდებოდა და თუმცა ეს აშკარად ერთი, უჩინარი კაცის ნაბიჯების ხმა გახლდათ, მომეჩვენა, რომ ათასობით ადამიანის ფეხის ხმა მესმოდა, თითქოს უზარმაზარი პროცესია ფეხების ბრაგა-ბრუგით მიდიოდა დერეფანში. იმავე წუთს მივხვდი, როდენ მომავადობელები მარშით მიმავალი ბრბოს ნაბიჯების ხმა. ჩავნვდი თვითუარყოფის ექსტაზს, ბრბოში განზავების გამაბრუებელ სიამოვნებას - იმას, რასაც ნიციშე (რამდენადმე განსხვავებულ კონტექსტში) დიონისურ ტკობას უწოდებდა. რაღაც ფიზიკური ძალა მიბიძგებდა უხილავი კოლონებისკენ. უკან დავიხიე და კედელს ავეკარი, რათა თავი დამეცვა ამ მომწუსხველი, მაცდური ძალი-საგან.

ეს მძაფრი მომენტი ზუსტად ისე აღწერე, როგორც - განვიცადე. მის წყაროს წარმოადგენდა გარეშე ძალა და არა ჩემი საკუთარი იმპულსები. მსგავსი რამ ნაცნობია ყოველი ხელოვანისთვის. უწინ ამას შთაგონებას უწოდებდნენ, მაგრამ ეს განცდა

უფრო ეგზისტენციალურ თვითაღმოჩენას ნააცავს. მან ზემოქმედება იქონია არა ჩემს ხელოვნებაზე, არამედ - ჩემს ცხოვრებაზე. მძაფრი მარტოობის შეგრძნება გამიჩნდა და, როგორც უკვე ვთქვი, მოვინდომე თავის დაღწევა მომწუსხველი ბრბოსგან, გამაუპიროვნებელი ისტორიისგან. ჩემდა გასაკვირად, იმ ათი წლის განმავლობაში, რაც ნაცისტური საკონცენტრაციო ბანაკიდან დავბრუნდი და სტალინური ტერორიც განვიცადე, ჩემი მეხსიერებიდან თითქმის ყოველივე წაშლილიყო, რამდენიმე ბუნდოვანი შთაბეჭდილების გარდა.

აშკარაა, რომ ამგვარ ფანტასტიურ მომენტებს წინ უძღვის ხანგრძლივი პრეისტორია. ზიგმუნდ ფროიდი მათ განდევნილი ტრავმული განცდით ახსნიდა და, ალბათ, არ შეცდებოდა. თვით მეც უპირატესობას ვანიჭებ რაციონალურ მიდგომას, გავურბი მისტიციზმსა და ყოველგვარ ირაციონალურ ახსნა-განმარტებას. ამდენად, როდესაც ვმსჯელობ ეგრეთ წოდებული "ხილვის" შესახებ, ვგულისხმობ რეალურ (ზეზუნებრიობის საფარველით შენიღბულ) მოვლენას, თანდათან მომნიშვნელოვან აზრის მძლავრ ამოსკდომას. სწორედ ამ შეგრძნებას გამოხატავს ოდინდელი წამოძახილი, "ევრიკა" - "ვიპოვე!" მაგრამ - რა?

ერთხელ აღვნიშნე, რომ ეგრეთ წოდებული სოციალიზმი ჩემთვის იყო ისეთივე პატარა ნამცხვარი, როგორმაც პრუსტს გაუღვიძა მოგონება გარდასულ წელთა შესახებ. ამიტომ 1956 წელს, აჯანყების ჩაქრობის შემდეგ, გადავწყვიტე, უნგრეთში

დავრჩენილიყავი და დავკვირვებოდი (უკვე არა როგორც ჭაბუკი, არამედ - როგორც მონიფული ადამიანი) დიქტატურის ფუნქციონირებას. მთელი ნაცია აიძულეს, უარეყო საკუთარი იდეალები. მალე გამოიკვეთა ტენდენცია პერიგებისკენ და მივხვდი, რომ იმედი ბოროტების იარაღია, ხოლო კანტის კატეგორიული იმპერატივი სხვა არაფერია, თუ არა თვითგადარჩენის ინსტინქტის მორჩილი მსახური.

შეუძლია თუ არა ვინმეს, წარმოიდგინოს მეტი თავისუფლება, ვიდრე ის, რომლითაც სარგებლობდა მწერალი უკვე გადაქანცული, დაცემის გზაზე მდგარი დიქტატურის დროს? 1960-იან წლებში დიქტატურამ უნგრეთში მიაღწია კონსოლიდაციის მდგომარეობას, რომლისთვისაც შეიძლებოდა გვეწოდებინა საზოგადოებრივი კონსენსუსი. მოგვიანებით დასავლეთმა მას დაცინვით უწოდა "გულიანის კომუნიზმი". მაგრამ უნგრეთის ვარიანტი იქცა კომუნიზმის იმ ფორმად, რომელიც მისაღები იყო დასავლეთისთვის. ამ კონსენსუსის ბინძურ უფსკრულში ადამიანი იწყებდა ბრძოლას ან ეძებდა გზას შინაგანი თავისუფლებისკენ. მწერლის ხარჯები, არსებითად, ძალზე უმნიშვნელოა. პროფესიული საქმიანობისთვის მას მხოლოდ ქალაქი და ფანქარი სჭირდება. გულისრევასა და დეპრესიას ვგრძნობდი ყოველ დილას, როდესაც ვხედავდი სამყაროს, რომლის აღწერაც მსურდა. ჩემს თემას წარმოადგენდა ერთი ტიპის ტოტალიტარიზმის ლოგიკით დათრგუნული ადამიანის ცხოვრება სხვა ტოტალიტარულ სისტემაში, რამაც მიბიძგა იგავური ენის გამო-



ყენებისკენ. ახლა, როდესაც პირუთვნელად ვაფასებ იმდროინდელ სიტუაციას, უნდა ვაღიარო, რომ დასავლეთში, თავისუფალ საზოგადოებაში, ვერ შევძლებდი იმ რომანის დაწერას, რომელსაც “ბედის გარეშე” ვუწოდებ. ესაა სწორედ ის ნაწარმოები, რომელიც შევდეთის აკადემიამ პრემიით დააჯილდოვა.

არა, ალბათ, სულ სხვა მიზანს დავისახავდი. კერძოდ, არ შევეცდებოდი ჭეშმარიტების წვდომას, მაგრამ, შესაძლოა, გავიცნობიერებდი მის სხვა სახეობას. წიგნებისა და იდეების თავისუფალ ბაზარზე წარვადგენდი უფრო ეფექტურ ბელეტრისტიკას. მაგალითად, დავარღვევდი ქრონოლოგიას და აღვწერდი მხოლოდ ყველაზე შთამბეჭდავ ეპიზოდებს. მაგრამ ჩემი რომანის გმირი საკუთარ დროს როდი ატარებს საკონცენტრაციო ბანაკებში. არც მისი დრო, არც მისი ენა, არც თვით მისი პიროვნება რეალურად მისი არაა. ის არ იხსენებს; ის არსებობს. ამდენად, გმირი მოქცეულია დროის ლინეარული მდინარების ხაფანგში და თავს ვერ აღწევს მტანჯველ დეტალებს. დიადი და ტრაგიკული მომენტების ეფექტური სერიის ნაცვლად, მან უნდა განიცადოს ყველაფერი. ეს კი დამთრგუნველი და საკმაოდ ერთფეროვანია, თვით ცხოვრების მსგავსად.

ამ მეთოდს საოცარ შედეგებად მივყავართ. ლინეარულობის კარნახით, ყოველი სიტუაცია მთლიანად უნდა შეივსოს. უფლება არა მაქვს, ვთქვათ, გამოვყოვო დროის ოცი წუთი, თუნდაც იმიტომ, რომ ეს წუთები წარმომიდგას საზარელი შავი ხვრელის სახით. მხედველობაში მაქვს ოცი წუთი, რომელიც გავატარე ბირკენაუს გამანადგურებელი ბანაკის სამგზავრო ბანაკზე - სწორედ ეს დრო სჭირდებოდა ადამიანებს მატარებლიდან იმ ოფიცრამდე მისასვლელად, რომელსაც ისინი უნდა გადაერჩია. მეტ-ნაკლებად მკაფიოდ მახსოვდა ის ოცი წუთი, მაგრამ რომანი მოითხოვდა, რომ შემემოწმებინა ჩემი მეხსიერების სიზუსტე. ცოცხლად დარჩენილი ურიცხვი ადამიანის ანგარიშები, მოხსენებები და აღსარებები წავიკითხე. თითოეულ მათგანში ნათქვამი იყო, რომ ყოველივე სწრაფად და შეუმჩნევლად ხდებოდა. ვაგონებში მყოფთ ესმოდათ ყვირილი და ძაღლების ყეფა. ქალები და მამაკაცები ცალ-ცალკე მიდიოდნენ ოფიცერთან. ის სწრაფად ათვალიერებდა მათ, ხელის აწევით რაღაცას ანიშნებდა და სანამ ტყვეები მიხვდებოდნენ ამ შესტის მნიშვნელობას, უკვე ტუსალის ტანისამოსი ეცვათ.

მე სხვაგვარად მახსენდებოდა ეს ოცი წუთი. სარწმუნო წყაროების გადაკითხვისას პირველად გავცანი ტადეუშ ბოროვსკის ულმობელ, შემზარავ დოკუმენტურ პროზას, მათ შორის - ნარკვევს, სათაურით “ესაა გზა გაზის კამერისკენ, ქალბატონებო და ბატონები”. მოგვიანებით ვნახე ბირკენაუში მოხვედრილ ადამიანთა ფოტოსურათები, რომლებიც ესესელებმა გადაიღეს, ხოლო ამერიკელმა ჯარისკაცებმა დახაუს ყაზარმებში იპოვეს. მათ უკიდურესი განც-

ვიფრებით ვათვალიერებდი. ვიხილე მშვენიერი მოლიმარი ქალები და ბრიალათვალეებიანი ჭაბუკები, რომლებსაც საუკეთესო მიზნები აღაფრთოვანებდათ. ახლა მივხვდი, როგორ და რატომ გაქრა მათი მეხსიერებიდან უმოქმედობისა და უიმედობის ის დამამცირებელი ოცი წუთი. და როდესაც გამახსენდა, რომ დღეების, კვირების, წლების შემდგომ ყოველივე განმეორდა, ჩავწვი საშინელების მექანიზმს. გავიცნობიერე, როგორაა შესაძლებელი ადამიანის ქცევა მკვლელად.

ამგვარად, ნაბიჯ-ნაბიჯ გავყევი ძიების სწორხაზოვან ბილიკს. ეს იყო, თუ გნებავთ, ჩემი ევრისტიკული მეთოდი. მალე აღმოვაჩინე, რომ, საბოლოო ანგარიშში, არ მაინტერესებდა, ვისთვის და რატომ ვწერდი. მანუხებდა მხოლოდ ერთი პრობლემა: რა მაკავშირებდა ლიტერატურასთან? ეჭვი არ შემპარვია, რომ საბოლოოდ გავემიჯნე ლიტერატურასა და იდეალებს. ამ სადემარკაციო ხაზის სახელწოდება (ისევე, როგორც ბევრი სხვა რამისა) აუშვიცია. უნდა ვაღიაროთ, რომ აუშვიცმა, გარკვეული გაგებით მაინც, საბოლოო წერტილი დაუსვა ლიტერატურას. შეიძლება მხოლოდ შეიქმნას “შავი” რომანი აუშვიცის შესახებ, ან - მაპატიეთ ეს გამოთქმა, - იაფფასიანი სერიალი, რომელიც იწყება აუშვიცში და ჯერ არ დამთავრებულა. აქ ვგულისხმობ, რომ აუშვიცის შემდეგ ისეთი არაფერი მომხდარა, რაც შეცვლიდა ან უარყოფდა აუშვიცს. ჩემს ნაწერებში ადამიანთა მასობრივი ხოცვა-ჟლეტა არასოდესაა წარმოდგენილი წარსულ დროში.

ჩემ შესახებ ხშირად უთქვამთ - ქათინაურის ან კრიტიკული შენიშვნის სახით - რომ ერთი თემის ერთგული გახლავართ: ეს თემა ადამიანთა განადგურება - “ჰოლოკოსტი”. დიახ, ასეა. რატომ არ უნდა დავუმეა, რომ ბიბლიოთეკათა თაროებზე საგანგებო ადგილი მეკუთვნის? რომელი თანამედროვე მწერალი არიდებს თავს “ჰოლოკოსტის” თემას? ათწლეულების განმავლობაში სწორედ ის დომინირებდა თანამედროვე ევროპულ ხელოვნებაში. გავხედავ და ვიტყვი, რომ არ ვიცნობ არც ერთ ფასეულ ნაწარმოებს, რომელიც არ ასახავს მას. ამასთან, არასოდეს განმიხილავს ჰოლოკოსტის პრობლემათა კომპლექსი, როგორც გადაუჭრელი კონფლიქტი გერმანელებსა და ებრაელებს შორის. არასოდეს მიფიქრია, რომ ეს იყო ებრაელთა დევნის უკანასკნელი ეტაპი, რომელიც ლოგიკურად გამომდინარეობს მათი ადრინდელი განსაცდელიდან. არასოდეს მეგონა, რომ ჰოლოკოსტი იყო ერთგვარადი მცდარი ნაბიჯი, ფართომასშტაბიანი “პოგრომი”, ან წინაპირობა ისრაელის სახელმწიფოს შესაქმნელად. აუშვიცში აღმოვაჩინე, რომ ესაა კაცობრიობის დიადი ავანტიურის საბოლოო პუნქტი, სადაც ჩააღწია ევროპელმა მოგზაურმა ორასწლიანი მორალური და კულტურული ისტორიის შემდეგ.

ერთადერთი, რაზეც უნდა დავფიქრდეთ, ესაა ჩვენი მომავალი. აუშვიცის პრობლემა და-

ხურული როდია. ის არ შეუნახავთ ისტორიის შესაბამის უჯრაში. აუშვიცი არც დაღუპულ მილიონთა მემორიალური მონუმენტია, და თუნდაც ასე იყოს, მერე რა? აუშვიცთან დაკავშირებული რეალური პრობლემა ისაა, რომ აუშვიცი განხორციელდა, და ამ ფაქტს ვერაფერი წაშლის. ეს ძალზე სამწუხარო სიტუაცია უნგრელმა კათოლიკე პოეტმა, იანოშ პილინსკიმ დაახასიათა, როგორც “სკანდალი”. პილინსკი გულისხმობდა, რომ აუშვიცს საფუძველი ჩაეყარა ქრისტიანულ კულტურულ გარემოში, რასაც მეტაფიზიკურად მოაზროვნე ადამიანები ვერასოდეს შეურიგდებიან.

ძველი წინასწარმეტყველები აცხადებდნენ ღმერთის სიკვდილის შესახებ. აუშვიცის შემდეგ უფრო მძაფრ მარტოობას განვიცდით, ეს უეჭველია. ჩვენ თვითონ უნდა შევექმნათ საკუთარი ფასეულობები იმ დაჟინებული, თუმცა უხილავი ეთიკური ძალისხმევის მეშვეობით, რომელიც უზრუნველყოფს მათ ცხოველქმედებას და, შესაძლოა, ისინი ახალი ევროპული კულტურის საფუძვლადაც აქციოს. ჩემი აზრით, შევდეთის აკადემიის გადამწყვეტილება იმაზე მიუთითებს, რომ ევროპას კვლავ სჭირდება აუშვიცის მოწმეები. ეს გადამწყვეტილება ააშკარავებს აკადემიის წევრთა სიმტკიცესა და გამბედაობას, რამაც მიბიძგა, სტოკჰოლმში ჩამოვსულიყავი, თუმცა, მათ, ალბათ, იცოდნენ, რასაც მოისმენდნენ ჩემგან. აკადემიის გადამწყვეტილების მიზეზი სრულიად გასაგებია - არსებობს გადარჩენის ერთადერთი გზა და ესაა შემოქმედებითი უნარის შენარჩუნება, თუ გავითვალისწინებთ, რომ ამოსავალი პუნქტი აუშვიცია. განა შეიძლება, ხედვის ამ სიცხადემ ნაყოფი არ გამოიღოს? ყველა დიადი მიგნების საფუძველს, მაშინაც კი, როდესაც ისინი აღმოცენდებიან შემზარავი ტრაგედიებიდან, წარმოადგენს უდიდესი ევროპული ფასეულობა - თავისუფლების წყურვილი, რომელიც გვაიძულებს, გავიცნობიერთ ჩვენი არსებობის პოზიტიური ფაქტით და, შესაბამისად, ამასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობაც.

საგანგებო ბედნიერებას მანიჭებს ამ ამბების გამოხატვა ჩემს მშობლიურ ენაზე, უნგრულზე. დავიბადე ბუდაპეშტში, ებრაულ ოჯახში. დედაჩემი წარმოშობით ტრანსილვანიის ქალაქ კოლოშვარიდან იყო, ხოლო მამის წინაპრები ცხოვრობდნენ ბალატონის ტბის სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროზე. ჩემი ოჯახის წევრები ჯერ კიდევ ანთებენ სანთლებს პარასკეობით, მაგრამ გვარები უნგრულ ყაიდაზე გადაიკეთეს. მათ იუდაიზმი საკუთარ რელიგიად მიაჩნიათ, ხოლო უნგრეთი - სამშობლოდ. დედაჩემის მშობლები ჰოლოკოსტის დროს დაიღუპნენ, ხოლო მამაჩემის მშობლების ცხოვრება გაანადგურა მატეაშ რაკოცის კომუნისტურმა ხელისუფლებამ, რომელმაც ბუდაპეშტის მკვიდრი ებრაელები ქვეყნის ჩრდილოეთ რეგიონებში გადაასახლა. ვფიქრობ, ოჯახის ეს მოკლე ისტორია გამოსატავს და განასახიერებს ამ ქვეყნის მიმდინარე



იმრე კერტეში მეელესთან ერთად

“სამშობიარო ტკივილებს”. ამასთან, ის მასწავლის, რომ უბედურებას მარტოოდენ სიმწარე როდი მოაქვს, მას საგანგებო მორალური პოტენციალიც გააჩნია. ჩემთვის ებრაელობა კვლავ წარმოადგენს პირველსა და უმთავრეს მორალურ პრობლემას. თუ ჰოლოკოსტმა ამ დროისათვის შექმნა კულტურა (რაც მან უეჭველად განახორციელა), მის მიზანს უნდა შეადგენდეს სულიერი განახლება - კათარზისი. ეს აზრი შთამაგონებდა მთელი ჩემი შემოქმედებითი საქმიანობის განმავლობაში.

თუმცა ჩემი სიტყვის დასასრულს მივუახლოვდი, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ ჯერ კიდევ ვერ მივაგენი მყარ ბალანსს ჩემს ცხოვრებას, ჩემს თხზულებებსა და ნობელის პრემიას შორის. ამჟამად ვგრძნობ მადლიერებას - მადლიერებას სიყვარულის გამო, რომელმაც მიხსნა და ახლაც მამხნევებს. ჩემს დღევანდელ “წარმატებაში”, თუ შეიძლება ასე ითქვას, შეიმჩნევა დამაბნეველი, აბსურდული მომენტები ანუ ისეთი რამ, რაც, ერთი შეხედვით, დაკავშირებულია მიღმურ სამყაროსთან, მეტაფიზიკასთან - სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თვითმორტყუებასთან, იმ ღრმა მიმართებების რღვევასთან, რომლებიც გვაკავშირებს დაღუპულ მილიონებთან. ადვილი როდია, იყო გამონაკლისი, მაგრამ თუ გამონაკლისად ყოფნა გვინერია, უნდა შევეურიგდეთ აბსურდულ შემთხვევითობებს, უმოწყალო ძალების, მხეცური ტირანის მსხვერპლად რომ გვაქცევს ხოლმე.

როდესაც ამ სიტყვას ვამზადებდი, საგანგებო რამ შემემთხვა: ბუხენვალდის მემორიალური ცენტრის დირექტორის, დოქტორ კნიგესგან ფოსტით მივიღე დიდი ყავისფერი გზავნილი, რომელსაც ახლდა მომცრო კონვერტი მილოცვის ბარათით. ამ ბარათში აღნიშნული იყო, რა

დოკუმენტს შეიცავდა გზავნილი. ამგვარად, თუ არ მექნებოდა მისი წაკითხვის სურვილი, იმას არც გავეცნობოდი. გზავნილი შეიცავდა იმ პატაკის ორიგინალის ასლს, რომელიც დათარიღებული იყო 1945 წლის 18 თებერვლით. გარდაცვლილთა სვეტში წავიკითხე № 64, 921 ტყვის, 1927 წელს დაბადებული მუშის, იმრე კერტეშის გარდაცვალების შესახებ. ორი ყალბი ფაქტი - ჩემი დაბადების თარიღი და პროფესია - შეტანილ იქნა ოფიციალურ სიაში, როდესაც ბუხენვალდში მიმიყვანეს. საკუთარ ასაკს ორი წელი დავუმატე, რათა მოზრდილთა სიაში შევეტანეთ და ვთქვი, მუშა (და არა სტუდენტი) ვარ-მეთქი, რომ “სასარგებლო” ტუსად ჩავეთვალიერებ.

მოკლედ, ერთხელ უკვე მოეკვდი, ამიტომ შემიძლია, ვიცოცხლო. ალბათ, ეს ჩემი ჭეშმარიტი ისტორიაა. თუ ასეა, მე (ხელახლა დაბადებული) უძძღვნი ამ სიტყვას იმ მილიონებს, რომლებიც დაიხოცნენ და, აგრეთვე, იმათ, ვისაც ახსოვს დაღუპულები. მაგრამ რადგან ლიტერატურის შესახებ ვსაუბრობ, უნდა ითქვას, რომ ლიტერატურის ერთ-ერთი ჟანრი, თქვენი აკადემიის თვალსაზრისით, მოწმის ჩვენებაა. ვიმედოვნებ, რომ ჩემი თხზულება ემსახურება მომავალს და - რასაც გულწრფელად ვნატობ - შეიძლება, ეხმაურება კიდევ მას. ყოველთვის, როდესაც ვფიქრობ აუშვიცის დამღუპველი ზემოქმედების შესახებ, იმედებს ვამყარებ ცოცხალთა შეუპოვრობასა და შემოქმედებით პოტენციალზე. ამგვარად, აუშვიცის გახსენებისას, პარადოქსულად, ვფიქრობ არა წარსულზე, არამედ - მომავალზე.

7 დეკემბერი. 2002 წელი

ინგლისურიდან თარგმნა
თამარ ლომიძე

ბორი

ნელს, ზაფხულში, ნიდერლანდული ენისა და კულტურის ცენტრის – ეს ოფიციალურად, სინამდვილეში კი ინგრიდ დებრავესა და ვატო წერეთლის - მოწვევით, საქართველოს ახალგაზრდა, მაგრამ არა პერსპექტიული, არამედ უკვე ცნობილი ნიდერლანდელი მწერალი, არნონ გრუნბერგი ეწვია. იენისში მისი ვიზიტის შესახებ უკვე გაიმბეთ, მაშინვე გამოქვეყნდა მისი ინტერვიუც. მინ დაბრუნებულმა გრუნბერგმა საქართველოს შესახებ რამდენიმე მოთხრობა დაწერა, რომელთაგანაც ერთ-ერთი, “გორი”, ჩვენს დღევანდელ ნომერშია წარმოდგენილი.



არნონ გრუნბერგი

არნონ გრუნბერგი

თბილისის დასავლეთით ქალაქი გორი მდებარეობს, სადაც სტალინი დაიბადა და სადაც ახლა სტალინის მუზეუმი დგას. ამას პროგრამაც ადასტურებს: “ორშაბათი, გორი, სტალინის მშობლიური ქალაქი.”

საგზაო მოძრაობა საქართველოში რუსულ რულებს წააგავს. უსაფრთხოების ქამრის ტარება რეკომენდირებული არაა. პოლიცია ქამრიან მძღოლებს საეჭვო საქციელის გამო აჩერებს. კითხვაზე, თუ რატომ ატარებს ასე სწრაფად, მძღოლი პასუხობს:

- იმიტომ, რომ ამ დილას ყავა არ დამიღვია.

სტალინის მუზეუმი ორშაბათ დღეს დაკეტილი ჩანს. ჩემს ქართველ მასპინძელს, ვატოს, ვერაფერი აჩერებს, ის მორიგეს დაყოლიებას ცდილობს, რომლის უნიფორმას ეტყობა, საბჭოთა კავშირის ოქროს ხანის დროინდელი რომაა.

- რას ეუბნება? - ვეკითხები ვატოს ცოლს, ინგრიდს.

- მე მგონი, მენზე ეუბნება მორიგეს, სტალინის ბიოგრაფიას წერსო, რომელშიც ყველა იმ მცდარი აზრის გამოსწორებას აპირებ, ბელადზე რომაა გავრცელებული.

მორიგე გვეუბნება, მუზეუმის დირექტორს დაურეკეთო.

შეგვიძლია იქვე მდებარე ინტურისტიდან დავრეკოთ, ერთ დროს გორის ყველაზე ფეშენებელური სასტუმრო რომ იყო.

- პირდაპირ დაუჯერებელია, - ვეუბნები ვატოს.

- საქართველოში, - მპასუხობს ის, - იარაღი უნდა გქონდეს. ანდა დიპლომატი უნდა იყო.

ჩვენ იარაღი არ გვაქვს, ჩვენ დიპლომატიები ვართ.

ინტურისტი დანგრევის პირას არის მისული, როგორც თითქმის ყველაფერი გორში, გარდა სტალინის მუზეუმისა.

სასტუმროს ფოიეს იატაკს აქა-იქ მეტლახის ფილები აკლია, სტუმრებს ნაუღიათ სახლში თავიანთი იატაკის შესავსებად.

მიმღების მაგიდა ძველ ფორტეპიანოს ჰგავს. ყურადღებით ვაკვირდები და ვხვდები, რომ სიტყვა “ჰგავს” სრულიად უადგილოა. ძველ ფორტეპიანოს მეორე სიცოცხლე უპოვია საწერი მაგიდის სახით.

მიმღების მარჯვნივ მომცრო საპარიკმახეროა, რომელიც სამუდამოდ დაკეტილს ჰგავს. თუმცა ისევ აწყვია ერთი-ორი მაკრატელი, დანა და საპარსი ქაფი. თითქოს პარიკმახერს კონტრრევოლუციონერები დასცემიან შუა საქმიანობისას.

აქაც ვტყუვდები ანგარიშში. ათიოდე წუთის შემდეგ საპარიკმახერო ილება და პარიკმახერი ნახევრად სიბნელეში (სინათლე არ ჰყოფნის ოთახს) ხნიერი მამაკაცის გაპარსვას იწყებს. ისინი ხმას არ იღებენ.

მუზეუმის დირექტორს ჯერ კიდევ ვერ ვუკავშირდებით, სამაგიეროდ სასტუმროს დირექტორი გამოგვეცხადა და საუკეთესო ოთახის ჩვენება სურს.

ჩვენ მეორე სართულზე ავ-

დივართ. იქაც უამრავი ბზარი, ამოვარდნილი მეტლახი, კედლები, ყოველნამს ჩამოქცევას რომ აპირებენ.

ასე ორმოცდაათიოდე წლის დამლაგებელი გოგო ჩვენს დანახვაზე ერთ-ერთ ოთახში შერბის შეშინებული, მწვანე სათლით ხელში.

ქალბატონი დირექტორი ერთი კარს გვიღებს.

- ჩვენი საუკეთესო ოთახი, - მითარგმნის ვატო.

ჩვენ ოთახში მიმოვდივართ. საწოლის გადასაფარებელი გატკიცინებულია, მაგრამ დირექტორი კიდევ უფრო ატკიცინებს მას.

საცხოვრებელ ნაწილში თასი დგას, რომელზეც ხილი შეგიძლია დააწყო. წარმოვიდგენ, როგორ მიახვრეტდნენ იქ პარტუმაკს ვაშლის კბეჩისას, რომელმაც ალბათ იდეალებს უღალატა.

გასვლისას კარს ვეღარ კეტავს დირექტორი.

შემდეგ: მხსნელად მოვლენილი ტელეფონის ზარი. სტალინის მუზეუმის დირექტორი სულით და გულით ეპატიჟება სტალინის პატივსაცემ ბიოგრაფს.

ნასვლამდე ჯერ ყავას ვსვამთ ერთ-ერთ კაფეში. კაფე, ცოტა არ იყოს, შიშს იწვევს თავისი თანამედროვე იერიით, რომელსაც წგრევის დაღი არ ატყვია. იქ საქორწინო ტორტებსაც აცხობენ.

ეს ყველაფერი თურმე ცნობილ ქართველ მოკრივეს ეკუთვნის, თავისი ჯილდოები საქორწინო ტორტების დამზადებაში რომ დაუბანდებია.

სტალინის მუზეუმის წინ სახლი დგას, რომელშიც ის დაიბადა. იგი ერთგვარ მავზოლეუმადაა გადაკეთებული. ალბათ ამისთვის მთელი უბანი ანგრის. მაგრამ აქ ანგრევა აშენებას ნიშნავს და პირიქით.

მე ფატალიზმი ვიხილე ადამიანის სახით. ალკოჰოლისა და ცხვრის ხორცის სუნი: დამლაგებელი გოგო, ოთახებს რომ ასუფთავებს, რომლებშიც ალარავინ ცხოვრობს, და იმ დღეს რომ ელოდება, როცა დახვრეტილი პარტუმუშაკები საფლავებიდან აღსდგებიან.

ვატო ამბობს:

- ქართველს ლაპარაკი უფრო უყვარს, ვიდრე კეთება.

ქალბატონი დირექტორი ხელგაშლით გვეგებება თავის მუზეუმში. მე სტალინის ბიოგრაფიად მომაქვს თავი.

ჩვენ გიდის მოსვლას ველოდებით, მანამდე კი ბელადის სიყმანვილის სურათებს ვათვალიერებთ.

- ლამაზ ლექსებს წერდა სტალინი, - მეუბნება ვატო.

კარგ დიქტატორს, როგორც

ნესი, მდიდარი ფანტაზია უნდა ჰქონდეს. დემოკრატები არიან, ფანტაზია რომ არ გააჩნიათ, თუმცა ამასაც აქვს თავისი დადებითი მხარე.

ჩვენი ქალბატონი გიდი ოთხმოცს უკაკუნებს. მარჯვენა ხელში დიდი ძველებური გასასახლებელი უჭირავს, მარცხენაში საჩვენებელი ჯოხი. ის მონაზვნის მთაბეჭდილებას სტოვებს, თუმცა ვინაა მისი ღმერთი, ბევრ ფიქრს არ საჭიროებს.

ჩვენ ვათვალიერებთ რუკებს, რომლებზეც სტალინის გადასახლებები წითელი ისრებითაა მითითებული, მის აღმასვლას, მის შვილებს, მის პირველ საწერ მაგიდას, უცხოელი სახელმწიფო ლიდერების საჩუქრებს, მის სასიკვდილო ნიღაბს.

სტალინის მთამომავლები ისევ ცოცხლები არიან საქართველოში.

- კარგი ადამიანები არიან, - ამბობს გიდი.

მინდა ვკითხო, რამდენი ხანია, რაც აქ გიდად მუშაობს, მაგრამ უკვე გვტოვებს. ალბათ რამდენიმე ათწლეული. ის სტალინით ცოცხლობს და სუნთქავს.

მუზეუმში არსად ჩანს ბერიას, იმდროინდელი სუკის შეფის სურათი. არადა ეს მუზეუმი ხომ ბერიამ აჩუქა სტალინს. ბერია ისე ამოფხიკეს, როგორც უხეირო ლექსი.

მერე კი ცალკე მდგარი ვაგონი, ბაღში, გარეთ, რომლითაც სტალინი მგზავრობდა ხოლმე. ჩინებულადაა შენახული. ცხოვრებაც კი შეიძლება შიგ. კრების ჩასატარებელი ოთახი, საძილე ოთახი, უფრო მოკრძალებული საძილე ოთახები პირადი მცველებისთვის.

შემდეგ კი კითხვები: მე როდის გავხდები ლიდერი? როდის გამეფდება ჩემი ფანტაზია?

მძლოლი თავისი რუსული ავტომანქანის წინ გველოდება მზეში.

ჩვენ გამოქვაბულებისკენ მივემგზავრებით, სადაც წარმართული კულტურის ნაშთებია შემორჩენილი. იქაურ გიდს, სტალინის მუზეუმის გიდისგან განსხვავებით, ღმერთი არ ჰყავს. ის წყნარად მიაბიჯებს კლდეებზე. ალბათ ნახევარს თავადვე იგონებს, რასაც წარმართულ კულტურებზე გვიყვება.

კლდეების თავზე რამდენიმე საუკუნის ეკლესია დგას. ეკლესიას მომცრო ბაღი აკრავს, და კიდევ სუვენირების მაღაზია. ჩვენ ვხედავთ, როგორ ისაქმებს ბაღაშში ეკლესიის მოხუცი ქალი, დარცხვენისებო გზას ვაგრძელებთ.

კითხვა გვიჩნდება, ნუთუ საკუთარი ეკლესიის კედლებთან მოსაქმება წმინდა ადგილის ნა-

ბილწვა არაა, მაგრამ ვასკვნით, რომ ესეც ადამიანისასა ფატალიზმის ჩარჩოებში ჯდება.

უკან დასაბრუნებელი გზები სულ უფრო უარესდება.

მძლოლს ცხვრის ყიდვა სურს, რადგან აქ, ქალაქგარეთ გაცილებით იაფია, ვიდრე ქალაქში. დედამისი ერთი წლის წინ გარდაიცვალა და გლოვის ვადის დასასრული დიდი წვეულებით უნდა აღინიშნოს.

მართალია, ევრეთნოდებულ საგზაო მაგისტრალზე მივდივართ, ხშირად ლოდინი გვინევს, სანამ მწყემსები ძროხის, თხისა და ცხვრის ჯოგებს გადაატარებენ.

მძლოლი ცხვრის ფასს კითხულობს.

- არ იყიდება, - პასუხობს მწყემსი.

- რატომ არ იყიდება? - ეკითხება მძლოლი.

- რას მარგია ფული? - ეუბნება მწყემსი და გზას აგრძელებს, - ფული არ მჭირდება მე.

ჩვენ გაცილებით ვუყურებთ კაცს, რომელიც შრომითი სამოთხის უკანასკნელ ნაშთებს წარმოადგენს. მას ცხვრისა და თხის ფარა მიჰყვება, ძროხები წინ მიდის.

წამით სურვილი მებადება, მანქანიდან გადმოვიდე და თხებსა და ცხვრებს შევერიო. ჩემი იქ ყოფნა ალბათ არ შეაშფოთებდა თხებს.

ჩვენ გზას ვაგრძელებთ, დროდადრო სტალინის ძეგლი გაივლებს.

ერთი სახლის წინ მამაკაცი ზის ორ ქალიშვილთან ერთად. უფროსი ქალიშვილი ცოლადაც ერგება მას.

წინ ყუთი უდევთ, შიგ ათიოდე კიტრით. ეს გადაჭარბებული შეფასებაა. შვიდი უფრო ახლოს დგას სიმართლესთან.

- ვაჭრობენ, - ამბობს ვატო.

ისინი წინ იმზირებიან, როგორც ის თხები და ცხვრები. ცოცხალი ნატურმორტი. შეიძლება შეხედულებებიც აქვთ, მაგრამ ამას მათ სახეზე ვერ ამოიკითხავ.

სამაგიეროდ მე მაქვს შეხედულებები. მე ორ ქალიშვილს ვხედავ, რომლებიც რაღაცაში გამოდგებოდნენ.

და კითხვებიც მაქვს მე. ის შვიდი კიტრი, ერთი დღის ვაჭრობაა ეს, ერთი კვირის, ერთი თვის? მთელი სიცოცხლის?

7 ივნისი 2002 წ., NRC Handelsblad

ნიდერლანდურიდან თარგმნა დავით ლოლიჯაშვილმა

ნიდერლანდური ენისა და კულტურის ცენტრი, ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის უნივერსიტეტი.



პატარა შედეგები



სინთია ოზიკი

ამ რამდენიმე ხნის წინ, როცა ისააკ ბაშევის ზინგერი პირველად წარდგა ინგლისურენოვანი აუდიოორიის წინაშე, მას ჰკითხეს, მართლაც სჯეროდა თუ არა შეიძინის - ეშმაკების და დემონების, სულებისა და მოჩვენებების. მისი სხარტი პასუხი იმავდროულად თავის დაძვრენაც იყო - ის ხანგრძლივად და არტიკულად ჩაფიქრდა და ბრძანა: “ჰოც და არაც”. მაგანს ეს შეიძლება მიეღო იმ ეშმაკის საყვედურად, რომელიც რაღაცას გვიმალავს - უფრო ზუსტად, ეშმაკუნისა, შედარებით უწყინარი ცელქობებით რომ იქცევს თავს: აი, თუნდაც დარბაზში მსხდომებისთვის თმების გაწენვით.

გადის წლები; ამ პერიოდში ავტორს არაერთი სულისშემძვრელი მოთხრობა დაუგროვდა; ზინგერს უკვე დიდი ნობელის აჩრდილი დასტრიალებს და ეს კითხვა კვლავაც გულმოდგინედ ახსენებს თავს. პასუხი ახლა უკვე დაუყოვნებელი და პირდაპირია: “დიახ, მე მჯერა იდუმალი ძალების არსებობისა.” ეს აღარა ჰგავს ცელქი ეშმაკუნას სიტყვებს. მეორეა რა, რომ ასე პატივცემული ავტორიტეტები ლაპარაკობენ, ისეთები, წარბშეუხრელი მზადყოფნით რომ წამოიწყებენ “კრიზისულ პერიოდზე” მსჯელობას; ეს იმის მანიშნებელიცაა, რომ იგი შეგნებულად დაჰყვა რაღაც შიმისმომგვრელი, შავბნელი ძალით ატეხილ ქარიშხალს.

ვერ გეტყვით, ლიტერატურის სფეროში მიღებულმა ნობელის პრემიის ბრწყინვალეობამ იმოქმედა თუ არა ზინგერის და მოკიდებულებაზე ამ უმთავრესი საკითხისადმი. და მაინც, ეს კითხვა კვლავაც რჩება საკვანძო პუნქტად, თუმცა შესაძლოა ის არც ისე უწყინარი იყოს, როგორც ეს ერთი შეხედვით მოგ-

ვჩვენებს. რამდენად უნდა გვჯეროდეს, რომ ზინგერს მართლაც სწამს იმქვეყნიური თუ ზებუნებრივი ძალებისა? შეიძლება კი ვინამოთ ამბავთა მთხზველნი გულწრფელობა, როცა ის გვიყვება თავის თავსა და საკუთარ წარმომავლობაზე? და განა გროტესკული წარმოსახვა, რომელიც მიზნად ისახავს ზღაპრული ფანტაზიების სისცემად იმისა, ყოველთვის არ ცდილობს ითამაშოს მსმენელის გულწრფელ მოლოდინზე? და რა უნდა ვიფიქროთ იმ ადამიანის “გოლბინურ” ეშმაკობებზე, რომელიც საკუთარი არსის გამოსახატავად იღებს თავისი დედის სახელს - ბაშევის (ე. ი. ბათშეა, Bathsheba)? ისინი, ვინც ზინგერს იდიშზე კითხულობენ, მას უბრალოდ მოიხსენიებენ როგორც “ბაშევის”. რა არის ეს, სენტიმენტალური ფსევდონიმი? მას შეიძლება ყველაფერი დავაბრალოთ ნოსტალგიური წარმოსახვის გარდა. “ბაშევისი”-ს ფსევდონიმად აღება ხომ არ უნდა ნიშნავდეს იმას, რომ კაცს ქალობა სდომებია? ან იქნებ ამით იმის თქმა სურს, რომ ყველა კაცში ქალი იმალება? იქნებ ზინგერი ამით ცდილობდა საკუთარი განცდებით გაეცოცხლებინა ერთ-ერთი ყველაზე უხამსი და საზოგადოებრივი ლიტერატურული სიუჟეტი - მეფე დავითის ვერაგული ზრახვები პირველი ბათშეა-ს მიმართ? ან იქნებ ის ოცნებობდა დედის სახელის აღებით მიეზიდა მისი სულის ცხოველმოქმედი ძალები? თავად მისი ზღაპრების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ჩვენ უბრალოდ ვალდებულნი ვართ არ გამოვრიცხოთ არც ერთი ამ ვარაუდთან და კიდევ ისიც, რისი მოფიქრებაც წარმოსახვის სიმწიფის გამო ვეღარ შევძელით.

შესაბამისად, კრებულის ამ 47 მოთხრობიდან თითქმის ყველა წარმოადგენს სპირალიზით ჩახვეულ ამბავს ერთმანეთის მსგავსი ფაბულებით, გარდასახ-

ვებით, ჩანაფიქრებით, სიუჟეტური სვლებითა თუ ტრანსმუტაციით. დავითისა და ბათშეას ამბავს მხოლოდ ზინგერისნაირი მდიდარი ფანტაზიის მქონე მწერალი თუ გასწვდებოდა, თუმცა ალბათ მართლაც დემონი უნდა ყოფილიყავი, ურია ჰიტიტს რომ გამკლავებოდი. გარეგნულად კაცად ქცეული ქალის ისტორია ზინგერმა ფაქტიურად უკვე აღწერა მოთხრობაში “იენტლი, ბიჭი იეშივა”, ლირსშესანიშნავ იგავში მეცნიერებაზე გადაგებული გოგონას შესახებ. “მკედარ მევილინე”-ში უხამსი გეცლი ქალში დიბუკის სახით ჩასახლებულა და დახვეწილ ლიბე იენტლს აიძულებს ლოთივით სვას და იგინოს. რაც შეეხება ექსცენტრული და გაზვიადებულიად ამბოციური სახელებისა თუ ტიტულების თემას, გავიხსენებთ ზიდელ კონს, ეგზეგეტ რაშის შთამომავალს, რომელიც აპირებს გახდეს პაპი ზაიდლუს პირველი ან თუნდაც მასწავლებლის თანამემამულე ალხონის, ერთ ვინმე მდაბიოს, მოთხრობაში “ტაიბელი და მისი დემონი”, თავს წარმატებით რომ ასალებს გარყვნილ ურმიზაჰად, ასმოდეუსის, დემონთა მეფის არალვილ ძმისწულად.

ერთი მხრივ, ზინგერი წარმოგიდგება როგორც ცულლუტი, ხუმარა, “ლოკი”, ცელქი ეშმაკი. მისი ჩვეული თემებია ავხორცობა, სიხარბე, ამპარტავნება, უსასოება, უგნურება, ქვეცნობიერის გამოგნებელი სიურპრიზები, ცეცხლოვანი ვნებები, მანიშნულაციები დროითა თუ ადგილით. მის მოთხრობებში ვერ შეხვდებით ვერც “ეპიფანიებს” და ვერც ღვთისმოსაობით აღბეჭდილ ფინალს; ვერც ენობრივ ზღუდეებს და ვერც ჰემინგუეისეულ თვითუარყოფას. ისინი გულუხვად მოემსახურებიან მხოლოდ უგნურ ცნობისმოყვარეობას, ჭორიკნის ინტერესს, გაიგოს რა მოხდება შემდეგ. ზინგერის მოთხრობების სიუჟეტები ყველასთვის გასაგებია არა მათი “ძველმოღურობის” გამო - მათგან უმეტესობა სავსებით ორიგინალურია და იშვიათად თუ შეხვდებით აქ ნასესხებ მოტივებს, - არამედ იმიტომ, რომ იტყვენ უბედურებების, შეცდომების, გამოუვალ მდგომარეობათა, ტკივილის, ბედის უკუღმართობის, კატასტროფებისა და ვაგების მთელ ადამიანურ სამყაროს. ამქვეყნად ყველაფერი ხდება; ცხოვრება ჩაგვსაფრებია და ყოველ ფეხის ნაბიჯზე ხაფანგებს გვიგებს; ადამიანის ბედს ვერავინ ვერ იწინასწარმეტყველებს. ცხოვრებისეულ მოულოდნელობებისა და მეტამორფოზების კალეიდოსკოპური რიგი უსასრულოა და ხშირად გამოგნებელიც. ამ ერთ კრებულში უამრავ შედეგს მოუყრია თავი: ეს არის წარმოსახვითა უკიდევანო ოკეანე.

სწორედ იმიტომაც, რომ ქვენა გრძნობათა მხილებისას ის არად დაგიდევთ ეტიკეტს და ცდილობს თვალი გაუსწოროს პირობითობათა მიღმა დაფარულ შიშის უძირო ქვესკნელს, ზინგერს არ ცნობდნენ ის მწერლები, რომლებიც ასევე იდიშზე ქმნიდნენ თავის ნაწარმოებებს - მათ აღიზიანებდათ ზინგერის მოთხრობების ერთი შეხედვით წარმართული შინაარსი, ცრუმორწმუნე სოფლები, გნოს-

ტიკური რისხვით აღბეჭდილი მისი თავზეხელაღებული გამოხედომები. გარემოს ებრაული შეგრძნების ის მორალური საწყისი, რომელიც ასხივოსნებდა იდიშზე შექმნილი ლიტერატურის ზოგად ბუნებას, ყოველთვის ემყარებოდა თალმუდის ეთიკურ იდეალებს: ოჯახის ერთგულებას, პატიოსნებას სათვისტომოს მიმართ, “დერექ ერეცს” - საკუთარი და სხვების ღირსების პატივისცემას - საზოგადოებისადმი კორექტული დამოკიდებულებისა და შეუბღალავი წესიერების უმკაცრეს კრიტერიუმს, მესიანისტური სრულყოფის საწინააღმდეგო მიზანს. ზინგერთან ეს ყველაფერი ან უგულვებელყოფილია, ან უყურადღებოდაა მიტოვებული, ან დაცინვის საგანდაა ქცეული; ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ის შეგნებულად ცდილობდა ტრადიციული ებრაული კეთილგონიერებისა და მგრძნობიარობის შეურაცხყოფას. შედეგად კი იდიშურ ლიტერატურულ წრეებში მისდამი ისეთივე დამოკიდებულება შეინიშნება, როგორც “ისრაელის მოლაღატის” (ეს მისი ერთ-ერთი მოთხრობის სათაურია) მიმართ.


კაცმა რომ თქვას, ის არაფერს და არავის არ ღალატობს, და მით უმეტეს - ებრაულ იდეალიზმს. მისი ეშმაკებისა და დემონების ისტორიები მხოლოდ ერთ რამეზე მიანიშნებს: რომ თავისთავად, ადამიანის ბუნება სულიერი სინამდისკენ ისწრაფვის; რომ ადამიანს, საბოლოო ჯამში, სინაფელე და სიამაცე უფრო იზიდავს. ზინგერი აქ უკვე სულ სხვა მხარით წარმოგიდგება, და ეს მხარე მისთვის უფრო მნიშვნელოვანია. “გოლბინური” ანცოზა საბოლოოდ ამით უნდა დასრულებულიყო; ზინგერი ვიოლისტი ხდება. ჩვენ მისგან ვიცავთ, რომ იყო კარგი - ეს ბუნებრივია და რომ ეშმაკი უბიძგებს ადამიანს გადაუხვიოს მართალი გზიდან. და მხოლოდ მაშინ, როცა სცენაზე ჩნდება ლილითი, ან სამაელი, ან კეტეე მრიი, ან ასმოდეუსის შვილები, ზეიმობს მანკიერება და სიმდაბლე. სწორედ არაადამიანური, მტრული ძალები აგებენ პასუხს სხვადასხვა ბოროტებასა თუ უბედურებაზე. და რა თქმა უნდა, საჭიროა ვინამოთ ამ ეშმაკთა არსებობა. ისინი შესაძლოა მათი ბატის ფეხებითაც ამოვიცნოთ, ისეთით, მათ თავადს, სატანას რომ აქვს, მაგრამ საოცრად მინიერია ცდუნების მათი მოუქნელი, სამარცხვინო, შემპარავი მცდელობები. და მიუხედავად მათთან ამ დასანანი სიახლოვისა, ზინგერის დემონე-

ბი ჩვენთვის მაინც დარჩებიან დაუპატიჟებელ და აბეზარ სტუმრებად - ისინი არასდროს არ ყოფილან ჩვენი სულის ორგანული და სასურველი ნაწილი. ისინი უნდა გავაიგოთ “ფსიქოლოგიასთან”; და ისტორიასთან; და კიდევ შიშთან; უპირველეს ყოვლისა კი ჩვენივე დაუძლეველ ნებასთან. თუკი მას სჯერა მათი არსებობის, ჩვენც, მართალია, უხალისოდ, მაგრამ გულის სიღრმეში ხომ ამასვე ვფიქრობთ.

ზინგერის დემონების გასაგებად ჩვენ უნდა გავაცნობიეროთ ერთი რამ: კერძოდ ის, რომ იგი არის დაკარგული სამყაროს მემკვიდრე, რომ სწორედ მან შემოგვინახა უკვე გამქრალი სოციოლოგია. ზინგერი არის ხელოვანი და ტრანსცენდენტური შემოქმედი და არა არქივარიუსი. მისი მოთხრობები - თუმცა კი უხვადაა მათში ღვთიით კურთხეული კულტურის ფაქტები, ადათ-წესები, მისი გლუვი სრულყოფილება, განსაკუთრებით კი იეშივას შთამბეჭდავი სამყარო და მისი უკიდევანო მოძღვრება - არავითარ შევთხვევაში არ უნდა იქნან აღქმული დოკუმენტებად. რეალურად არსებულ პატარა ებრაულ ქალაქებს ის მხოლოდ და მხოლოდ ცეცხლოვანი მოვლენების ფონად იყენებს: მართლაც, მხოლოდ ახირებულ ზმანებაში თუ შეიძლება გადავყროდით “Henne Fire”-ს, ცოცხალ მუგუზალს, რომელიც ბოლმით იწვის და ბოლოსდაბოლოს, მარტო თავისი მძვინვარებისგან “ნახშირის ნატეხად” იქცევა! აქ, მართალია, დანახვებითაა აღწერილი ყოველი ზღუდრული თუ პერსონაჟთა სახის ნაკეთები (ზინგერისეული პორტრეტები შესანიშნავადაა დეტალიზებული), მაგრამ მისი იგავები და ამბები იმდენადევა დაკავშირებული რეალურ ადგილებთან თუ რეალურ პირებთან, რამდენადაც ეზოპეს მხეცები რეალურ ცხოველებთან.

ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ზინგერი თავის მოთხრობებში არ გლოვობს პოლონეთის იმ პატარა ებრაულ ქალაქებს, რომლებიც, თითქმის ყველა მათ მაცხოვრებლიანად, გაანადგურეს ნაცისტური გეჰენის თავადებმა და მსახურებმა. წიგნში შეხვდებით ამ მოვლენებისადმი მიძღვნილ შესანიშნავ მემორიალს, “უკანასკნელი დემონის” სულისშემძვრელ ჩვენებას, რომელიც იწყება ევროპის კატეგორიული დადანაშაულებით: “მე, დემონი, ვადასტურებ, რომ აქ აღარ

გაგრძელდება 80-14 გვირდვია



ისააკ ბაშევის ზინგერი

პატარა შედეგები

მაცნეობა გვარდნიდან

დარჩენ დემონები. რა შუაშია დემონები, როცა ადამიანი თავადაა დემონი?” ბოლოს კი ამბობს:

“მე ვნახე ეს ყველაფერი... პოლონეთის საშინელები; იქ აღარ დარჩენ არც ებრაელები და აღარც დემონები, ქალები აღარ აქცევენ წყალს ზამთრის ნაბუნობის ღამეს, აღარ გაურბიან წყვილი რიცხვების დასახელებას, გამთენიისას აღარ აკაკუნებენ სინაგოგის წინაკარზე, აღარ გვაფრთხილებენ, სანამ ნარეცხ წყალს გადმოგვასხამდნენ თავზე; რაბინი წამებით მოკლეს პარასკევს, ნისანის თვეში; სათვისტო მომხმარებელს, წმინდა წიგნები ცეცხლს მისცეს, სასაფლაო შეურაცხვეს; წიგნი სამყაროს შემქმნისა შემქმნელს დაუბრუნდა... აღარც ცოდვები, აღარც ცდუნებები! ... მესია არ მივიდა ებრაელებთან, ებრაელებიც ადგნენ და თავად ეახლნენ მას. დემონები აღარავის სჭირდება.”

ეს სინაზე უბრალო ხალხის, მათი ცრურწმენების, უგზურების, მიაშიტობისა თუ შეცოდებების მიმართ იდიშური ლიტერატურის კლასიკური მახასიათებელია; ისევე, როგორც ზინგერის პირადი პასიული მემკვიდრეობის უმთავრესი მოტივი სიყვარული და პატივისცემაა ყოველივე მიწიერის მიმართ. “პატარა მენაღებები” ის ტყავისა და სადგისის დახმარებით ხოტბას ასხამს მეხუთე მცნებას; მისი “სულელი გიმფელის” გმირს, სანყალ ხაბაზს, ყველა გამუდმებით ატყუებს და ის კი მანც ჯიუტად ნეტარებს ასეთი ყოფით; მისი შესანიშნავი მოთხრობა “მოკლე პარასკევი” პატივს მიაგებს უშვილო მოხუც წყვილს, რომლებიც, გაჭირვებისა და სიღარიბის მიუხედავად, ახერხებენ გარდასახონ თავიანთი მიაშიტი ღვთისმოშიშობა სიკეთესა და სათნოებაში. უმანკოებითაა გასხივოსნებული შშულ-ლაიბელეს აბსოლუტური ბედნიერება, რომელსაც ის ლოცვაში ჰპოვებს და შოშეს შაბათის სატრაპეზო რიტუალი; ზინგერი ისეთი სიზუსტით აღწერს მის მენიუს, “წინილის წვნიანი ატრიით და ცხიმის პატარა რგოლებით... ოქროს დუკატებს რომ ჰგვანან,” თითქოს წვნიანიც ზეგარდმო მადლით იყოს ცხებული. უბედური შემთხვევის შედეგად - თოვლი დაფარავს მათ პატარა სახლს და ისინიც უშპერობით გაიგუდებიან - მოსიყვარულე წყვილი ერთად ხვდება სამოთხეში. როცა დემონები წყნარად არიან, ადამიანთა ვნებებს მხოლოდ სიკეთე და სიხარული მოაქვთ. (ზინგერი, მართალია, არაფერს ამბობს იმაზე, თუ ვინ მოუვლინა მათ წმინდა და ამავე დროს მომაკვდენებელი თოვლი, ღმერთმა თუ სამაელმა.)

ზინგერთან დემონები იშვიათად მშვიდდებიან, “მოკლე პარასკევის” გასხივოსნებული სინყყარე მხოლოდ გამონაკლისია. საერთოდ კი მძვინვარე ამპარტავენება მართავს ყველაფერს და ადამიანთა ბედს სასტიკი დემონები განაგებენ. “უხილავში” წარმატებული და პატივცემული ქმარი ეშმაკის ჩაგონებით გარბის ახალგაზრდა მოახლესთან ერთად; საბოლოოდ კი სრულიად გაღატაკდება და, ფაქტურად მათხოვარი, ისევ თავისი მეორედ გათხოვილი ყო-



ფილი ცოლის საპატრონო ხდება. “კრაკოველი ჯენტლმენი” მთელ ქალაქს გარყვნილი ოქროს საშუალებით; ბოლოს აღმოჩნდება, რომ ის კეტევ მრარი ყოფილა, თვით სატანა. “კრემევის განადგურებაში” მეცნიერი, რომელიც ფარული საბათელი და სატანის თავყვანისმცემელია, აიძულებს თავის ცოლს, ჩაიდინოს ადიულტერი საზიზღარ მეეტლესთან. სხვა მოთხრობაში, ზღვარს გადასული ინტელექტუალური ვნებები ანადგურებს გენიოსს. დახვეწილ ახალგაზრდა ქალს ეშმაკი ურჩევს შეიცვალოს სარწმუნოება, მივიდეს მღვდელთან (და არა რაბინთან) და განუდგეს თავის სათვისტოს; დემონი ესაუბრება ქალს მისივე ბებუის ხმით, რომელიც, თავის მხრივ, საბათელის ქალიშვილია. რაბინს “რალაყ ახალი და შემადრწუნებელი აპკვიატები”: რისხვა ღვთის მიმართ,” და მთელ თავის ძალისხმევას იმას ახმარს, რომ როგორმე ათეისტად იქცეს. როგორც კი საქმეში ეშმაკი ერევა, სრულიად იცვლება და უკუღმართდება ადამიანის ბუნება და მისი ვნებები, ის ეშმაკი, რომელიც ხაფანგს უგებს, აცდუნებს, ქრთამავს და თავგზას უბნევს საბრალო ხალხს.

მძიმე გამოცდების, გარდასახვებისა და მოულოდნელი

განცდების ეს სამყარო, საბოლოო ჯამში, ისევე ბუნებრივად დამაჯერებელია, როგორც თვით ლოგიკა. ის არაა ვინმეს ფარტაზიის ნაყოფი. ჩვენ სწორედ ამ რეალურ სამყაროს ვიცნობთ, სადაც უკვე ვიცით, რომ ტანჯვა გველის ჩვენივე აღმაფრენის საზღაურად, სადაც სწორედ ის გარემოებები გვანადგურებენ, რომელთაგან თავი ყოველთვის დაცული გვეგონა. ამ რეალურ სამყაროში ტანჯვა ჩვეულებრივი მოვლენაა და მხოლოდ ერთეულები ელირსებიან პატივებს. და მაინც, შესაძლოა უწმინდურ ძალთა რეალურობა ზინგერისთვის კვლავაც ადასტურებს მხსნელი ღვთაებრივი საწყისის არსებობას, რომლის მხურვალე ნათებაც განდევნის დემონებს. “დიახ, მე მჯერა იდეალური ძალების არსებობისა.”

მაგრამ ამ კრებულის ყველა მოთხრობა არაა აღმოცენებული ასეთი რეალური სამყაროდან. “ისტ ბროდვეელი კაბალისტის” მისტიკური წარმატება მხოლოდ და მხოლოდ შთამბეჭდავი გამოინაკლისია, თორემ ამერიკულ თემაზე დანერგული მისი მოთხრობები, საერთოდ, საკმაოდ უფერულია. როცა მოქმედება ევროპულ გარემოში მიმდინარეობს, მისი გამიზნულად მოკრძალებული ქმნილებებიც კი - რო-


გორიცაა, მაგალითად, მომაჯადოებელი “ვანვიდ კავა” თავისი შესანიშნავი დასაწყისით: “ნობელის პრემიას რომ იძლეოდნენ ცოტა წერაში, ვანვიდ კავა აუცილებლად მიიღებდა მას” - საოცრად სისხლსავსე და დინამიურია. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ თავისი ზოგიერთი მოთხრობისთვის მოქმედების ადგილის ამერიკაში გადატანა მწერალმა სწორედ იმ პერიოდში დაინახა, როცა სრულიად ამოეწურა ებრაელთა ევროპული დასახლებების მეტად ნაყოფიერი თემა; თუმცა შესაძლოა ამ ჩავარდნის მიზეზი თავად ამერიკა იყოს, რომლისთვისაც არაა დამახასიათებელი იემივას სათვისტომოს გამოკვეთილი განუმეორებლობა და ევროპული სიმჭიდროვე, და რომლისთვისაც უცხოა ამ სათვისტომოს, როგორც მატერიალიზებული ღვთის ნების ემანაციის იდეა. ან იქნებ ეს იმიტომაც ხდება, რომ ამ ამერიკულ მოთხრობათა უმეტესობაში მოქმედება ვითარდება თავად ზინგერის, როგორც მწერლისა და გამოჩენილი ადამიანის ან სხვა მისი მსგავსი პერსონების ირგვლივ. თითქოს ის, ამ ყველაფრის წარმმართველი დემონი და ცენტრალური ფიგურა, თავად იზიდავს ასეთ წარუმატებლობებსაც. დემონი კი, სრულ-

ყოფილი ეფექტისთვის - როგორც ეს არაერთხელ დაადასტურა ზინგერის გენიამ - “დიბოკის” მსგავსად, აუცილებლად “გარედან” უნდა შემოიჭრას სცენაზე; ამ ამერიკულ მოთხრობებში კი, სადაც აღწერილია ცნობილი მწერლის უჩვეულო თავგადასავლები, მოქმედება უმეტესწილად არც სცილდება მის შინაგან სამყაროს.

“რჩეულ მოთხრობებს” აქა-იქ ახლავს ავტორისეული კომენტარები, თვალშისაცემად ფრაგმენტული და ზედაპირული; მკითხველმა ეშმაკების უფრო შეიძლება იწამოს, ვიდრე ამ კომენტარებისა. როგორც ირკვევა, ზინგერი შემფოთებულია იმ საფრთხით, რასაც მხატვრულ ლიტერატურას უქმნის “მესიჯებით მეტისმეტი გატაცება”. საშუალება რომ მქონდეს, სიამოვნებით ჩამოვთვლიდი ამ მოთხრობების ყველა მთარგმნელს, სოლ ბელოუს, ისააკ როზენფელდს, დოროთეა შტრაუსს, იოსიფ ზინგერს თუ მირა გინზბურგს, ასევე შედარებით ნაკლებად ცნობილ რუთ შახნერ ფინკელს, ეველინ ტორტონ ბეკს, ლორი კოლვინს, ჰერბერტ ლოტმანს, როზანა გერბერს, ელიზაბეთ შუბს და ყველა დანარჩენს. თავისთავად ძალზე საინტერესოა, რომ მას ამდენი მთარგმნელი ჰყავს და თანაც მათი რიცხვი სულ უფრო იზრდება. როგორც ჩანს, ზინგერს ჯერ ვერ უპოვია თავისი სკოტ მონკრიფი. მიუხედავად ამისა, მისი მოთხრობების ჟღერადობა ისეთი თანაბარი და ჰარმონიულია, თითქოს ყველა ერთი და იმავე ადამიანს ეთარგმნოს; ეჭვგარეშეა, ამაში უდიდესი წვლილი თავად ზინგერს მიუძღვის. მთელი ამ ხნის განმავლობაში არ ცხრება სკანდალური ჭორები ზინგერისა და მის მთარგმნელთა ურთიერთობებზე; ამბობენ, რომ ის მათ სანახევროდ თანამშრომლების, სანახევროდ ყმების მდგომარეობაში ამყოფებს, რომ ალბულო ვალდებულებებით დაკაბალეულნი, იძულებულნი ხდებიან დათანხმდნენ მათხოვრულ ჰონორარებს, რომ ზოგი უკმაყოფილო რჩება და ზოგიც - გაოგნებული, მაგრამ ყველა მათგანი გარდასახა ზინგერთან ახლო ნაცნობობამ. ერთი ამბობს, რომ კარგი იქნებოდა, თუკი ზინგერი თავად აღწერდა ამ ჯოჯოხეთური თანამშრომლობის ამბავს, ჩასვამდა მას “Zamosc”-ში და მოთხრობას დაარქმევდა “რაბინ ბეშევისის თანამეგობრებს”. ნებისმიერ შემთხვევაში, მისი თანამეგობრები საეჭვოა ჩასწვდენ ზინგერის მობოლიური ნისი იმ ძნელად გადმოხსნადი ებრაული ერუდიციითა და ფილიგრანული ნიუანსებით გაჯერებულ (როგორც ერთხელ ამიხსნა ებრაულის, იდიშისა და ინგლისურის შესანიშნავად მცოდნე ერთმა თელ-ავიველმა პოეტმა) სილრმეებს, რომლისაც ჩვენ, ინგლისურენოვან მკითხველებს, იწი-ბინჩიც არ გაგვეგება და რომლის გაგების სიამოვნებასაც სამუდამოდ ვართ მოკლებულნი. მაგრამ ვართ კი მოკლებულნი? შესაძლოა, ასეც იყოს. სიტყვა რომ ამ გავაგრძელო, “რჩეული მოთხრობები” ამერიკელი ოსტატის “სამყაროს წიგნი”.

ინგლისურიდან თარგმნა
ასმათ ლეკიაშვილმა

ისააკ ბაშვიის ზინგერის იერემიადა



ჰაროლდ ბლუმი

“The Penitent” (“მომნანიებელი”) - ინგლისურად ასე ითარგმნა სათაური მოკლე რომანისა, რომელსაც იდიშზე “Der Baal Tshuve” ჰქვია. ფიქრობთ, უფრო უპირანი იქნებოდა სახელწოდება “გარდასახვათა ოსტატი” - ის ზუსტად შეესატყვისება როგორც ამ ქმნილების არსს, ასევე - მის ავტორს, რომელიც განაფუთა მეტამორფოზებში. საკითხავია, რამდენად საჭირო იყო თარგმნა ნაწარმოებისა, რომლის ხარვეზებს ვერ აწონასწორებს ესთეტიკური ღირსებები ან ჰუმანისტური სულისკვეთება? ზინგერის საუკეთესო ნიგნი გახლდათ “რჩეული მოთხრობები”, რომელსაც 1978 წელს ნობელის პრემია მიენიჭა. რაც შეეხება “მომნანიებელს”, ის სხვა არაფერია, თუ არა თანამედროვე სამყაროს სვიფტიანური დიატრიბის წარუმატებელი ცდა. მასში თავს იჩენს თვალსაწიერის შეზღუდულობა, რომელიც ახასიათებს მთელ თანამედროვე ებრაულ კულტურას. “რჩეულ მოთხრობებში” ზინგერის უპირატესობას წარმოადგენს ნარატიული ფანტაზიის სიჭარბე, ხოლო “მომნანიებელში” თითქმის არაფერი ხდება და ნარატიული ფუნქცია ეკისრება მარტოოდენ მოთხრობის, ჯოზეფ შაპიროს მონოლოგს. მკითხველისთვის შაპიროს წარსადგენად ზინგერი მიმართავს იმ ხერხს, რომელსაც ხშირად იყენებს თავის ამერიკულ ნაწარმოებებში - ცნობილ მწერალს იერუსალიმის დასავლეთის ანუ გოდების კედელთან გაესაუბრება ალტაცებული მკითხველი: “ღვთის ნებით ყოველივე ოცდაოთხ საათში განხორციელდა”.

შაპირო მომნანიებელია, რომელიც მიუბრუნდა ორთოდოქსულ ებრაულ სარწმუნოებას. ის პოლონეთიდან ამერიკაში გადასახლდა 1939 წელს, სტალინური რუსეთის გავლით. ამერიკაში მან შეიძინა უამრავი ქონება; მისი ქორწინება უიღბლოდ დამთავრდა, სიყვარული კი - მარცხით; გმირს გული გაუტყდა ყველა მოდურ იდეოლოგიაზე. ის ვეგეტარიანელი გახდა და თავის ადგილსამყოფლად შეარჩია მია შერიმი - იერუსალიმის ის რაიონი, სადაც ცხოვრობს უკიდურესად ორთოდოქსულად განწყობილი ებრაული მოსახლეობა.

სამწუხაროდ, მკითხველს (ისევე როგორც - ავტორს) არავითარ ინტერესს არ აღუძრავს შაპიროს პიროვნება. შაპირო მარტოდენ ხმა: პესიმისტური, დაძაბული, მღელვარებით აღსავსე, მონუსხული ზიზნარევი ვნებით. ეს ხმა ემთხვევა ზინგერის საკუთარ ხმას და, შესაბამისად, ნიგნი აღიქმება, როგორც ზინგერის ტირადა. თავისთავად, ტირადა გავრცელებული ლიტერატურული ფორმაა, რომელიც გვხვდება ბევრ საუცხოო თანამედროვე ქმნილებაში, დაწყებული ბერნარდ შოუს პიესით “ადამიანი და ზეადამიანი”, და დამთავრებული ნათანაელ უესტის სუროგატული “მისს ლოუნლი-ჰართით”. “მომნანიებლის” ნაკლოვანებების საფუძველია არა ნაწარმოების ჟანრი, არამედ - მისი ხორცშესხმის თავისებურებები. ზინგერის იერემიადაში არ შეიმჩნევა არანაირი სიახლე, მახვილგონიერება და თვითმყოფადობა. ამასთან, რომანი შთამბეჭდავია, თუმცა ეს შთამბეჭდაობა ავტორის ძალისხმევის შედეგი როდია, უბრალოდ, ბევრი ჩვენგანი - ებრაელიცა და არაებრაელიც - მიმართავს ძიებას

ზნეობრივი საფუძვლისა, რომლის გაცნობიერება სიმყარეს ანიჭებს ჩვენს არსებობას.

აი, შაპიროსეული დიატრიბის ტიპური პასაჟი: “არ არსებობს ზნეობა რელიგიის გარეშე. თქვენ აუცილებლად ემსახურებით ამა თუ იმ კერპს. ყველაზე დიდი სატყუარა ამქვეყნად ჰუმანიზმია, რომელიც ერთ კერპს კი არ ემსახურება, არამედ - ყველას. ჰუმანისტები იყვნენ მუსოლინიც, ჰიტლერიც, სტალინიც”. ეს სენტენციები ექსტრავაგანტურიცაა და აბსურდულიც, მაგრამ ასეთია ყველაფერი, რასაც ამტკიცებს ზინგერი/შაპირო. მორალის შესახებ გამოთქმულ თვალსაზრისთა უბრალო ჩამოთვლაც კი გვარწმუნებს, რომ “მომნანიებელი” უნებლიე სატირაა საკუთარ თავზე. აბსოლუტურად დამოხილია: ყველა ქალი, ორთოდოქს ებრაელთა გარდა; ყველა “წითელი” ებრაელი; ლიბერალიზმი, ამერიკის სამართლებრივი სისტემა; ამერიკული გაზეთები; “სულელური ნიგნების, უხამსი პიესებისა და ფილმების ქება-დიდება”; ისტორიის პროფესორები. ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ზინგერი მიმართავს სოლ ბელოუს მეორეხარისხოვანი პერსონაჟების პაროდირებას.

აი ნიმუში ზინგერ/შაპიროს მონოლოგისა, რომელიც ბელოუსთან სატირული ხასიათისა იქნებოდა: “მერწმუნეთ, ზნეობრივი, წესიერი ქალი მეტ სექსუალურ სიამოვნებას მიანიჭებს მამაკაცს, ვიდრე - ყველა რაფინირებული მეძავი ერთად. თანამედროვე ქალთან ყოფნისას მამაკაცი ფიზიკურ კონტაქტს ამყარებს მის ყველა წინანდელ საყვარელთან (ამიტომაც, რომ ამჟამად მომრავლდნენ ჰომოსექსუალები). მამაკაცი ხომ მუდმივად ეჯიბრება მათ, რადგან იცის, რომ ამჟამინდელი სატრფო გამუდმებით იგონებს ძველ მიჯნურებს. ესაა აგრეთვე მიზეზი იმპოტენციისა, რომელიც უამრავ ჩვენგანს აწუხებს”.

კიდევ უფრო პაროდული ხასიათისაა კრეაციონიზმის დასაცავად გამოიზნული არგუმენტები: “ღარვინს და კარლ მარქსს როდი აღმოუჩენიათ სამყაროს შექმნის საიდუმლო. იმ თეორიათაგან, რომლებიც ცდილობენ, ჩასვდნენ სამყაროს შექმნის არსს, “დაბადების” კომენტარები ყველაზე გონივრულია. აბსურდულია მსჯელობა პირველსაწყისი წყვილის ან დიდი აფეთქების შესახებ. ადამიანს, რომელიც კუნძულზე საათს იპოვის და იტყვის, რომ ის თვითონ გააკეთა, ან რომ საათი განვითარდა ევოლუციის შედეგად, გიჟად მიიჩნევენ. მაგრამ განა სამყარო ნაკლებ რთულია, ვიდრე საათი?” სანამ გადაწყვეტდეთ, რომ ზინგერი, უბრალოდ, ბიბლიის კომენტატორად იქცა, გავიხსენოთ, რომ ორთოდოქსული იუდაიზმი ახლა ემყარება არა იმდენად თვით ბიბლიას, რამდენადაც - მის კერძო ინტერპრეტაციებს. ასევე იქცევა შაპიროც: “მოგვიანებით მივხე-

დი, რატომაც, რომ მორწმუნეებრაელები არასოდეს ცდილობდნენ, დეტალურად შეესწავლათ ბიბლია. შემზარავი ბიბლიური ამბები არ შეესატყვისება ებრაული დიასპორის სულისკვეთებას. რაბინი ისააკ ლურია და ბაალ შემტოვი უფრო მახლობელი და გასაგებია ჩვენთვის, ვიდრე იესო ნავეს ძე და მეფე დავითი. იესოს და მეფე დავითს, როგორც ბიბლიურ პერსონაჟებს, კომენტირება სჭირდება, მაგრამ რაბინი ისააკ ლურია და ბაალ შემტოვი ჩვენთვის უამისოდაც გასაგებია... ბიბლიის წინააღმდეგი როდი ვარ, ღმერთმა დამიფაროს. ბიბლია წმიდათა წმიდაა, მაგრამ ებრაულმა რელიგიამ განვითარება განიცადა. ამქვეყნად ყოველივე ჩანასახიდან იწყება და დროთა განმავლობაში ვითარდება. მკვახე ვაშლს ისეთივე გემო არა აქვს, როგორც - მწიფეს. სახლის საძირკველი სასტუმრო ოთახივით დახვეწილი როდია”.

ნიშნავს თუ არა აქ “ებრაული რელიგია” “იუდაიზმს”? ზინგერის “ებრაელობა” უეჭველია, მაგრამ სურს თუ არა მოხრობელს, მონანიების შედეგად იქცეს “ებრაელ” პერსონაჟად, ისევე, როგორც ზინგერი წარმოადგენს ებრაელ მწერალს? თანამედროვე კაბალის ფუძემდებელმა, ისააკ ლურია (XVI ს.) და ჰასიდუზმის მამამთავარმა ბაალ შემტოვმა (XVIII ს.) დასაბამი მისცეს მისტიკურ-ექსტატიურ ტენდენციებს თანამედროვე ებრაულ რელიგიაში, მაგრამ თვით ლურია და ბაალ შემტოვი ძალზე ბანალურ, ორთოდოქსულად განწყობილ მოაზროვნეებად წარმოგვიდგებიან ზინგერის მხატვრულ სამყაროსთან შედარებით.

ჩვენი აზრით, ზინგერის მსოფლალქმა ემყარება ან გარდაცვლილი გერშომ შოლემის ფუნდამენტურ ნაშრომებს ებრაული მისტიციზმის, მესიანური ერესისა და გნოსტიკური დემონოლოგიის პრობლემების შესახებ. ახლა შეიძლება განვსაზღვროთ “მომნანიებლის” მკაცრი მორალიზატორი. ზინგერი ირონიულად მიმართავს მესიანური რჯულგანდგომილობის სკოლების მიერ მითითებული ნიმუშების მხილებას. ამ განდგომილ პიროვნებათა შორის ყველაზე სახელგანთქმული გახლდათ საბათაი ზევი, რომელმაც XVII საუკუნეში მაჰმადიანობა მიიღო. ზინგერი, ერთგვარად, საბათაი ზევი, რომელიც იქცა არა მაჰმადიანად, არამედ - ორთოდოქს ფანატიკოსად. მისი, როგორც მწერლის, ყველაზე დამახასიათებელი ატრიბუტები - აკვიატებული სექსუალური იდეები და დემონური იმპულსები - ერწყმის თანამედროვე იუდაიზმის ყველაზე ატავისტურ თვისებებს.

ზინგერ/შაპიროს დიატრიბათა სამიზნეებს შორის შეიძლება აღმოჩენილიყო ფსიქოანალიზი. ამასთან, ზინგერი თავს არიდებს უშუალო კონფორმაციას რელიგიათა (მათ შორის - იუდაიზმის) ფრიოდისტულ კრი-

ტიკასთან. მწერალი საგანგებოდ უგულვებელჰყოფს ფრიოდსაც და საკუთარ, ყველაზე მძლავრ იმპულსებსაც, რაც განაპირობებს მისი ნიგნის რიტორიკულ ღირსებებს და, ამასთან, კონცეპტუალურ სისუსტეს. “მომნანიებლის” ერთადერთი საინტერესო მომენტია ისრაელში გადაფრენა, როდესაც ჯოზეფ შაპირო აღარ ფიქრობს თავის მომავალზე და აღწერს რეაქტიულ თვითმფრინავში სასიყვარულო ურთიერთობის გაბმის სიძნელეებს:

“ფიზიკურად შეუძლებელია, შესცოდო თვითმფრინავში. მგზავრები განუწყვეტილად დიან საპირფარეოებში, სტიუარდესებს არ სძინავს, წყვილად არღვევს ნათურების მბუჭტავი შუქი. ამ ქალის მიმართ ზიზნარეულ ლტოლვას ვგრძნობდი. თუმცა თანამედროვე ქალი ყოველთვის მზადაა გარყვნილების ყველა სახეობისთვის, მაგრამ მისი მოდური სამოსი ხელს უშლის მამრს, მიაღწიოს საწადელს. სხეულის მოხდენილობის დემონსტრირების სურვილი უფრო ძლიერიც კია, ვიდრე შეცოდებისკენ მისწრაფება. ამიტომ დიდხანს ვჯახირობდი”.

აგზნებული იმით, რასაც ფრიოდი, ალბათ, უნოდებდა თვითმფრინავის შეზღუდული სივრცისა და ქალის მოძრაობათა შემოჭველი ტანსაცმლით განპირობებულ “სტიმულთა ნამახალისებელ ზემოქმედებას”, უბედური შაპირო ხელმძღვანელობს რელიგიური მორალის არგუმენტებით. აქ უეჭველად თავს იჩენს “ძველი” ზინგერის ნაძალადევი იუმორი, მაგრამ თხრობაში მაშინვე ერევა “ახალი” ზინგერი, თავისი ლალი მხიარულებით:

“უეცრად ჩამიარა კაცმა, რომელსაც რაბინის ქუდი ეხურა, სახეს კი ფართო ქერა წვერი და გრძელი კიკინები უმშვენებდა. პიჯაკქვემ ფორებიანი რიტუალური სამოსი ეცვა... იმავე მომენტში მივხვდი, რომ კიკინებისა და რიტუალური ტანსაცმლის გარეშე ვერავინ იქნება ჭეშმარიტი იუდეველი. ჯარისკაცს, რომელიც ემსახურება იმპერატორს, შესაბამისი უნიფორმა უნდა ეცვას და იგივე მართებს ჯარისკაცს, რომელიც ღმერთს ემსახურება. იმ ღამეს ამგვარი სამოსი რომ მცმოდა, ცდუნებას თავს ავარიდებდი”.

ამგვარად, ზინგერ/შაპირო ეთანხმება ფრიოდს, თუმცა აშკარაა, რომ მწერალი არ იცნობს ფსიქოანალიზის ფუძემდებლის კონცეფციას. შევაჯეროთ ზინგერის პოზიციასთან შესაბამისი პასაჟი ფრიოდის ცნობილი ნაშრომიდან “Civilization and its Discontents”: “სიამოვნებისგან თავის შეკავება აქ საკმარისი არაა, რადგან სურვილი ჯიუტობს და არ ძალუძს, დაემალოს სუბერ-ევოს. რეალური ქმედებისგან თავის შეკავების მიუხედავად, დანაშაულებრიობის შეგრძნება მაინც განიცდება. გარედან მოსალოდნელ საშიშროებას

ისააკ ბაშვიის ზინგარის იერემიადა

მათხატობა ბაშვიიდან

- სიყვარულის დაკარგვასა და სასჯელს - ენაცვლება მტანჯველი განცდები, დანაშაულის შეგრძნების გამძაფრება”.

თალმუდური უნიფორმა იქცევა მხოლოდ ზინგერ/შაპიროს წარმოდგენად საკუთარი დამსჯელი სუპერ-ეგოს შესახებ. ეს უკანასკნელი გამოვლინებაა იმის, რასაც ფროიდი უწოდებდა “ფიზიკურ ეგოს” ან “მე“-ს მიერ წარმოსახული საგნის ინტროექ-

ციას. რომანში ძალდაუტანებელი იუმორი კვლავ იჩენს თავს, როდესაც მკითხველი იგონებს პირველ შთაბეჭდილებას ახალგაზრდა ქალის შესახებ - ის იხსენებს ქალის “ჯავშანს” და თავის ხანგრძლივ ჯახირს: “დავჯექი და მალე ახალგაზრდა ქალი გვერდით დამისკუბდა. აჰა! ეშმაკმა საცთური მომიმზადა. სატანა არასოდეს იღლება, არასოდეს იხვეს უკან. ნამიკითხავს, რომ სატანა თვით მომაკვდავ ადამიანსაც კი აცდუნებს ათე-

იზმითა და ღვთის გმობით. ამ შეხედულებაში, ალბათ, მეტი სიბრძნეა, ვიდრე ფროიდის, ადლერის, იუნგის ფოლიანტებში”.

როგორ მოახერხა ზინგერმა ასე “დეგრადირება”? არა მგონია, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვექონდეს პრაქტიკულად საყოველთაო დეგრადირებისა და დაცემის მხოლოდ მორიგ შემთხვევასთან. ზინგერი, ისევე, როგორც დახვეწილი, მაგრამ გესლიანი სინტია ოზიკი, წარმომადგენელია იმისა, რასაც შეიძლება

ვუწოდოთ ახალი ორთოდოქსული ებრაული ლიტერატურა. ეს პოზიცია, როგორც “ანტიიუდაიზმი” ან “კერპთაყვანისმცემლობა”, წარმოადგენს გამოვლინებას განხეთქილებისა ტრადიციასა და თანამედროვე ებრაელ ინტელექტუალთა შორის.

ზინგერის მაგალითზე შეიძლება განვმარტოთ ბზარი, რომელიც შეიტანეს თანამედროვე ებრაულ კულტურაში ფროიდმა და კაფკამ, ამ კულტურის ქეშმარიტმა წარმომადგენლებმა. მისს ოზი-

კი ხოტბა-დიდებას ასხამს ზინგერს - მორალისტს, რომლის აზრით, “სიკეთე ბუნებრივი რამაა, ხოლო ბოროტება გზას გვიბნევს”. შესაძლოა, “მომნანიებელი” იმსახურებს ამ სიტყვებს, მაგრამ თუ ზინგერი თავისი მანერის ერთგული დარჩება, მას უეჭველად გაიხსენებენ, როგორც ნეოორთოდოქსული აზროვნების წარმომადგენელს, და არა როგორც საინტერესო პროზის ოსტატს.

ინგლისურიდან თარგმნა
თამარ ლომიძე

თარგმანი

სარკინიგზო მოგზაურობა ინტერნეტში



REUTERS

უმაღლესი ეპოქა

ვინ აღარ ღვარა ცრემლი იმის გამო, რომ მატარებელმა მოკლა ტყე-ტყე ხანგრძლივი ხეტილისა და მტერიან შარავზეზე ცხენით მგზავრობის პოეზია. მაგრამ, აი, კლასიკოსებმა, - ტოლსტოიდან ვიდრე სანდრა-რამდე და ბიუტორამდე, მონტალეს ჩათვლით, - შეძლეს გადმოეცათ მატარებლების, ხშირ შემთხვევაში შიშისმოგვრელი პოეზია. ბოლოს და ბოლოს, რა მნიშვნელობა აქვს გადაადგილების საშუალებას? - კოსმიურ ხომალდშიც შეიძლება ეძლეოდო ოცნებებს, ან კიდევ გულს გინურადღეს სიყვარული თუ ნოსტალგია, შიში თუ მოუთმენლობა. მეორე მხრივ, პრუსტი კითხულობდა ნერვალის ლექსებს, შემდეგ კი აღწერდა, თუ როგორ ახერხებს მესხიერებაში სხვადასხვა სურნელთა გაცოცხლებას, უბრალოდ, ილ-დე-ფრანსის სარკინიგზო განრიგის გადაკითხვისას.

გუშინდელ დღემდე ერთი პრობლემა მანუხებდა - ვერაფრით ვერ მოგძებნე ინტერნეტში საიტი, რომელიც მეტყოდა, რომელ მატარებელში ჩავმჯდარიყავი. ეს სრულიად უბრალო საქმედ ითვლება: ცალკეული ქვეყნებისათვის არსებობს საკმაო რაოდენობის საიტები, - ასეთია, ვთქვათ, იტალიის სახელმწიფო რკინიგზის საიტი, - ისინი ცუდად არ მუშაობენ, მაგრამ ლო-

კალურ არეალს მოიცავენ. იტალიური საიტი მოგვანდის ინფორმაციას, როგორ ვიმოგზაუროთ იტალიაში, მაგრამ იგი არაფერს გვეტყვის იმაზე, თუ როგორ ჩავიდეთ ნანსიდან ლილში.

მოკლედ, ამ პრობლემის წინაშე ვიდექი, ვიდრე, ბოლოს, თითქმის შემთხვევით არ წავანყდი ერთ შესანიშნავ პროგრამას, სახელად Deutsche Bahn (რაც გინდა თქვი და, ტექნიკის სფეროში გერმანელებთან ახლოსაც ვერაფერს მოვა), რომლის მისამართს აქვე მოვიყვან: “http://bahn.hafas.de”.

ეს პროგრამა ევროპის ყველა რკინიგზას მოიცავს. მასში, ალბათ, საკონინენტაშორისო რკინიგზაც მოექცეოდა, მატარებელი ოკეანეებს რომ სერავდეს (ყოველ შემთხვევაში, ლამაშქვევ გაყვანილი ახალი სარკინიგზო ხაზი შესულია პროგრამაში).

ლაპარაკი არც ღირს იმაზე, რომ თვალის დახამხამებაში გარკვევ რა რაოდენობის და რომელი მატარებლები მოძრაობს, - დროის ნებისმიერ მონაკვეთში ან მთელი დღის განმავლობაში, - მილანსა და პალერმოს შორის, ან პალერმოსა და ლონდონს შორის, ან ლონდონსა და ფრანკფურტს შორის. პროგრამა იმასაც შეგვატყობინებს, რა დრო დაგვხარჯება მგზავრობაზე, რამდენი ვაგონ-რესტორანი ან საძილე ვაგონია მატარებელში... მოკლედ, მივიღებთ ყველა საჭირო მონაცემს. ოღონდ, ამის შემ-

დეგ პროგრამის გამოყენება უკვე ნაკლებსაინტერესო ხდება. დავსვი კითხვა, - როგორ ჩავსულიყავი ფრანკფურტიდან ბატიპალიაში, - და დამაკმაყოფილებელი პასუხიც მივიღე, რომ ამას დასჭირდებოდა 18-დან 20 საათამდე დრო, იმისდა მიხედვით, თუ რომელ მარშრუტს ავირჩევდი.

შემდეგ იმით დავინტერესდი, როგორ ჩავსულიყავი ლონდონიდან გროსეტოში ნეაპოლის გავლით [გნოსეტო ქალაქია ტოსკანაში, ე.ი. უფრო ახლოსაა ლონდონთან, ვიდრე ნეაპოლი - რედ.]. პირველი მარშრუტი 29 საათს მოითხოვს და საშინლად ბანალურია. მეორეზე 34 საათი დაგეხარჯებათ, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ პარიზის ერთ ვაგზლიდან სხვა ვაგზალზე გადაბარება მოგიხდებათ. სამაგიეროდ, მესამე მარშრუტი ამაღლელებელია: მის გავლას 26 საათი დასჭირდება, მე მეჩერედები ბარდონეკიში, ალესანდრიაში, ნოვიში, ვიარეჯოში, ლამის პირველ საათზე გავივლი გროსეტოს (მეჩერების გარეშე), ჩავალ ნეაპოლის ვაგზალ კამპო ფლევრეში, სადაც რომში შემავალ მატარებელში გადავვდები და დაახლოებით ცხრა საათის შემდეგ ისევ დაგვრუნდება გროსეტოში. ამ მარშრუტმა მომაჯადოვა. მოკლედ, ის დროა კუპეში საკითხავი ლიტერატურა შევარჩიო, თერმოსი მოვიმზადო და გზას გავუდგე.

ვცაადე წარმომედგინა შეუძლებელი: შევუკვეთე “ბატიპალია-როსკოფი მადრიდის გავლით”. მაშ ასე, ბატიპალიადან

მილანის გავლით ჩავდივარ შამბერიში, შემდეგ პარიზი, მადრიდი, პუატიე, ნანტი, რენი, მორლე და, ბოლოს, რკინიგზით ხეტილის 66-საათიანი ციებ-ცხელების შემდეგ, როსკოფსაც მივალწევ. კიდევ ერთ შედეგად მიმაჩნია “ბატიპალია-სანკტ-პეტერბურგი ვიტებსკისა (სიხარული მომგვარა სადღასაც გამკრთალმა შავლის ლანდმა, თუმცა, შესაძლოა, ის მხოლოდ მომეჩვენა) მადრიდის გავლით”. ბატიპალიაიდან პარიზში რომ მივემგზავრები და პარიზიდან მადრიდში, აქ არაფერია მოულოდნელი, მაგრამ სწორედ ამის შემდეგ იწყება თავგადასავლები: მადრიდიდან გზა ბრიუსელისკენ გიდევს, იქიდან - ცენტრალური ორბისკენ, რის შემდეგაც სანკტ-პეტერბურგისკენ იღებ გეზს. სულ 110 საათი და 34 წუთი დაგეხარჯებათ.

აღმაფრთოვანებულია “მადრიდი-რომი ვარშავის გავლით”. აქ სადგურთა სახელები იდიშური იგავის სიტყვებით უღერს: ვარშავა-ვსხოდნია, ბიალოსტოკი, ჩერემბა, სედლიცე, ვარშავა-შრუდმიეშიჩე, ვენა-ალმოსავლეთი, ვენა-სამხრეთი და, ბოლოს (როგორც უეცარი გაელვება, ჩვენს ნახევარკუნძულზე ყველაფერი წერილმანს რომ დაგავინყებს), რომა-ტერმინი [რომი-სა და, მაშასადამე, მთელი იტალიის ცენტრალური ვაგზალი. - რედ.].

შევძელი მეპოვნა “მოსკოვი-სტამბოლი ლიზიეს გავლით” (სამი მისტიციზმი ასე ერთდროულად) [საფრანგეთის ქალაქი ლიზიე ცნობილია როგორც მონა-

ზონ წმიდა ტერეზას (1873-97) დაბადების ადგილი. - რედ.]. ამ მარშრუტს არა უშავდა რა, მაგრამ იგი არც ისე შთამბეჭდავი აღმოჩნდა, როგორც წარმომედგინა.

ალბათ, უკვე მიხვდით, რომ სარკინიგზო პროგრამა ერთგვარ ნარკოტიკად მექცა. ბავშვობაში მათემატიკის გაკვეთილზე მერხქემ ატლასი მქონდა გააღშლილი და წარმოსახვაში თავგადასავლებით სავსე აღმოჩენების სურათებს ვხატავდი. მსგავსად ამისა, ახლაც მთელი დღეობით ვუზივარ კომპიუტერს, ვნადირობ ჯადოსნურ სიზმრებზე - თვალმოშორებლად ვაკვირდები სქემებს და მარშრუტებს. თუ სწორედ ეს არის “ვირტუალური რეალობა”, მის არსებობაში ეჭვის შეტანა უაზრობაა. ღამეები რომ ვათიო ეკრანსმიშტერებულმა, ბლომბლომად უნდა გამოვიყოლო სხვადასხვაგვარი სასმელები იმ ადგილებიდან, რომლებიც მოვიწახლეთ, უნდა მოვიმარაგო ყალიბები, ქურქები, სათბურები. და თუ ყველაფერი კარგად წარიმართა, უეჭველია, არ ამცდება მკვლელობა აღმოსავლეთის ექსპრესში.

და ხომ შეიძლება, სადღაც სადგურსა და სადგურს შორის, მოვიპოვო საძილე ვაგონთა ქალბატონი - სახეგათეთრებელი და მთრთოლავნესტოებიანი, სისხლიანი ჭრილობისფერი ტუჩებით წვრილად ნახვევ რუსულ პაპიროსს მიბნედილი რომ ექაჩება?

თარგმნა მიქელ ირემაძე

